თამარ თევდორაშვილი, ნინო ქუმსიშვილი
რატი ჯულაყიძე, ალექსანდრე ჯულაყიძე

მუსიკა

მასწავლებლის წიგნი

II კლასი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2023 წელს

თამარ თევდორაშვილი, ნინო ქუმსიშვილი
რატი ჯულაყიძე, ალექსანდრე ჯულაყიძე

მუსიკა

II კლასი, მასწავლებლის წიგნი

მუსიკალური რედაქტორი – **ლეილა მარუაშვილი**
ლიტერატურული რედაქტორები: **თეა ბარამაშვილი, თამარ ნინიკაშვილი**
ხმის რეჟისორი – **ნინო წითლაური**
არანჟირება და აკომპანემენტი – **ნინო ჯულაყიძე**
სოლისტები: **ნინო თავაძე, ანასტასია ჯულაყიძე**
მხატვრები: **ქეთევან თოდაძე, კონსტანტინე ამირეჯიბი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა – **მარიამ პოლტახიენტი, ელენე ვარამაშვილი**
ყდის მხატვარი – **ელენე ვარამაშვილი**

© გამომცემლობა „კლიო“, 2023
© გამომცემლობა „პალიტრა L“, 2023
© ნინო ქუმსიშვილი, თამარ თევდორაშვილი, რატი ჯულაყიძე, ალექსანდრე ჯულაყიძე, 2023
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-35-722-0
პირველი გამოცემა – 2023

შპს „გამომცემლობა პალიტრა L“
იოსებიძის ქუჩა №49,
თბილისი, 0103
ტელ.: (+995 32) 2 38 38 71
(+995 32) 2 19 60 53
ელ-ფოსტა: book@palitra.ge

შპს „გამომცემლობა კლიო“
აღმაშენებლის გამზ., №181,
თბილისი, 0112
ტელ.: (+995 32) 234 04 30
ელ-ფოსტა: book@klio.ge; www.klio.ge
kliopublishing@gmail.com

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

თემა 1: **ცხოველები მუსიკაში**

1. ზაფხულის გრძელი დღეები 17
2-3. ცხოველები მუსიკაში 19
4. ხასიათი თუ მოძრაობა? 22
5. „ობობა და ბუზი“ 24
6. ტემბრი და ინტონაცია 26
7. ფრინველები 28
8. გუგული 30
9. ხმები წყაროსთან 32
10. ცხოველების კარნავალი 34
11. დამარცვლე და დათვალე 36
12. გაახმოვანე ნახატი 38
13. შინაური და გარეული ცხოველები 40
14-15. ცხოველები და საკრავები-I 41
16. ცხოველები და საკრავები-II 44
17-18. „პეტია და მგელი“ 46
19-20. ჩიტების გამოღვიძება და დათვის ბელი 48
21-22. „კოღო და ლომი“ 50

თემა 2: **დღესასწაულები და წვეულებები შინ და გარეთ**

23. „რა ლამაზი დღეა“ 52
24. ყველა ერთად ვცეკვავთ 54
25. „დათვის წვეულება“ 56
26. მიპატიჟება 58
27. გამოიცანი დღესასწაული-I 59
28. გამოიცანი დღესასწაული-II 63
29. ქრისტესშობა 61
30-31. თხილის სატეხი 65
32-33-34. „მაკნატუნა“ 67
35-36. საშობაო და საახალწლო სიმღერები 72
37. წმინდა ნიკოლოზი და კნეხტ-რუპრეხტი 75
38-39. აღმოაჩინე სადღესასწაულო მუსიკა 77
40. ჰიმნი 80
41. გაზაფხულის დღესასწაულები 83
42-43. სადღესასწაულო მუსიკა 85
44. ძეობა 88
45. ერთად ამდენი დღესასწაული?! 89

თემა 3: **ბუნებრივი მოვლენები მუსიკაში**

46-47. ბუნებრივი მოვლენები 91
48-49. ცისარტყელა თუ ფოთოლცვენა? 93
50-51. სტიქიური მოვლენები 95
52. წელიწადის დროები 98
53. როგორი ამინდია 100
54. მოუსმინეთ ბუნების ხმებს 101
55. დილა, შუადღე და საღამო 103
56-57. წვიმა 104
58. ზღვა 106
59-60. ზღვა, წყარო და ჩანჩქერი 108
გამოყენებული ლიტერატურა 111

წინასიტყვაობა

მუსიკის სახელმძღვანელო **მეორეკლასელთათვის** მასწავლებლის დამხმარე რესურსია საგაკვეთილო პროცესის საინტერესოდ და მრავალფეროვნად წარმართვისთვის.

მუსიკის საგნის სტანდარტის მიხედვით, სახელმძღვანელო მოიცავს გაკვეთილების სცენარებს, რომლებიც გაწერილია სამი თემის მიხედვით:

1. ცხოველები მუსიკაში
2. წვეულებები და დღესასწაულები სახლში და გარეთ
3. ბუნების მოვლენები მუსიკაში

მასწავლებლის წიგნს თან ახლავს თითოეული გაკვეთილის სცენარისთვის განკუთვნილი ელექტრონული რესურსი – აუდიო და ვიდეომასალა.

სახელმძღვანელო შესაძლებლობას იძლევა, მუსიკის აღქმისა და შინაარსის ამოცნობის ჩვევები და უნარები ეტაპობრივად განავითაროს მოსწავლეებში.

სახელმძღვანელო ეფუძნება კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპს. მოსმენილი ფრაგმენტების ვიზუალურ რიგთან, გამოსახულებასთან, ნაცნობ ემოციებსა და განცდებთან დაკავშირება ავითარებს მოსწავლეთა წარმოსახვისა და მუსიკალური სახეების ამოცნობის უნარს. ასეთ მაგალითებს მრავლად ვხვდებით საგაკვეთილო აქტივობებში.

სახელმძღვანელოში მოცემული განმარტებების მნიშვნელობას მოსწავლე კონკრეტული მაგალითების მეშვეობით გაიაზრებს და შესაბამის დროს გამოიყენებს კიდეც.

სახელმძღვანელოში მოცემული სწავლების მეთოდები თავიდან აგვაცილებს მოსწავლეებისთვის რაიმეს დაზუთხვის ან დაზეპირების შეთავაზებას.

თითოეულ თემას ახლავს კომპლექსური დავალებები, რომლებსაც წინ უძღვის საეტაპო აქტივობები.

საგაკვეთილო აქტივობები ლოგიკურად და მიზანმიმართულად უკავშირდება კომპლექსურ დავალებებს.

კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეთა მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცებაზე.

საზოგადოდ, I-IV კლასების სერია ირჩევს გაღრმავებული სწავლების ფორმას, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივ და მრავალმხრივ მიწოდებას. სწავლების პროცესში ინფორმაციული მარცვალი ჩადებულია პირველივე სასწავლო წლის მასალაში, მომდევნო კლასებში კი იგი ღვივდება, ვითარდება და მდიდრდება.

საწყის ეტაპზე ბავშვები იწყებენ ინტონაციების, მოტივების, შემდეგ კი ფრაზების, მუსიკალური წინადადებებისა და თემების ამოცნობას, შესაბამის სახეებთან დაკავშირებას. საბოლოოდ, ეს აქტივობები მოსწავლეებს განუვითარებს მუსიკის მოსმენის, აღქმის, სხვადასხვა მუსიკალური ჟანრისა და ფორმის გააზრების უნარებს; ასევე მუსიკასთან საკუთარი დამოკიდებულების, მასზე მსჯელობის შესაძლებლობას. წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს საგანთაშორისი კავშირების დამყარებას.

მოგეხსენებათ, რომ საქართველოში ქართველ ბავშვებთან ერთად სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის ბავშვები იღებენ განათლებას. I-IV კლასების მუსიკის სახელმძღვანელოების სერია ითვალისწინებს ეროვნული უმცირესობების თვითმყოფადობის მნიშვნელობის წარმოჩენას და ამდენად, თემებში შესაბამისად მიწოდებულია ინფორმაცია, რომლის მიზანი მოსწავლის ცნობიერების ამაღლება და განვითარებაა. ეს ინფორმაცია კი ეფუძნება ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების პატივისცემის პრინციპებს.

■■■ მიზნები და ამოცანები

სკოლაში ესთეტიკური აღზრდის მიზანია განუვითაროს მოსწავლეებს წარმოსახვა, შემოქმედებით-ასოციაციური აზროვნება და ემოციური დამოკიდებულებები; გამოუმუშაოს ხელოვნების ნიმუშებისა და მუსიკის აღქმის, შეფასების, გარემოს შეცნობისა და მისი მხატვრულად ასახვის უნარები და ამით ხელი შეუწყოს თვითგამოხატვის განსხვავებული საშუალებებისა და ფორმების

დაუფლებას. დაეხმაროს მოსწავლეებს ხელოვნების უნივერსალური ენის შესწავლასა და მისი საშუალებით ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან ზიარებაში. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა ნიშნავს, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებითა და სწავლის სტილით, რაც უნდა გავითვალისწინოთ სწავლა-სწავლების დროს.

სახელმძღვანელო ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში, სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში, შშმ) მოსწავლეების ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში საგნისა და სპეცმასწავლებლის დახმარებით. წინასწარ შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ხელს უწყობს მათ ინტეგრირებას სწავლის პროცესში.

■■■ **კომპლექსური დავალება.** არის შემოქმედებითი პროდუქტი (მაგალითად, ფრაგმენტის გამოსახულებასთან დაკავშირება, მოსმენილი კოლაჟის შესახებ მსჯელობა და სხვა), რომელსაც ქმნის მოსწავლე და რომლის საშუალებითაც საკუთარ ცოდნას ადასტურებს შესასწავლ მასალასთან მიმართებით (მაგალითად, ადასტურებს, თუ როგორ შეუძლია მუსიკალურ ინტონაციაში, მოტივში, თემაში, ფრაზაში, ფრაგმენტში, ნაწარმოებში ემოციებისა და განწყობის ამოცნობა).

ამასთან, კომპლექსური დავალება მოსწავლეს საშუალებას აძლევს, კიდევ ერთხელ დაფიქრდეს შესწავლილ საკითხებზე და გაიაზროს იგი.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყება ხდება პირველივე გაკვეთილებიდან.

I ეტაპზე ყველა მოსწავლემ უნდა მიიღოს დავალება და შეათანხმოს მასწავლებელთან, თუ რა ფორმით მოხდება შესრულებული დავალების წარდგენა.

II ეტაპზე მასწავლებელი და მოსწავლეები მუშაობენ კომპლექსური დავალების შესრულებაზე.

- ეცნობიან და განიხილავენ დავალებასთან დაკავშირებულ რესურსებს
- ხორციელდება შესაბამისი აქტივობები
- მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ კომენტარებს

იმისთვის, რომ მოსწავლეებს გაუადვილდეთ კომპლექსური დავალების შესრულება, მასწავლებელმა ყურადღებით უნდა გააცნოს კომპლექსური დავალების პირობა, რომელშიც დაზუსტებულია, თუ რა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა ევალებათ მათ.

ამასთან, მასწავლებელმა უნდა გააცნოს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლეს ატყობინებს, თუ რა უნდა გაითვალისწინოს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და შემოქმედებითი პროდუქტის აგებისას. მეორე მხრივ, სწორედ ამ კრიტერიუმების მიხედვით შეფასდება თითოეულის ნამუშევარიც.

სახელმძღვანელოში მაგალითისთვის მოცემულია ერთი კომპლექსური დავალების მატრიცის ნიმუში.

■■■ **სოლოტაქსონომია (განმავითარებელი/სიტყვიერი შეფასება)**

აბსტრაქტული დონე. მოსწავლე ადგენს კანონზომიერებებს გამოყენებული მუსიკალური ხერხებისა და სამყაროს ხმებს შორის, რომელთა მეშვეობით შეიქმნა გარკვეული მუსიკალური მხატვრული სახე. სთავაზობს ხმოვანი გზავნილის საკუთარ ინტერპრეტაციას, ხმებისა და მუსიკის მახასიათებლებზე დაყრდნობით მოჰყავს სათანადო არგუმენტები ამ ინტერპრეტაციის სასარგებლოდ (მაგ., ასეთ მუსიკას მე შხაპუნა წვიმის დროს მოვუსმენდი, ძალიან მღელვარე მუსიკაა, მეც ასეთ მღელვარებას ვგრძნობ ხოლმე).

საერთო მახასიათებლების მიხედვით არჩევს სამყაროს ხმებს და მუსიკალურ ფრაგმენტებს რაიმე მხატვრული სახის შესაქმნელად (მაგ., ზამთრის პეიზაჟი). გარკვეული მახასიათებლების მიხედვით ირჩევს ხმებს და მუსიკალურ ფრაგმენტებს (მაგ., ზამთრის ტყის ხმები და მსგავსი მახასიათებლების მქონე მუსიკალური ფრაგმენტები), გადმოსცემს საერთო განწყობას. შეუძლია სხვა მხატვრული სახე მიუსადაგოს (მაგ., დილა ტბაზე).

მიმართებითი დონე. მოსწავლე პოულობს განსხვავებებსა და მსგავსებებს სამყაროს ხმებსა და მუსიკის მახასიათებლებს შორის და ამის საფუძველზე აკავშირებს მათ სამყაროს სხვადასხვა მოვლენასა და საგანთან. ამოიცნობს ემოციურ მუხტს. მიზნობრივად იყენებს სათანადო ლექსიკას

(ეს შხაპუნა წვიმაა იმიტომ, რომ უფრო ძლიერი ხმა აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ შხაპუნა წვიმას; ეს მუსიკა ჰგავს შხაპუნა წვიმას იმიტომ, რომ უფრო ხმამაღალი მუსიკაა, სიხარულს გადმოსცემს, რომელიც შხაპუნა წვიმის დროს გიჩნდება).

მულტისტრუქტურული დონე. მოსწავლე ამოიცნობს ხმის, ხმაურის, მუსიკის მახასიათებლებს, აკავშირებს ვიზუალურ სახეებს და ემოციურ მუხტს, მაგრამ მიზნობრივად ვერ იყენებს სათანადო ლექსიკას. მუსიკალურ გზავნილს ვერ უკავშირებს ცნების მკვიდრ წარმოდგენებს; ვერ ხსნის ემოციურ მუხტს (ეს შხაპუნა წვიმაა იმიტომ, რომ უფრო ბოხი ხმაა, ვიდრე ჩვეულებრივი წვიმის დროს. ეს მუსიკა შხაპუნა წვიმას ჰგავს იმიტომ, რომ სწრაფი რიტმია).

უნისტრუქტურული დონე. მოსწავლე ინტუიციურად ამოიცნობს ხმის ან მუსიკის ცალკეულ მახასიათებლებს, უკავშირებს მათ სამყაროს რაიმე ერთ კონკრეტულ მოვლენას ან საგანს, მაგრამ ვერ ხსნის თავის არჩევანს და ვერ იყენებს სათანადო ლექსიკას. (მაგ., შხაპუნა წვიმაა იმიტომ, რომ შხაპუნა წვიმის დროს არის ასეთი ხმა, ეს მუსიკა ჰგავს წვიმას იმიტომ, რომ ამ მუსიკაზე წვიმა მახსენდება და ა.შ.).

პრესტრუქტურული დონე. მოსწავლე ვერცერთი ნიშნით ვერ ამოიცნობს ხმოვან გზავნილს და ხმოვანი გზავნილის ემოციურ მუხტს. ვერ ამყარებს ადეკვატურ ასოციაციურ კავშირს სამყაროს რაიმე მოვლენასთან ან საგანთან.

■■■ განმავითარებელი შეფასება II კლასის კომპლექსური დავალებისთვის!

კრიტერიუმი	აღწერილობა **რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე**	კომენტარი **რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)**
პრესტრუქტურული დონე: ვერცერთი ნიშნით ვერ ამოიცნობს ხმოვან გზავნილს, ვერ ამოიცნობს ხმოვანი გზავნილის ემოციურ მუხტს. ვერ ამყარებს ადეკვატურ ასოციაციურ კავშირს გარე სამყაროს რაიმე მოვლენასთან ან საგანთან.	მოსწავლემ ვერცერთი ნიშნით ვერ ამოიცნო მუსიკის ემოციური მუხტი, ვერცერთი ნიშნით ვერ დაუკავშირა სამყაროს რაიმე მოვლენას, საგანს.	გირჩევ მოინდომო და მეტად ჩაერთო აქტივობებზე მუშაობის პროცესში, გაიაზრო, რა საკითხებზე მსჯელობას ეთმობა ჩვენი გაკვეთილები, რომ მომავალში უკეთ შეასრულო დავალების პირობა.

კრიტერიუმი	აღწერილობა **რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე**	კომენტარი **რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)**
უნისტრუქტურული დონე: ინტუიციურად ამოიცნობს ხმის ან მუსიკის ცალკეულ მახასიათებლებს, უკავშირებს მათ გარე სამყაროს რაიმე ერთ კონკრეტულ მოვლენას ან საგანს, მაგრამ ვერ ხსნის თავის არჩევანს და ვერ იყენებს სათანადო ლექსიკას (მაგ. შხაპუნა წვიმაა იმიტომ, რომ შხაპუნა წვიმის დროს არის ასეთი ხმა, ეს მუსიკა ჰგავს წვიმას იმიტომ, რომ ამ მუსიკაზე წვიმა მახსენდება).	მოსწავლემ ამოიცნო მუსიკის მხოლოდ ცალკეული მახასიათებელი, ისიც გაუცნობიერებლად, დაუკავშირა გარე სამყაროს მხოლოდ ერთ მოვლენას, მხატვრულ სახეს, საგანს, ვერ ახსნა თავისი არჩევანი და შესაბამისად, ვერ გამოიყენა ტერმინოლოგია.	ყოჩაღ, რომ გაიგე დავალების პირობა. შენს ნაშრომში ჩანს, რომ არ გიჭირს მუსიკის საკუთარ წარმოდგენებთან დაკავშირება, თუმცა შენეულ ახსნას, თუ რატომ შეგექმნა ეს წარმოდგენა, დამაჯერებლობა აკლია. მიაქციე ყურადღება იმას, თუ რომელმა მუსიკალურმა ხერხებმა შეგიქმნა ეს შეგრძნებები და წარმოდგენები.

კრიტერიუმი	აღწერილობა **რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე**	კომენტარი **რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)**
მულტისტრუქტურული დონე: ამოიცნობს ხმის, ხმაურის, მუსიკის მახასიათებლებს, აკავშირებს ვიზუალურ სახეებს და ემოციურ მუხტს. მაგრამ მიზნობრივად ვერ იყენებს სათანადო ლექსიკას. მუსიკალურ გზავნილს ვერ უკავშირებს ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. ვერ ხსნის ემოციურ მუხტს (ეს შხაპუნა წვიმაა იმიტომ, რომ უფრო ბოხი ხმაა, ვიდრე ჩვეულებრივი წვიმის დროს. ეს მუსიკა შხაპუნა წვიმას ჰგავს იმიტომ, რომ სწრაფი რიტმია).	მოსწავლემ ამოიცნო მუსიკის რამდენიმე მახასიათებელი, შეეცადა დაეკავშირებინა სხვადასხვა მოვლენასთან, მხატვრულ სახესთან, საგანთან, მაგრამ ვერ ახსნა, რა მიმართებები და კავშირებია კონკრეტულ მოვლენას, მხატვრულ სახესა და მუსიკის მახასიათებლებს შორის. ვერ გაიაზრა მუსიკალური გზავნილისა და ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან კავშირი. მუსიკის მახასიათებლებზე მსჯელობისას ვერ გამოიყენა სათანადო ტერმინოლოგია.	ყოჩაღ, შენ მშვენივრად გაიგე პირობა. შეძელი არა მხოლოდ საკუთარი წარმოდგენების გადმოცემა (მიამსგავსე გარე სამყაროს სახეებთან დაკავშირება), არამედ შეეცადე აგეხსნა, თუ რატომ შეგექმნა ასეთი წარმოდგენები. თუმცა ახსნისას მუსიკის მახასიათებლების ერთმანეთთან დაკავშირების დროს ჩანს უზუსტობები. როგორც ჩანს, შენ გჭირდება უფრო მეტი დაფიქრება ამ მახასიათებლების მნიშვნელობაზე, გაკვეთილის მსვლელობისას დასვა დამაზუს-ტებელი შეკითხვები და და-ფიქრდე, რა კავშირია მუსიკის მახასიათებლებსა და მუსიკაში გადმოცემულ კონკრეტულ მოვლენას, შინაარსს შორის.

კრიტერიუმი	აღწერილობა **რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე**	კომენტარი **რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)**
მიმართებითი დონე პოულობს განსხვავებებსა და მსგავსებებს გარე სამყაროს ხმებსა და მუსიკის მახასიათებლებს შორის და ამის საფუძველზე აკავშირებს მათ გარე სამყაროს სხვადასხვა მოვლენასა და საგანთან. ამოიცნობს ემოციურ მუხტს. მიზნობრივად იყენებს სათანადო ლექსიკას (ეს შხაპუნა წვიმაა იმიტომ, რომ უფრო ძლიერი ხმა აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ წვიმას; ეს მუსიკა ჰგავს შხაპუნა წვიმას იმიტომ, რომ უფრო ხმამაღალი მუსიკაა, სიხარულს გადმოსცემს, რომელიც შხაპუნა წვიმის დროს გიჩნდება).	მოსწავლემ განასხვავა გარე სამყაროს ხმები და მუსიკის მახასიათებლები, დაუკავშირა კონკრეტულ მოვლენას, სახეს, საგანს. იმსჯელა მუსიკის ემოციურ მუხტზე, გამოიყენა შესაბამისი ტერმინოლოგია, გაიაზრა ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები.	შენ ძალიან კარგად შეასრულე დავალება, კარგად გაიაზრე მუსიკალური ცნებებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების მნიშვნელობა საკითხის შესწავლის პროცესში. შენს ნაშრომში კარგად ჩანს მუსიკის მახასიათებლებისა და გარე სამყაროს მოვლენებს შორის დანახული ურთიერთკავშირები, თუმცა, ვისურვებდი, რომ მეტად ჩანდეს ამა თუ იმ საკითხში განზოგადებული მსჯელობის უნარი.

კრიტერიუმი	აღწერილობა **რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე**	კომენტარი **რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)**
აბსტრაქტული დონე: მუსიკალური ხერხებითა და გარე სამყაროს ხმებით გარკვეული მხატვრული სახის შექმნაში ადგენს კანონზომიერებებს. სთავაზობს ხმოვანი გზავნილის საკუთარ ინტერპრეტაციას, ხმებისა და მუსიკის მახასიათებლებზე დაყრდნობით მოჰყავს სათანადო არგუმენტები ამ ინტერპრეტაციის სასარგებლოდ (მაგ., ასეთ მუსიკას მე შხაპუნა წვიმის დროს მოვუსმენდი, ძალიან მღელვარე მუსიკაა, მეც ასეთ მღელვარებას ვგრძნობ ხოლმე, საერთოდ, წვიმას ყველა მღელვარე მუსიკა უხდება. საერთო მახასიათებლების მიხედვით არჩევს გარე სამყაროს ხმებს და მუსიკალურ ფრაგმენტებს რაიმე მხატვრული სახის შესაქმნელად (მაგ., ზამთრის პეიზაჟი). გარკვეული მახასიათებლების მიხედვით ირჩევს ხმებსა და მუსიკალურ ფრაგმენტებს (მაგ., ზამთრის ტყის ხმები და მსგავსი მახასიათებლების მქონე მუსიკალური ფრაგმენტები), გადმოსცემს საერთო განწყობას. შეუძლია სხვა მხატვრული სახე მიუსადაგოს (მაგ., დილა ტბაზე).	მოსწავლის მსჯელობა იყო არგუმენტირებული – თუ როგორ იქმნება მუსიკალური ხერხებითა და გარე სამყაროს ხმებით გარკვეული მხატვრული სახე, მოვლენა, საგანი. ის მსჯელობისას მივიდა განზოგადებამდე და ჩამოაყალიბა გარკვეული კანონზომიერებები. კონკრეტულ საკითხზე მუშაობისას წარმოაჩინა საკუთარი ინტერპრეტაცია – თავად აირჩია ხმები, მუსიკალური ფრაგმენტები, გააანალიზა მუსიკის მახასიათებლები და გადმოგვცა საკუთარი ხედვა საკითხთან მიმართებით.	შენ არაჩვეულებრივად გაართვი თავი დავალებას და ნამდვილად იმსახურებ უმაღლეს შეფასებას. შენი მსჯელობა იყო არგუმენტირებული, იძლეოდა საკითხის განზოგადების შესაძლებლობას, ამდენად, შენი ხედვა, ინტერპრეტაცია არის ძალიან საინტერესო.

სახელმძღვანელოში შემოთავაზებული საგაკვეთილო სცენარები აგებულია

სწავლა-სწავლების ხუთ პრინციპზე.

I – **აქტიური სწავლა:** მოსწავლეები აქტიურად უნდა იყვნენ ჩაბმული შემოქმედებით პროცესებში: აქტიურად უპასუხონ შეკითხვებს, რომლებიც დასმულია მათი წინარე ცოდნის საფუძველზე და კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპით ახალი ცოდნის დაშენების შესაძლებლობას იძლევა.

II – **წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის კონსტრუირება:** ახალი მასალა მოსწავლეებს მიეწოდებათ თანდათანობით, ეტაპობრივად სათანადო დამუშავების გზით, რათა მივიყვანოთ ისინი ახალ ცოდნამდე.

III – **ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება:** სამიზნე ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეთა ცნობიერებაში შემოდის მუსიკალური მახასიათებლების განხილვის გზით.

IV – **სწავლის სწავლა:** მოსწავლეებსა და მასწავლებლებს მიეწოდებათ ზუსტად გაწერილი მითითებები, რომლებშიც ნათლად ჩანს, თუ როგორ უნდა ასწავლოს მასწავლებელმა და როგორ უნდა ისწავლოს მოსწავლემ.

V – **სწავლა-სწავლება მოიცავს ცოდნის სამ კატეგორიას (დეკლარაციულს, პროცედურულსა და პირობისეულს):**

- დეკლარირებული ცოდნა სტატიკური ხასიათისაა. იგი გულისხმობს თეორიების, ფაქტების, წესების ცოდნას და პასუხობს კითხვას: რა ვიცი?
- პროცედურული ცოდნა დინამიკურია და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას. პროცედურული ცოდნა პასუხობს კითხვას: როგორ გავაკეთო/როგორ შევასრულო?
- პირობისეული ცოდნა დინამიკურია და გულისხმობს პირობების, ანუ არსებითი ნიშან-თვისებების ამოცნობას. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას და პასუხობს კითხვას: როდის და/ან რატომ გამოვიყენო ეს ცოდნა?

■■■ ცნება მუსიკა

ქვეცნებები:

ბგერის თვისებები

ბგერის სიძლიერე – ხმამაღალი, ხმადაბალი, ფორტე, პიანო

ბგერის გრძლიობა – დიდი, საშუალო, მოკლე გრძლიობები

ბგერის სიმაღლე – მაღალი, საშუალო, დაბალი რეგისტრის ბგერები

ბგერის ტემბრი – უხეში, მჭექარე, დახშული, რბილი, წკრიალა, თბილი, სასიამოვნო/არასასიამოვნო

რიტმი – მოძრავი, ცოცხალი, მშვიდი, მდორე, აქცენტირებული, საცეკვაო, მარშისებური, რიტმული ოსტინატო

ტემპი – ნელი, ზომიერი (საშუალო), სწრაფი

მეტრი – ძლიერი და სუსტი დრო

მელოდია

მელოდიის სახეობა – მღერადი, არამღერადი, აღმავალი, დაღმავალი, სევდიანი, მელოდია ნახტომებით

მელოდიის ხასიათი – იდუმალი, საშიში, მხიარული, სევდიანი, საზეიმო, დაძაბული, მშვიდი და ა.შ.

მელოდიაში ინტონაციები – ხმაბაძვითი ინტონაციები

ჰარმონია – კეთილხმოვანი (სასიამოვნო) ჰარმონია; არაკეთილხმოვანი (არასასიამოვნო) ჰარმონია;

ფორმა – კომპოზიცია

ჟანრი – სიმღერა

ინსტრუმენტული პიესები

თემის ფარგლებში ცნების დასამუშავებლად შერჩეული საკითხები:

მუსიკით აღწერა

მუსიკით განწყობის შექმნა

მუსიკით თხრობა

მუსიკით ემოციის გადმოცემა

თემა: ცხოველები მუსიკაში
თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნების მიხედვით: მოსწავლემ უნდა შეძლოს • მუსიკალური ბგერის ელემენტებით (ხმა, ხმაური, ბგერა, რიტმი, ჰარმონია) ცხოველის გარეგნობის, აღნაგობის, მოძრაობის, ქცევის გადმოცემა: • მუსიკალური ენის ელემენტების (მაგ., ფორმის) გამოყენება ცხოველის შესახებ ამბების გადმოსაცემად; • მუსიკალური ენის ელემენტების გაანალიზება, რომელთა საშუალებითაც სხვადასხვა კომპოზიციაში ცხოველების შესახებ ამბები გადმოიცემა.

თემა: წვეულებები და დღესასწაულები სახლში და გარეთ
თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნების მიხედვით: მოსწავლემ უნდა შეძლოს • მუსიკალური ელემენტების (ხმების, ხმაურის, ბგერის, რიტმის, მელოდიის, ჰარმონიის, ფორმის, ჟანრის) გამოყენება დღესასწაულისგან მიღებული ემოციის ან სადღესასწაულო განწყობის გადმოსაცემად; • მუსიკალური ელემენტების (ხმების, ხმაურის, ბგერის, რიტმის, მელოდიის, ჰარმონიის, ფორმის, ჟანრის) გაანალიზება, რომლითაც სხვადასხვა კომპოზიციაში დღესასწაულისგან მიღებული ემოცია ან სადღესასწაულო განწყობა გადმოიცემა.

თემა: ბუნებრივი მოვლენები მუსიკაში
თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნების მიხედვით: მოსწავლემ უნდა შეძლოს • ხმის, ხმაურის, მღერისა და მუსიკალური ელემენტების (რიტმის, მელოდიის, ჰარმონიის, ფორმის) გამოყენება ბუნებრივი მოვლენების აღსაწერად; • ხმის, ხმაურის, ბგერის, მუსიკალური ენის ელემენტების (რიტმის, მელოდიის, ჰარმონიის, ფორმის) გამოყენება ბუნებრივი მოვლენით გამოწვეული ემოციების ან განწყობის გადმოსაცემად; • ხმის, ხმაურის, მღერისა და მუსიკალური ელემენტების (რიტმის, მელოდიის, ჰარმონიის, ფორმის) გაანალიზება, რომელთა საშუალებითაც სხვადასხვა კომპოზიციაში ბუნების მოვლენებით გამოწვეული ემოციები ან განწყობა გადმოიცემა.

შედეგის ინდექსი	**სტანდარტის შედეგები** მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მუს. დაწყ. 1	ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერისა და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;
მუს. დაწყ. 2	ხმის, ხმაურის, მღერისა და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) საშუალებით გარე სამყაროზე საკუთარი წარმოდგენების ჩამოყალიბება/განვითარება.

მუს. დაწყ. 3	გარე სამყაროს ამსახველი ხმოვანი გზავნილის ჩასაწერად სხვადასხვა სიმბოლოს გამოყენება მუსიკის, როგორც ერთ-ერთი საკომუნიკაციო ენის გასააზრებლად;
მუს. დაწყ. 4	მუსიკალური ენის ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლზე მსჯელობა მხატვრული სახის (მაგ.: პერსონაჟის, პეიზაჟის) შექმნაში გარე სამყაროში მიმდინარე პროცესების შესახებ საკუთარი დამოკიდებულების გამოსახატად;
მუს. დაწყ. 5	მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა მუსიკით რაიმე მოვლენის აღსაწერად ან ამბის გადმოსაცემად;
მუს. დაწყ. 6	მუსიკალური ელემენტების (მაგ. ფორმის) გამოყენება იდეის განვითარების გადმოსაცემად და გასააზრებლად.

თემა	**კომპლექსური დავალება**
თემა 1. ცხოველები მუსიკაში	მოუსმინეთ ფრაგმენტებს სიმფონიური ზღაპრიდან „პეტია და მგელი“. დაადგინეთ, ზღაპრის რა ეპიზოდია აღწერილი ამ მუსიკალურ ფრაგმენტებში. იმსჯელეთ, რა მახასიათებლებით გადმოსცემს კომპოზიტორი ამ ეპიზოდების ემოციებს. შეავსეთ ცხრილი და წარუდგინეთ კლასს. **საკითხი:** მუსიკით ემოციის აღწერა
თემა 2. დღესასწაულები და წვეულებები შინ და გარეთ	საახალწლო წვეულების მუსიკალური გაფორმება პიოტრ ჩაიკოვსკის ბალეტის „მაკნატუნას“ ფრაგმენტების გამოყენებით. **საკითხი:** მუსიკით განწყობით გადმოცემა;
თემა 3. ბუნების მოვლენები მუსიკაში	მოსმენილი ხმები შეუსაბამეთ ბუნებრივი მოვლენების ამსახველ სურათებს და გრაფიკულ გამოსახულებებს. ამ სურათების შესაბამისი წინადადებები დაუკავშირეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს. იმსჯელეთ, რა მუსიკალური მახასიათებლებით გადმოიცემა მუსიკალური მოვლენები და შეავსეთ ცხრილი. **საკითხი:** მუსიკით აღწერა

თემა: ცხოველები მუსიკაში **კომპლექსური დავალების პირობა:** მოუსმინეთ ფრაგმენტებს სიმფონიური ზღაპრიდან „პეტია და მგელი“. დაადგინეთ, ზღაპრის რა ეპიზოდია აღწერილი ამ მუსიკალურ ფრაგმენტებში. იმსჯელეთ, რა მახასიათებლებით გადმოსცემს კომპოზიტორი ამ ეპიზოდების ემოციებს. შეავსეთ ცხრილი და წარუდგინეთ კლასს. **საკითხი:** მუსიკით ემოციის აღწერა **ნაბიჯი 1.** როგორ დავუკავშირო ზღაპრის ეპიზოდი მუსიკალურ ფრაგმენტებს? **ნაბიჯი 2.** რა მუსიკალური ხერხებით გადმოიცემა ზღაპრის ეპიზოდების ემოცია? **ნაბიჯი 3.** როგორ წარვადგინოთ ზღაპრის ეპიზოდები კლასის წინაშე?	

კომპლექსური დავალების პირობა	**გრძელვადიანი მიზნები:**
ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე: 1. როგორ აღიწერება მუსიკით ცხოველები? 2. როგორ ამოვიცნო ცხოველები მუსიკით? 3. როგორ აღვწერო მუსიკით ცხოველები?	**სამიზნე ცნება:** მუსიკა შედეგი: მუს. დაწყ. (I). 2.4. 5. **ქვეცნებები:** **ბგერის სიძლიერე** (ხმამაღალი, ხმადაბალი, ფორტე, პიანო) **ბგერის გრძლიობა** (დიდი, საშუალო, მოკლე გრძლიობები) **ბგერის სიმაღლე** (მაღალი, საშუალო სიმაღლის რეგისტრი) **ბგერის ტემბრი** (უხეში, მჭექარე, დახშული, რბილი, წკრიალა, თბილი, სასიამოვნო/არასასიამოვნო) **სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:** • მუსიკა მოიცავს ყველაფერს, რაც გვესმის (ხმა, ხმაური), რაც ატარებს თავის თავში განწყობას, შინაარსს და იწვევს ჩვენში გარკვეულ განცდას; • ხმა, ხმაური, მელოდია, რიტმი, ჰარმონია და ფორმა მუსიკის მთავარი მახასიათებლებია; • მუსიკალურ ნაწარმოებს აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული.

პრაქტიკული რჩევები მასწავლებლისთვის
(კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპები)

I ეტაპი. კომპლექსური დავალების ფორმა

რესურსი	**იდეები აქტივობისთვის**	**სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები**
რესურსი 1. კომპლექსური დავალების ცხრილი 1  2 3 4 **რესურსი 2 ცხრილი** ჩიტი | მგელი | იხვი | კატა | | |	**აქტივობა 1** მოსწავლისათვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა. მიუთითეთ ბავშვებს სურათზე და სთხოვეთ მიჰბაძონ ცხოველთა ხმებს. შემდეგ სურათზე ასახული რიტმის მიხედვით თანამიმდევრულად გაახმოვანეთ გამოსახულებები. **აქტივობა 2** დაახარისხეთ ცხრილში და ჩაწერეთ ციფრებით ცხოველების ამსახველი ფრაგმენტები რეგისტრების მიხედვით. მაგ.: ფრაგმენტი, რომელიც ყველაზე მაღალ რეგისტრში ჟღერს, აღნიშნეთ „1“-ით.	• რა არის წარმოდგენილი მოცემულ გამოსახულებაში? • მუსიკის რა მახასიათებლების გამოყენება შეიძლება კონკრეტული ცხოველების დასახასიათებლად? • როგორ შეიძლება განვასხვაოთ მუსიკის საშუალებით ერთმანეთისგან ცხოველები? • მუსიკის რა მახასიათებლით შეიძლება ამოვიცნოთ დიდი და პატარა ცხოველი? ხმის რა მახასიათებლებით შეიძლება ამოვიცნოთ ცხოველის ქცევის თავისებურებები?

II ეტაპი. კომპლექსური დავალების ფორმა

რესურსი	**იდეები აქტივობისთვის**	**სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები**
რესურსი **ჩიტი** | **მგელი** | **იხვი** | **კატა** [ ] [ ] [ ] [ ]	მოუსმინეთ ფრაგმენ-ტებს და ხაზებით დააკავშირეთ პერსონა-ჟებთან. შემოხაზეთ ის ინსტრუ-მენტი, რომელიც შეესა-ბამება პერსონაჟს.	• როგორ დააკავშირეთ პერსონაჟები ფრაგმენტებთან? • ამოიცანით ფრაგმენტებიდან, რომელი იყო ხმამაღალი (ძლიერი) და რომელი ხმადაბალი (ჩუმი, სუსტი)? • რომელი იყო ბოხი და რომელი წვრილი?

<table>
<tr><td colspan="2">სამიზნე ცნება: მუსიკა
საკითხი: მუსიკით აღწერა</td></tr>
<tr><td>კრიტერიუმი სამიზნე ცნება</td><td>მოსწავლეს შეუძლია აღწეროს სამუშაო პროცესი:</td></tr>
<tr><td>აბსტრაქტული დონე
მუსიკალური ხერხებით და გარკვეული მხატვრული სახის შექმნაში ადგენს კანონზომიერებებს. სთავაზობს ხმოვანი გზავნილის საკუთარ ინტერპრეტაციას, ხმების და მუსიკის მახასიათებლებზე დაყრდნობით მოჰყავს სათანადო არგუმენტები ამ ინტერპრეტაციის სასარგებლოდ (მაგ., ასეთ მუსიკას მე ჩიტის გალობას შევადარებდი, ძალიან ლამაზი, სასიამოვნო მუსიკაა, მეც ასეთ სიამოვნებას ვგრძნობ, როდესაც ჩიტების გალობას ვუსმენ, მათ ფრენას ვაკვირდები). საერთო მახასიათებლების მიხედვით არჩევს სამყაროს ხმებს და მუსიკალურ ფრაგმენტებს რაიმე მხატვრული სახის შესაქმნელად (მაგ., მგლის ხასიათი) გარკვეული მახასითებლების მიხედვით ირჩევს ხმებს და მუსიკალურ ფრაგმენტებს (მაგ., საკრავები, ცხოველის ხმები და მსგავსი მახასიათებლების მქონე მუსიკალური ფრაგმენტები), გადმოსცემს საერთო განწყობას. შეუძლია სხვა მხატვრული სახე მიუსადაგოს (მაგ., სხვადასხვა ფრინველს, ცხოველს, ან პეიზაჟს).</td><td rowspan="5">• აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
• აღწერე, რა პროდუქტი შექმენი;
• რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება?
• ახსენი, რატომ მიუსადაგე გარკვეული მუსიკალური ფრაგმენტები კონკრეტულ ცხოველს?
• რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
• რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
• მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?</td></tr>
<tr><td>მიმართებითი დონე
პოულობს განსხვავებებს და მსგავსებებს სამყაროს ხმებსა და მუსიკის მახასიათებლებს შორის და ამის საფუძველზე აკავშირებს მათ სამყაროს სხვადასხვა მოვლენასა და საგანთან. ამოიცნობს ემოციურ მუხტს. მიზნობრივად იყენებს სათანადო ლექსიკას (ეს ხალისიანი ჩიტია იმიტომ, რომ უფრო ლამაზი და სწრაფი ბგერებით მღერის, ეს მუსიკა ჰგავს ჩიტის გალობას იმიტომ, რომ ჟღერს სასიამოვნოდ, თითქოს სიხარულს გადმოსცემს).</td></tr>
<tr><td>მულტისტრუქტურული დონე
ამოიცნობს ხმის, ხმაურის, მუსიკის მახასიათებლებს, აკავშირებს ვიზუალურ სახეებს და ემოციურ მუხტს. მაგრამ მიზნობრივად ვერ იყენებს სათანადო ლექსიკას. მუსიკალურ გზავნილს ვერ უკავშირებს ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. ვერ ხსნის ემოციურ მუხტს (ეს ჩიტი პატარაა, იმიტომ რომ მუსიკა სწრაფია).</td></tr>
<tr><td>უნისტრუქტურული დონე
ინტუიციურად ამოიცნობს ხმის ან მუსიკის ცალკეულ მახასიათებლებს, უკავშირებს მათ სამყაროს რაიმე ერთ კონკრეტულ მოვლენას ან საგანს, მაგრამ ვერ ხსნის თავის არჩევანს და ვერ იყენებს სათანადო ლექსიკას (მაგ. ჩიტია იმიტომ, რომ ჩიტი გამოსცემს ასეთ ხმას, ეს მუსიკა მომაგონებს ჩიტს იმიტომ, რომ ამ მუსიკაზე ჩიტის ფრენა მახსენდება და ა.შ.).</td></tr>
<tr><td>პრესტრუქტურული დონე
ვერცერთი ნიშნით ვერ ამოიცნობს ხმოვან გზავნილს და ხმოვანი გზავნილის ემოციურ მუხტს. ვერ ამყარებს ადეკვატურ ასოციაციურ კავშირს სამყაროს რაიმე მოვლენასთან ან საგანთან.</td></tr>
</table>

სიტყვის კონა

ეს თქვენი „სიტყვის კონაა“. როდესაც მუსიკის შესახებ ისაუბრებთ, ხშირად მოგვაკითხეთ და გაიხსენეთ, რა თვისებები აქვთ ხმა-ბგერებს და რა მახასიათებლები აქვთ მუსიკალურ ნაწარმოებებს.

- **ბგერის სიმაღლე** შეიძლება იყოს წვრილი – მაღალი, ბოხი – დაბალი ან საშუალო.
- **ბგერას** შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა **ტემბრი**: რბილი, მჭახე, ხავერდოვანი, წკრიალა, დახშული, მოგუდული, ყრუ, მუქი, მყვირალა, თბილი.
- **ბგერა** შეიძლება **ჟღერდეს** ხანგრძლივად ან მოკლედ.
- **ბგერა** შეიძლება იყოს ძლიერი – ფორტე, პიანო – ჩუმი ჟღერადობისა.

მუსიკის მახასიათებლები

- **რიტმი:** მდორე, ცოცხალი, მკვეთრი, განმეორებადი, არაგანმეორებადი.
- **მელოდიის სახეობაა:** აღმავალი, დაღმავალი, ნახტომებით, მღერადი, არამღერადი.
- **მელოდიის ხასიათი:** სევდიანი, მხიარული, საცეკვაო, მშვიდი, დაძაბული.
- **ტემპი**: სწრაფი, ნელი, საშუალო, აჩქარებული, შენელებული.
- **ფორმა:** დასაწყისი, შუა ეპიზოდი, დასასრული.
- **ჰარმონია:** კეთილხმოვანი – სასიამოვნო, არაკეთილხმოვანი – უსიამოვნო.

პირობითი ნიშნები

ნახეთ ვიდეო და მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს

ჩაწერეთ დავალება

დახატეთ ნახატი

II კლასი
თემა 1: ცხოველები მუსიკაში

თემის ძირითადი მიზანია, მუსიკის გამომსახველობით საშუალებებსა და ცხოველთა სამყაროს შორის ასოციაციური კავშირების გაბმით მოსწავლის გრძნობად-ემოციური შთაბეჭდილებების გამდიდრება. ეს პროცესი ეტაპობრივად წარიმართება და განვლილი თემატური მასალის ათვისებით მიღებული შედეგები თვალსაჩინო გახდება, როცა მოსწავლე:

- ცხოველის გარეგნობის, ხმისა და ქცევის სხვადასხვა ხერხით გადმოცემის პროცესში მელოდიის, მოტივის, ინტონაციის, რიტმული ფიგურაციის, ტემპის, რეგისტრის როლს განსაზღვრავს;
- მელოდიის მოტივსა და ინტონაციას, რიტმულ ფიგურაციას, ტემპს, რეგისტრსა და ცხოველის გარეგნობას, ხმასა და ქცევას შორის ასოციაციური კავშირების გაბმას შეძლებს;
- სხვადასხვა ცხოველის ხმას მიჰბაძავს და ამ ხმების მიბაძვის ინტონაციით ცხოველებს ამოიცნობს;
- მუსიკალური ნაწარმოების ყურადღებით მოსმენით მის მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავს; კავშირს გააბამს ვიზუალურ რიგსა და მოსმენილს შორის, ასევე, მეტრის შეგრძნებით გაახმოვანებს მოცემულ სურათს, გამოიყენებს ხმა/ბაძვით სიტყვებს.
- შეძენილი ცოდნის გამოყენებით და საგანთაშორისი კავშირით ცოდნის ინტეგრირებით ახალი ცოდნის კონსტრუირებას შეძლებს;
- წყვილში მუშაობით თანამშრომლობით უნარ-ჩვევებს გამოიმუშავებს;
- ცხოველის ხმის ამსახველ ინტონაციას შესაბამისი სიმბოლოთი გამოხატავს; მუსიკის საგნის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, სხვა საგნებში ნასწავლ მასალასა და ყოველდღიურ ცხოვრებასთან კავშირში, ახალი მასალის შესასწავლად გამოიყენებს;
- აყალიბებს და გამოთქვამს საკუთარ აზრს.

1 ზაფხულის გრძელი დღეები

აქტივობა 1

წელიწადის დროთაგან ზაფხული ყველაზე ცხელი და თავგადასავლებით სავსე სეზონია. ალბათ თქვენც სასიამოვნოდ გახსენდებათ დასვენებით მიღებული შთაბეჭდილებები, რომელზეც დაუსრულებლადაც შეგიძლიათ საუბარი. დასვენება ზოგს სოფელში, ზოგს ზღვაზე, ზოგსაც სულაც შინ დარჩენა და დროის საინტერესოდ გატარება ურჩევნია.

ალბათ გახსოვთ ჩვენი წიგნის გმირები – ნანიკო, თომა და ანა. მათ მოსწონთ სოფელში დასვენება, იქ ერთად ძალიან კარგად ატარებენ დროს. მათთვის სოფელში ყოფნას არაფერი სჯობს, რადგან კოპწია სახლში, საყვარელ ბებიასა და პაპასთან გატარებული ზაფხულის გრძელი დღეები ერთმანეთს საინტერესოდ ენაცვლება.

სოფელში დილა ასე იწყება: სისხამ დილით, მამლის ყივილზე, ყველა საქმეს ეშურება, ბავშვებს კი ძილი ურჩევნიათ, მაგრამ აბა, ვინ მოასვენებს? მამალი დაჟინებით, უფრო და უფრო უმატებს ყივილს, ამას გაბრაზებული ძაღლი ენსოს ყეფა ემატება, კატა მიკო ყველაზე ეშმაკურად იქცევა – ჩუმად და მოკრძალებულად კნავის. განა არის საშველი? ხმაურზე ბავშვები იღვიძებენ და ჟრიამულით იწყება ყველაზე მხიარული დღე.

ერთ დღეს მამლის ყივილით შეწუხებულმა თომამ ჭკუა იხმარა და გადაწყვიტა, ფრინველი სახლის უკან გადაემალა, თომას იდეა ანასა და ნანიკოსაც მოეწონათ. ბავშვებმა იფიქრეს, რომ მერე ენსოც მოუკლებდა ძლიერ და გაბრაზებულ ყეფას, მიკო კი გააგრძელებდა ნაზი ხმით კნავილს, ის ხომ მაინც არავის აწუხებდა.

გათენდა. მამალმა დაიყივლა, მაგრამ ამჯერად მისი ხმა შორიდან მოისმა. ენსოც მიყუჩდა, მაგრამ უჩვეულო სიჩუმით დაბნეულმა მიკომ იმდენი იკნავლა, სანამ ძილისგუდებს ძილი არ დაუფრთხო. ბავშვები მიხვდნენ, რომ მამლის გადამალვით საქმეს ვერ გამოასწორებდნენ, ამიტომ ერთხმად გადაწყვიტეს დილით ადრე ამდგარიყვნენ და ასეც მოიქცნენ. აღმოჩნდა, რომ ახლა თამაშის, გართობისა და თავგადასავლებისთვის მეტი დრო ჰქონდათ.

აქტივობა 2

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს:

დააკვირდით სურათებს და აღწერეთ:

- რა განსხვავება აღმოაჩინეთ?
- თქვენი აზრით, რატომ იყო მამლის ხმა ყველაზე ძლიერი?
- ამ ცხოველებიდან რომელს აქვს ნაზი და წვრილი ხმა?
- ბოხი და გაბმული? დაჟინებული და ძლიერი?

ახლა კი მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს, განსაზღვრეთ, რომელ სურათს შეესაბამება იგი და შემოხაზეთ სწორი პასუხი.

მუსიკოსებმა ხმამაღალ, ძლიერ ჟღერადობას დავარქვით **ფორტე** და **F** სიმბოლოთი აღვნიშნეთ, ხოლო ჩუმ, სუსტ ხმოვანებას ვუწოდეთ **პიანო** და **P** სიმბოლოთი აღვნიშნეთ. უჩვენეთ ვიდეო ფორტესა და პიანოზე.

მონათხრობის მიხედვით იმსჯელეთ და აღწერეთ:

- როდის ესმოდათ ბავშვებს მამლის ყივილი ფორტეზე და როდის პიანოზე? როდესაც მამალი სახლის უკან იყო თუ წინ?
- სად იყო ამ დროს მამალი, ბავშვებთან ახლოს თუ მოშორებით?

აქტივობა 3

მოასმენინეთ ორი ხმა და მიმართეთ მოსწავლეებს:

- მოსმენილის მიხედვით განსაზღვრეთ, რომელია უფრო თანაბარი-რიტმული და რომელი არათანაბარი-არარიტმული?

წარმოდგენილი სიმბოლოები მიუსადაგეთ ამ ხმებს იმ თანამიმდევრობით, როგორც გაჟღერდება და ციფრები უჯრებში ჩაწერეთ.





2–3 ცხოველები მუსიკაში

აქტივობა 1

მოასმენინეთ ბავშვებს ოთხი შინაური ცხოველის ხმა და სთხოვეთ თავდაპირველად გაახმოვანონ ეს ხმები, შემდეგ შეავსონ ცხრილი და ჩაწერონ ციფრები მოსმენილი ხმების მიხედვით. ყველაზე წვრილი ჟღერადობის ხმა აღნიშნონ „1“-ით.

ძაღლი	კატა	ცხენი	ვეფხვი

აქტივობა 2

განმეორებით მოასმენინეთ ბავშვებს ცხოველების ხმები და სთხოვეთ სწორად დაუკავშირონ ისინი ცხრილში არეულად მოცემულ სიმბოლოებს.

უჩვენეთ სწორი ვარიანტი, რათა შეამოწმონ თავიანთი ნამუშევარი.



აქტივობა 3

მიმართეთ მოსწავლეებს:

ყურადღებით დააკვირდით ფრინველების სურათებს.

- იცანით რომელიმე?
- გაიხსენეთ, სად გინახავთ ისინი?

გამოთქვით მოსაზრება ამ ფრინველებზე.

ბელურა

მტრედი

თოლია

ოფოფი

არწივი

აქტივობა 4

დაახარისხეთ ფრინველები ცხრილში ზრდადობის მიხედვით. პირველ უჯრაში ჩაწერეთ ყველაზე პატარა ფრინველი, ხოლო ყველაზე დიდი – ბოლო უჯრაში.

ფრინველი
ბეღურა

აქტივობა 5

ყურადღებით მოუსმინეთ ფრინველების ხმებს. გამოიყენეთ ხმის მახასიათებლები (ხმამაღალი-ძლიერი ფორტე, ხმადაბალი-სუსტი პიანო, ბოხი, წვრილი, წკრიალა, მჭახე, უხეში, სასიამოვნო, არასასიამოვნო, მჭექარე, რბილი, თბილი, ტკბილი, ღუღუნა და ა.შ.) და ჩაწერეთ ფრინველის სახელის გასწვრივ. შეგიძლიათ გამოიყენოთ რამდენიმე მახასიათებელი.

1		
2		
3		
4		
5		

მოასმენინეთ და უჩვენეთ მოსწავლეებს სიმღერების აუდიოჩანაწერი ისე, რომ არ უთხრათ სიმღერების სახელწოდებები. შემდეგ მიმართეთ: ახლა მოუსმინეთ რამდენიმე სიმღერის აუდიო და ვიდეოჩანაწერს. ზოგჯერ ხმაბაძვითი სიტყვებიდან, ზოგჯერ კი ინსტრუმენტებით შესრულებული მიბაძვიდან, ზოგჯერ ჟესტიკულაციიდან გამომდინარე დაადგინეთ:

- რომელი სიმღერა მოგვითხრობს ფრინველების შესახებ? შეეცადეთ ამოიცნოთ ეს ფრინველი.
- რომელი სიმღერა მოგვითხრობს ცხოველის შესახებ? შეეცადეთ ამოიცნოთ ეს ცხოველი.

იპოვეთ თითოეული სიმღერის შესაბამისი გასაფერადებელი კონტური და სანამ სიმღერა დასრულდება, გააფერადეთ.

გერმანული ხალხური სიმღერა „ზუმ, ზუმ, ზუმ“

გერმანული ხალხური სიმღერა „გუგულის სიმღერა ხიდან“

პოლონური ხალხური სიმღერა „მეეტლე“

ჩეხური ხალხური სიმღერა „უცხო ჩიტი“

გერმანული ხალხური სიმღერა „ჰოპ, ჰოპ, ჰოპ, ცხენს გავაჭენებ“











4 ხასიათი თუ მოძრაობა?

აქტივობა 1

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს:

- დააკვირდით სურათებს და გვიამბეთ, რა იცით ამ ცხოველებზე?
- მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს, მოსმენილის მიხედვით ამოიცანით ცხოველები და დააკავშირეთ სურათებთან. თითოეული ცხოველის ამოცნობისას იმსჯელეთ:

რა მოგაგონათ მუსიკამ: ცხოველის ხმა, გარეგნობა, მოძრაობა თუ ხასიათი?

ჯ. გერშვინი. ი. ამერიკელი პარიზში

ი. სტრავინსკი. „პეტრუშკა“ (შენელებული ვერსია)



პ. დუკასი. მუსიკა ფილმისთვის „ჯადოქარი შეგირდი“

მუსიკა ანიმაციური ფილმიდან „გოგონა და სპილო“, ა. ალექსანდროვი

ი. სტრავინსკი ფრაგმენტი ბალეტიდან „ფასკუნჯი“

ბ. ჰერმანი მუსიკა ფილმისთვის „ფსიქოპათი“

კ. პენდერეცკი. სამი მინიატიურა კლარნეტისა და ფორტეპიანოსთვის პირველი ნაწილი

ე. ბერსტაინი საუნდტრეკი ფილმისთვის „კონცხის შიში“

აქტივობა 2

დააკვირდით ცხოველების ორ ჯგუფს.

თითო ჯგუფში ოთხი ცხოველია.

მოისმინეთ ორი მუსიკალური კოლაჟი და შესაბამის ჯგუფებს მიუსადაგეთ.

- რომელი ნიშნებით ამოიცანით ცხოველთა ჯგუფები?



კოლაჟი 1

კოლაჟი 2

აქტივობა 3

შეასრულეთ დავალება. მოცემული სიტყვები, მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტების გათვალისწინებით, მიუსადაგეთ ცხოველებს და შეავსეთ ცხრილი.

ცხოველები	
დათვი	
სპილო	
კენგურუ	
ჟირაფი	
მაიმუნი	
ჩიტი	
ვეფხვი	

დაბალი / მაღალი
ბოხი / წვრილი
ჩქარი / ნელი
აღმავალი / ხანმოკლე
ძლიერი / სუსტი
ხალისიანი / საშიში

5 „ობობა და ბუზი“

აქტივობა 1



უმღერეთ ბავშვებს ინტონაციური სავარჯიშო და სთხოვეთ განმარტონ, რის შესახებაა ის? შემდეგ დააყენეთ ისინი წრეში და ამ სავარჯიშოდან რიგრიგობით ამღერეთ თითო ტაქტი ისე, რომ სავარჯიშოს მთლიანობა არ დაირღვეს. რამდენჯერმე „დაატრიალეთ“ სავარჯიშო წრეში და შემდეგ სთხოვეთ განმარტონ, როგორ ესმით სიტყვა ინტონაციის მნიშვნელობა.

მას შემდეგ, რაც მათ პასუხებს მოისმენთ, სთხოვეთ დააკვირდნენ სასვენ ნიშნებს და წაიკითხონ სიტყვები სხვადასხვა ინტონაციით. მაგ.:

- თხრობითი: აბლაბუდა.
- კითხვითი: აბლაბუდა?
- ბრძანებითი: აბლაბუდა!

განმეორებით ამღერეთ სავარჯიშო იმავე პრინციპით და სთხოვეთ მოცემული სიტყვებისთვის თავად შეარჩიონ ინტონაცია.

კვლავ გააგრძელეთ აქტივობა, რომელიც მოსწავლეებს ინტონაციის შესახებ დააფიქრებს.

მიმართეთ ბავშვებს:

დააკვირდით სასვენ ნიშნებს და წაიკითხეთ მოცემული სიტყვა სხვადასხვა ინტონაციით:

მშვიდად, თხრობითი ინტონაციით. გახსოვთ, წერის დროს ასეთი წინადადების ბოლოს წერტილი უნდა დავსვათ.

კითხვითი ინტონაციით. შეკითხვის დროს კითხვის ნიშანს (?) ვსვამთ.

ძახილის ან ბრძანებითი ინტონაციით. გახსოვთ, ძახილის ნიშანი (!)?

გათენდა. **გათენდა?** **გათენდა!**

მუსიკის მოსმენისას მისი შინაარსის ამოცნობაში მუსიკალური ინტონაცია გვეხმარება.

ინტონაცია სხვადასხვა მუსიკალურ სახეს ქმნის. მაგ., ინგლისელმა კომპოზიტორმა, ბენჟამინ ბრიტენმა საყვირისა და საქსოფონის ჟღერადობით გადმოსცა უდარდელი ბუზის ინტონაცია, ხოლო როიალის პარტიით – საშიში ობობასი.





მოასმენინეთ რამდენიმე ფრაგმენტი ბრიტენის საორკესტრო პიესიდან „ობობა და ბუზი“ და დასვით კითხვები:

- რომელშია ასახული უდარდელი ბუზის ინტონაცია?
- რომელშია საშიში ობობასი?
- რომელი ფრაგმენტი აღწერს ბუზის დაჭერის ინტონაციას?
- სად ისმის ინტონაცია, რომელიც ბუზის შეძახილს „მიშველეთ“ აღწერს?

- თქვენი აზრით, როგორ რეგისტრში ჟღერს საშიში ობობას ინტონაცია?

აქტივობა 2

მოასმენინეთ „კატების დუეტი“ მ. რაველის ოპერიდან „ბავშვი და ჯადოსნობა“ და დაუსვით კითხვები:

- ვის ჰბაძავენ მომღერლები?
- რამდენი ხმა გესმით?
- გოგონას ხმით მღერიან, ბიჭისა თუ ორივესი ერთად?
- როგორ რეგისტრში მღერიან კატები: მაღალში, საშუალოსა თუ დაბალში?

ინტონაციიდან გამომდინარე, რა შეიძლება ვიფიქროთ: კატები ერთმანეთს ეპრანჭებიან თუ ერთმანეთს ეჩხუბებიან?

6 ტემბრი და ინტონაცია

აქტივობა 1

ჰკითხეთ და სთხოვეთ ბავშვებს განმარტონ, როგორ ესმით სიტყვა „ტემბრის“ მნიშვნელობა. მას შემდეგ, რაც ბავშვების პასუხებს მოისმენთ, თავად აუხსენით.

ტემბრი ბგერის „შეფერილობაა“. ტემბრის მიხედვით ერთმანეთისგან განვასხვავებთ და ამოვიცნობთ სხვადასხვა ადამიანის ხმას.

ყურადღებით მოუსმინეთ და ტემბრის მიხედვით განასხვავეთ კატების ხმები.

გაიხსენეთ, რას ნიშნავს ინტონაცია და იმსჯელეთ:

- როგორი ინტონაცია ჟღერს კატების ხმაში: ანჩხლი, მშვიდი, ბრაზიანი, ხალისიანი?
- როგორ ტემბრს მიუსადაგებდით კატების ხმას: თბილს, მჭექარეს, უხეშს, რბილს, ნაზს...

აქტივობა 2

მოუსმინეთ ჯ. როსინის ვოკალურ პიესას „კატების დუეტი“ და იმსჯელეთ, რომელი შემსრულებელი მღერის მაღალ რეგისტრში, რომელი შედარებით დაბალში? შემსრულებლების ინტონაციისა და ტემბრის მიხედვით იმსჯელეთ მუსიკის შინაარსზე.

- კატები ერთმანეთის მეგობრები არიან, თუ კინკლაობენ?
- ხუმრობენ, თუ სინამდვილეშიც ასე იქცევიან?

დუეტი – ორი შემსრულებლის მიერ შესრულებული მუსიკალური ნაწარმოები ან ასეთი შემადგენლობისთვის დაწერილი მუსიკაა.

აქტივობა 3

მოასმენინეთ ბავშვებს ს. პროკოფიევის სიმფონიური ზღაპრიდან „პეტია და მგელი“ კატის ლაიტმოტივი და ჰკითხეთ:

- ეს მოტივი რას მოგაგონებთ, კატის მოძრაობას თუ კნავილს?
- როგორ ამოიცანით, ინტონაციის მიხედვით თუ ტემბრით?

შემდეგ მოასმენინეთ მ. რაველის ოპერიდან „ბავშვი და ჯადოსნობა“, „კატების დუეტი“ და სთხოვეთ, დანომრონ ნახატები მოსმენილი თანამიმდევრობის მიხედვით.



აქტივობა 4

სთხოვეთ მოსწავლეებს დააკვირდნენ სურათებს და აღწერონ.

შემდეგ მოასმენინეთ ფრაგმენტები კ. სენ-სანსის სიუიტიდან ორი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის „ცხოველების კარნავალი “, „გედი“ და „გრძელყურა პერსონაჟები“, სთხოვეთ მოსმენილი ფრაგმენტები სურათებთან დააკავშირონ და უპასუხონ კითხვებს:

- რომელი ფრაგმენტი აღწერდა ცხოველის გარეგნობას და რომელი ჰბაძავდა ცხოველის ხმას?
- მოსმენილიდან რომელ ფრაგმენტში ისმის ინტონაცია, რომელიც ლამაზი და მშვიდი გედის გარეგნობას აღწერს?

უჩვენეთ ვიდეოფრაგმენტი და განუმარტეთ:

კამილ სენ-სანსმა მშვენიერი გედის გარეგნობა და ხასიათი მუსიკაში აღწერა ჩელოსა და არფის ჟღერადობით.

- როგორი ტემბრი აქვს ჩელოს: რბილი, ხავერდოვანი თუ მჭახე?
- როგორ რეგისტრში ჟღერს?
- ჩელო სიმებიანი საკრავია თუ ჩასაბერი?

7 ფრინველები

აქტივობა 1

სთხოვეთ ბავშვებს დააკვირდნენ ნახატს და გაახმოვანონ. ტაში გამოხატავს მეტრს, ცხოველები კი გრძლიობებს, ქათმები მეოთხედებს, ორი გუგული ნახევრიან გრძლიობას. გაამეორებინეთ ბავშვებს. სთხოვეთ თვლას ტაშით აჰყვნენ: ერთი ორი, სამი ოთხი. შემდეგ ერთზე ძლიერი და სამზე შედარებით ძლიერი დაკვრით გამოყავით პირველი და მესამე თვლა, ჰკითხეთ:

- რომელია ძლიერი და რომელი შედარებით ძლიერი დარტყმა?

სავარაუდოდ, ბავშვები უპასუხებენ, ერთი ძლიერია და სამი შედარებით ძლიერიო. ამით მოსწავლეები ქვეცნობიერად გაიაზრებენ მეტრს, ძლიერი და სუსტი დროების მონაცვლეობას.

გაყავით კლასი ორ ჯგუფად. ერთს სთხოვეთ გამოსახონ ტაშით ოთხი თვლა (მათ შორის, პირველი ძლიერი და მესამე შედარებით ძლიერი);

მეორე ჯგუფმა გამოსცეს ნახატზე გამოსახული ცხოველების ხმები.

სავარაუდოდ, თქვენი დახმარება მეორე ჯგუფს დასჭირდება. შემდეგ ჯგუფებმა გაცვალონ ადგილები.



აქტივობა 2

მოასმენინეთ კოლაჟი: კატის კნავილი, ძაღლის ყეფა, ქათმის კაკანი, ჩიტის გალობა. სთხოვეთ თანამიმდევრულად ჩამოთვალონ, რომელი ხმები გაიგონეს. განმეორებით მოასმენინეთ კოლაჟი და ცხოველების ხმების მიმართულება პიქტოგრამებით ჩაწერონ.

დავალების შესრულება რომ გაუადვილდეთ, დაუსვით კითხვები:

- რომელი ხმა მოძრაობს აღმავალი მიმართულებით? რომელი დაღმავალით?
- რომელი ხმა დგას ადგილზე?

განმეორებით მოასმენინეთ კოლაჟი და სთხოვეთ სიმბოლოებით ჩახატონ სხვადასხვა ცხოველის ხმის მოძრაობა. მიუთითეთ და დაფაზე დაუხატეთ. მაგ.: თუ ფიქრობენ, რომ ხმა მოძრაობს ზემოდან ქვემოთ, აღნიშნონ შემდეგი ნიშნით ⌒ თუ ფიქრობენ, რომ ხმა მოძრაობს ზემოთ – ⌣ ხოლო თუ ადგილზე დგას, გაუსვან სწორი ხაზი ———

„ცხოველების ხმები“

აქტივობა 3

მოასმენინეთ სამი მუსიკალური ფრაგმენტი:

ი. ჰაიდნი. სიმფონია №83 „ქათამი“

ჟ. ფ. რამო. პიესა კლავესინისთვის „ქათამი“

კ. სენ-სანსი. პიესა „დედლები და მამლები“ სიუიტიდან „ცხოველების კარნავალი“.

დაუსვით კითხვები:

- რომელი ფრინველი მოგაგონათ მოსმენილმა ფრაგმენტმა?
- სად, რომელ ფრაგმენტში ისმის ბევრი ფრინველის ხმა?
- რომელ ფრაგმენტში იქცევს ყურადღებას აღმავალი ინტონაცია? რომელ ფრაგმენტში – დაღმავალი?

8 გუგული

აქტივობა 1

მოუსმინეთ გუგულის ხმას და დახატეთ ხმის მოძრაობის მიმართულება ისრებით ან თქვენ მიერ გამოგონილი სიმბოლოებით.

აქტივობა 2 ტექსტი ე. ჩუბინიძის



შესთავაზეთ ბავშვებს რიტმული სავარჯიშო კანონის სტილში.

ჯერ მასწავლებელი ასწავლის მელოდიას, ხოლო ხმაბაძვითი სიტყვების წარმოთქმისას, მოსწავლეებმა ტაში უნდა ააყოლონ რიტმის შესაბამისად.

შემდეგ მასწავლებელი კლასს მიმართავს, რომ პირველად მათ დაიწყონ სიმღერა, თავად კი მოგვიანებით შეუერთდება, ასევე გააფრთხილებს, რომ ბავშვები მასწავლებლის ნამღერზე არ უნდა გადავიდნენ, ასე იქმნება ორხმიანობის ჩანასახი.

შესაძლებელია მოსწავლეებმა ორი წრე შეკრან. სიმღერას იწყებენ შიგნითა წრის ბავშვები და მოძრაობენ საათის ისრის მიმართულებით, ხმაბაძვის დროს ჩერდებიან და უკრავენ ტაშს, მეორე ფრაზაზე შედიან გარე წრის ბავშვები და პირველი წრის ბავშვების მსგავსად მოქმედებენ.

აქტივობა 3

მიუთითეთ სურათზე. გუგული დაბურულ ტყეში და გუგული კედლის საათიდან. სთხოვეთ აღწერონ.

შემდეგ ჰკითხეთ:

- რომელი ნახატი აღწერს უღრან ტყეში გუგულის სიმღერას და რომელი ნახატი გუგულის „ხმას“ კედლის საათიდან?

ახლა მოასმენინეთ მუსიკალური ფრაგმენტების კოლაჟი:

- კ. სენ-სანსი. სიუიტა ორი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის „ცხოველების კარნავალი“ – „გუგული“;
- ლ. კ. დაკენი. „გუგული“.

იმსჯელონ და უპასუხონ კითხვებს:

- რომელი ფრაგმენტი შეიძლება მივამსგავსოთ გუგულის ხმას, რომელიც უღრანი ტყიდან მოისმის?
- რომელი ფრაგმენტი მიესადაგება „გუგულის ხმას“ კედლის საათიდან?

განმეორებით მოასმენინეთ კოლაჟი და სთხოვეთ დანომრონ მოცემული ნახატები მუსიკალური ფრაგმენტების თანამიმდევრობის მიხედვით.



კ. სენ-სანსი, „გუგული“ ლ. კ. დაკენი, „გუგული“



ეს სახლია, სადაც თომა და ნანიკო შინაურ ცხოველებთან ერთად ცხოვრობენ. ხედავთ, სახლს აქვს სახურავი, შემდეგ მოდის საცხოვრებელი სართული. მიწაში კი საძირკველია. სახლის რამდენ დეტალზე გავამახვილეთ ყურადღება? სამზე, ხომ? იცით, რომ მუსიკალური ფრაგმენტები, რომლებსაც ჩვენ ვისმენთ, ასევე სხვადასხვა ელემენტისგან/დეტალისგან შედგება. კიდევ ერთხელ მოვუსმინოთ სიმღერას „გუგულზე“, აჰყევით სიმღერით მელოდიას და ააყოლეთ ტაში. ტაშით ჩვენ გამოვსახავთ რიტმს. ამ სიმღერას თავისი ჰარმონია აქვს, რომელზეც ისე დგას სიმღერის რიტმი და მელოდია, როგორც სახლი საძირკველზე.

გაიხსენეთ: რიტმს, მელოდიასა და ჰარმონიას **მუსიკის მახასიათებლები** დავარქვით.

9 ხმები წყაროსთან

აქტივობა 1



შესთავაზეთ ბავშვებს გაახმოვანონ მოცემული გამოსახულება, სადაც წყარო მთელ გრძლიობას განასახიერებს, ჩიტები – მეთექვსმეტედებს, ხოლო ბაჭიები – მეოთხედებს.

შეასრულეთ სავარჯიშო შემდეგი გეგმით:

1. აღწერეთ სურათი.

2. გამოსახეთ ტაშით ოთხი თვლა, მათ შორის პირველი ძლიერი და მესამე შედარებით ძლიერი.

3. გაყავით კლასი ორ ჯგუფად. ერთმა ჯგუფმა დაუკრას ტაში, ხოლო მეორემ თქვენი მითითებით ორ თვლაზე ჩიტებს მიჰბაძოს, სამ და ოთხ თვლაზე კურდღლების იმიტირება სცადონ.

ეს სავარჯიშო მრავალხმიანობის აღქმასა და ჰარმონიული სმენის განვითარებას უწყობს ხელს.

აქტივობა 2

მოასმენინეთ ბავშვებს კომპოზიცია „ბუნების ხმები“ და ჰკითხეთ:

- რა ხმები გესმით? (ჩამოთვალონ ყველა ხმა, რომელიც გაიგონეს)
- ხმები ერთმანეთის მიმდევრობით ისმის თუ ზოგჯერ ერთდროულადაც?

სთხოვეთ მოსმენილი ხმების მიხედვით გამოიგონონ რაიმე ამბავი და გაუზიარონ კლასელებს.

ხმები წყაროსთან

თუ შეატყობთ, რომ გაუჭირდათ თანამიმდევრობის გაშიფვრა, მოასმენინეთ ხმები ცალ-ცალკე გამოცნობისთვის.

შეახსენეთ, რომ ბგერებს, ისევე როგორც ყველაფერს, თავისი თვისებები გააჩნიათ. ამ თვისებებს შემდეგნაირად ვახარისხებთ:

- ბგერის სიძლიერე: (ხმამაღალი, ხმადაბალი)
- ბგერის გრძლიობა (გრძელი-დიდი ბგერა, მოკლე-ბგერა, საშუალო ბგერა)
- ბგერის სიმაღლე (წვრილი მაღალი, საშუალო, ბოხი დაბალი)
- ბგერის ტემბრი (ნათელი, თბილი, უხეში, ცივი, მყვირალა, მოგუდული, მჭახე, ხავერდოვანი, რბილი, მკვეთრი)

მოსმენილ თანამიმდევრობაში რას ჰბაძავს ბგერა, რომელსაც მოგუდული, ჩუმი, მოკლე მაგრამ წვრილი ხმოვანება აქვს?

აქტივობა 3

მოასმენინეთ მოსწავლეებს ამერიკული ხალხური სიმღერა „ბატონი კურდღელი“. მიუთითეთ გასაფერადებელ გამოსახულებაზე და უთხარით, რომ სიმღერაში კურდღელზე მღერიან. შემდეგ უპასუხონ კითხვას:

- რა არის აღწერილი სიმღერაში: კურდღლის ხმა თუ მისი შეკუნტრუშება-შეხტომა?

შეძახილით „აი, აქ არის!“ გამოყონ ის ეპიზოდი, სადაც კურდღლის შეკუნტრუშება-შეხტომაა გამოხატული.

- როგორია ეს კურდღელი: მხიარული, უდარდელი თუ შეშინებული?

განმეორებით მოასმენინეთ სიმღერა და სთხოვეთ გააფერადონ ის გამოსახულება, რომელიც სიმღერაში აღწერილ კურდღელს მიესადაგება.





აქტივობა 4

მოასმენინეთ ფრაგმენტი ლ. ვ. ბეთჰოვენის სიმფონიიდან №6 „პასტორალური“ მეორე ნაწ. (ჩიტების ტრიო) და ჰკითხეთ:

- რას შეიძლება გამოსახავდეს ეს ეპიზოდი: ბაჭიების ხტუნვას თუ ჩიტების გადაძახილს?

მას შემდეგ, რაც, სავარაუდოდ, გიპასუხებენ, რომ ჩიტების გადაძახილი გაიგონეს, განაგრძეთ თხრობა.

ეს ფრაგმენტი გერმანელი კომპოზიტორის, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის ნაწარმოებიდანაა.

ბეთჰოვენმა ჩიტებისა და წყაროს ხმები სამი ჩასაბერი საკრავით გადმოსცა:

ფლეიტით, ჰობოითა და კლარნეტით. ფლეიტას უკვე იცნობთ. ჰობოისა და კლარნეტს ახლა მოვუსმინოთ და ვიმსჯელოთ:

- რომელი ჩიტის ხმას მიამსგავსეთ: მწყრის, გუგულისა თუ ბულბულის?

10 ცხოველების კარნავალი

აქტივობა 1

უჩვენეთ ვიდეოჩანაწერი, რომელშიც სპილოების ხმებია ასახული. ჰკითხეთ:

- როგორ ხმას გამოსცემს სპილო: ყოველთვის ძლიერს, ყოველთვის ჩუმს თუ ხანდახან საშუალოს?
- გაიხსენეთ, რა დავარქვით მუსიკოსებმა მუსიკის ხმამაღალ ჟღერადობას?
- ჩუმ ჟღერადობას?

შემდეგ სთხოვეთ დააკვირდნენ რიტმულ გამოსახულებას და საკუთარი გამოცდილებით გაახმოვანონ. მიეცით საშუალება დამოუკიდებლად იმოქმედონ. თავად გაიხსენონ, როგორ აკეთებდნენ მსგავს სავარჯიშოებს წინა გაკვეთილებზე.

მიმართეთ:

- ვის შეუძლია გაახმოვანოს სურათი?



აქტივობა 2

ჰკითხეთ ბავშვებს, თუ იციან, რა არის კარნავალი:

- რაიმე გასართობი თავშეყრის ადგილი თუ რაიმე სამეცადინო გარემო?
- ადგილი, სადაც ხალხი მიდის სამუშაოდ თუ სხვადასხვა დავალების შესასრულებლად?

შემდეგ განმარტეთ: კარნავალი დღესასწაულია. კარნავალზე მონაწილეები ნიღბებსა და სპეციალურ კოსტიუმებში გამოწყობილები ატარებენ მხიარულ დღეებს. ფრანგმა კომპოზიტორმა, კამილ სენ-სანსმა შექმნა ნაწარმოები და ხუმრობით დაარქვა „ცხოველების კარნავალი“, რომელიც რამდენიმე მუსიკალური მოთხრობისგან შედგება. ამ მოთხრობებში გადმოცემულია ლომის, ქათმების, კუს, თევზების, ჩიტების, სპილოს, გუგულის, გრძელყურა პერსონაჟის ვირის მოძრაობები ან ხმები და ხასიათი. სანამ მოვისმენთ ამ მოთხრობებს (პიესებს), დააკვირდით ნახატს და აღწერეთ.

ვისაუბროთ ამ ცხოველებზე:

- რომელია სწრაფი? რომელი ყველაზე ძლიერი?
- რომელს აქვს ლამაზი ხმა?



მას შემდეგ, რაც ბავშვები ნახატზე გამოსახული ცხოველების შესახებ ისაუბრებენ, შესთავაზეთ:

მოდი, ახლა მოვუსმინოთ ფრაგმენტებს „ცხოველების კარნავალიდან“ და გამოვიცნოთ:

- რომელი ცხოველია აღწერილი?
- ცხოველის რომელი ქმედებაა გადმოცემული, მოძრაობა თუ ხმის მიბაძვა?

ჩიტი, ანტილოპები, კენგურუ, სპილო, ვირი, ლომი

11 დამარცვლე და დათვალე

აქტივობა 1

შესთავაზეთ მოსწავლეებს თამაში „მოასწარი დამარცვლა“.

თამაშის წესი ასეთია:

1. მოსწავლეებმა ტაშთან ერთად დამარცვლით უნდა წაიკითხონ სიტყვები ზუსტად ისე, როგორც სურათზეა გამოსახული.

ძვირფასო კოლეგებო, ტაში გამოსახეთ 4/4 ზომაში ისე, რომ არ დაირღვეს მეტრი და ტემპი.

შემდეგ ჰკითხეთ ბავშვებს:

- რომელი სიტყვების მარცვლები ჟღერდა მოკლედ, რომელი სიტყვების მარცვლები – გრძლად და რომელი – საშუალოდ?

2. კლასი გაყავით ოთხ ჯგუფად. ოთხივე ჯგუფმა ტაშით ერთად გამოსახოს ნახატის მეტრი და თითოეულ ჯგუფს რიგრიგობით შეასრულებინეთ შემდეგი მოქმედება:

პირველ ჯგუფს ათქმევინეთ ერთმარცვლიანი სიტყვები კუ და ა.შ.

მეორე ჯგუფს ორმარცვლიანი – სპი-ლო და ა. შ.;

მესამეს სამმარცვლიანი – ნი-ან-გი და ა.შ.;

მეოთხეს ოთხმარცვლიანი – ლე-ო-პარ-დი და ა.შ.

შემდეგ სთხოვეთ დაასახელონ:

- რომელმა ჯგუფმა წარმოთქვა უფრო სწრაფად და მეტი მარცვალი?
- რომელმა ყველაზე ნაკლები და გრძელი?

ამ სავარჯიშოს შესრულებით მოსწავლეები ქვეცნობიერად იღებენ ინფორმაციას რიტმის შესახებ, რადგან მეტრთან მიმართებაში ადარებენ ერთმანეთს სხვადასხვა გრძლიობას.



აქტივობა 2

მოასმენინეთ/უჩვენეთ ვიდეოფრაგმენტები ამერიკული სიმღერიდან „მოხუც მაკდონალდს ჰქონდა ფერმა“ და სთხოვეთ ამოიცნონ, რომელ ცხოველზე მღერიან. ჰკითხეთ:

- რის მიხედვით ამოიცანით ხმები?
- მომღერლები ცხოველის ხმასა და მოძრაობას ჰბაძავენ თუ მის გარეგნობას აღწერენ?

მიუთითეთ სურათზე. მოასმენინეთ სიმღერის სრული ვერსია და სთხოვეთ დანომრონ ცხოველები სიმღერაში წარმოდგენილი რიგის მიხედვით.

აქტივობა 3

1. მოასმენინეთ ფრაგმენტები:

გ. ფ. ჰენდელის კონცერტიდან ორგანისა და ორკესტრისთვის და კ. სენ-სანსის სიუიტიდან „ცხოველების კარნავალი“ – „ჩიტები“. მანამდე კი მიმართეთ:

ახლა მოვისმენთ ორ ფრაგმენტს და გამოიცანით, რა არის მასში ასახული:

- ჭექა-ქუხილი, გუგულის ხმა, ჩიტების ფრენა-გალობა?

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები უპასუხებენ, დაუსვით კიდევ ერთი კითხვა:

- ამ ნაწარმოებებს შორის რომელია უფრო სევდიანი: ის, რომელიც გუგულის გალობას გადმოსცემს თუ ის, რომელიც ჩიტების ფრენასა და გალობას აღწერს?

2. შემდეგ მოასმენინეთ „ბითლზის“ სიმღერა „პატარა გოჭი“ და სთხოვეთ ამოიცნონ, რომელი ცხოველის ხმას ჰბაძავენ მომღერლები?

მას შემდეგ, რაც ამოიცნობენ, განუმარტეთ:

„ბითლზი“ ინგლისური სიტყვაა და ხოჭოებს ნიშნავს. ანსამბლ „ბითლზის“ წევრები ინგლისელები იყვნენ. ინგლისში დიდი ხნის წინ ცხოვრობდა გერმანელი კომპოზიტორი გეორგ ფრიდრიხ ჰენდელიც. დღეს მოვისმინეთ ფრაგმენტი მისი ნაწარმოებიდან „კონცერტი ორგანისა და ორკესტრისთვის“.

ეს ეპიზოდი შევადარეთ გუგულის გალობას. იცოდით, რომ ორგანი ყველაზე დიდი საკრავია მუსიკალურ ინსტრუმენტებს შორის? ამ საკრავზე უფრო მეტს მოგვიანებით მოგიყვებით.

გ. ფ. ჰენდელი

ჯგუფი ბითლზი

აქტივობა 1

ძვირფასო კოლეგებო!

მიუთითეთ ბავშვებს ნახატზე, რომელზეც იმდენივე არსებაა, რამდენი ხმაც წერია გრძლიობების ასოციაციის განლაგებით;

ტაში გამოსახულია თვლებით ტაქტების თავზე. 3/4 ზომაში სთხოვეთ ტაშით დათვალონ და იმავდროულად გაახმოვანონ რიტმულ ნახატზე გამოსახული ცხოველები.

თქვენც მიეხმარეთ და ტაშით გამოყავით ძლიერი დრო.



აქტივობა 2

დიდი ხანია ჩვენი წიგნის გმირების შესახებ არაფერი მითქვამს. ახლა გადავწყვიტე პატარა ამბავს მოგიყვეთ. ანას საშემოდგომო არდადეგები ჰქონდა და მეგობრებს ესტუმრა. ბავშვებმა დღისით საყვარელ ადგილს – ზოოპარკს მიაკითხეს. მოუსმინეთ ხმებს და გამოიცანით, რომელი ცხოველები მოინახულეს?

იქნებ სურათზეც იპოვოთ ისინი!

- კოლაჟში ისმის ისეთი ხმა, რომლის გამოსახულებასაც სურათზე ვერ პოულობთ? სავარაუდოდ, ბავშვები იტყვიან, რომ ეს არის ჩიტის ხმა.

ზოოპარკში

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაშიფრავენ მოსმენილ ხმებს, შესთავაზეთ ჩაწერონ მოსმენილი კოლაჟის თანამიმდევრობა პიქტოგრამებით.

აქტივობა 3

რამდენჯერმე მოასმენინეთ ფრაგმენტები და სთხოვეთ დააკვირდნენ ნახატს, რათა მოსმენილ ეპიზოდებში ამოიცნონ სურათზე გამოსახული ცხოველები და ისაუბრონ, რა ნიშნით დააკავშირეს მოსმენილი ფრაგმენტები სხვადასხვა ცხოველთან.

ს. პროკოფიევი. „ჩიტი“, სიმფონიური ზღაპრიდან „პეტია და მგელი“

კ. სენ-სანსი. „ლომების მეფეთა მარში“, სიუიტიდან „ცხოველების კარნავალი“

ლ. ვ. ბეთჰოვენი. „მთვარის სონატა“ №14 ნაწ. 3

ო. რესპიგი. სიმფონიური პოემა „რომის ფიჭვები“

13 შინაური და გარეული ცხოველები

აქტივობა 1

მოასმენინეთ ფრაგმენტები და სთხოვეთ ბავშვებს თვითონაც მიჰბაძონ ხმით. შემდეგ დაადგინონ, ამათგან რომელია შინაური და რომელი გარეული?

ძაღლი	კატა	ცხენი	ვეფხვი	ვირი

აქტივობა 2

მიუთითეთ ბავშვებს სიმბოლოებზე. აუხსენით, რომ პიქტოგრამებით ჩაწერილია ცხოველთა ხმები. განმეორებით მოასმენინეთ ცხოველების ხმები (პირველი აქტივობიდან) და სთხოვეთ შეეცადონ სწორად დაუკავშირონ მათი სახელები ცხრილში არეულად მოცემულ პიქტოგრამებს.



უჩვენეთ სწორი ვარიანტი. მიეცით საშუალება, თვითონ შეაფასონ თავიანთი ნამუშევარი.



აქტივობა 3

შემდეგ მოასმენინეთ მუსიკალური ფრაგმენტები და სთხოვეთ ხმები მოცემულ სიტყვებთან დააკავშირონ.

ძაღლი კატა ცხენი ვეფხვი ვირი

14–15 ცხოველები და საკრავები – I

რუბრიკა: აღმოაჩინე საკრავები

აქტივობა 1

ძვირფასო კოლეგებო, მოუყევით ბავშვებს წინამდებარე ტექსტი, რათა უფრო შთამბეჭდავი გახდეს მათთვის შეთავაზებული ნაწარმოების აღქმა.

დაახლოებით ას ოცი წლის წინ პატარა ბიჭი, რომელსაც სერგეი ერქვა, წაიყვანეს საოპერო სპექტაკლზე. ბიჭუნას ძალიან მოეწონა წარმოდგენა. შინისკენ მიმავალ გზაზე, ეტლის სავარძელზე დედის გვერდით მოკალათებული სერგეი დარწმუნებით ამბობდა, რომ თვითონაც დაწერდა ოპერას. ერთ წელიწადში ბიჭუნამ დაბადების დღეზე დაპატიჟებულ სტუმრებს მართლაც მოასმენინა თავისი დაწერილი ოპერა „გოლიათი“. ყველა დარწმუნდა, რომ ცხრა წლის სერგეი გამორჩეულად ნიჭიერი მუსიკოსი და კომპოზიტორი იყო.

სერგეი პროკოფიევი და მისი ოპერა „გოლიათის“ პარტიტურა

უკვე ცნობილი კომპოზიტორი სერგეი პროკოფიევი საბავშვო მუსიკალურ თეატრს ესტუმრა, სადაც მას დახვდნენ ბავშვები და მეგობარი ნატალია საცი. კომპოზიტორმა, ნატალიამ და ბავშვებმა მუსიკის შესახებ ისაუბრეს. ნატალიამ ჰკითხა სერგეი პროკოფიევს:

– ბავშვობაში, როდესაც პირველად მოხვდით საოპერო სპექტაკლზე, რამ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

– ორკესტრმა, – უპასუხა კომპოზიტორმა.

– იქნებ დაგვიწეროთ რაიმე ისეთი ნაწარმოები, რომელიც ბავშვებს გააცნობს საორკესტრო საკრავების ჟღერადობას.

ასე შექმნა სერგეი პროკოფიევმა ბავშვებისთვის სიმფონიური ზღაპარი „პეტია და მგელი“.

ამ ნაწარმოებში ყველა პერსონაჟს თავისი მუსიკალური დახასიათება

(ლაიტმოტივი) აქვს.

სიმფონიურ ზღაპარში „პეტია და მგელი“ პერსონაჟები დახასიათებულია სხვადასხვა საორკესტრო საკრავით.



მოუყევით ბავშვებს სიმფონიური ზღაპრის „პეტია და მგელი“ მოკლე შინაარსი:

აქტივობა 2

დილით ადრე პეტიამ მდელოზე გაისეირნა. ნაცნობი ჩიტი ხეზე შემომჯდარიყო და მშვიდად გალობდა. ეზოდან პეტიას იხვი გამოჰყვა გოგმანით*, გუბურაში ვიცურავებო. გაკვირვებულმა ჩიტმა იხვს ჰკითხა:

– შენ რა ჩიტი ხარ, ფრენა არ იცი?

იხვი კი აბუზღუნდა:

– შენ რა ჩიტი ხარ, ცურვა არ იცი?

ეს კითხვა-პასუხი კინკლაობაში გადაიზარდა და ვერც კი შეამჩნიეს, კატა როგორ მოიპარებოდა. აფრინდა ჩიტი ხეზე და იხვმა შეცურა წყალში. კატა ფიქრობდა, ღირს კი დავსველდე იხვის გამოო? ადგა და ჩიტს მიეპარა. ბაბუამ პეტია გააფრთხილა, გარეთ ნუ გახვალ, მგელი შეიძლება გამოჩნდესო და მგლის შიშით ბიჭუნა ეზოში გამოკეტა.

ამ დროს მართლაც გამოჩნდა მგელი. დაედევნა იხვს და გადაყლაპა. მოხერხებულმა ბიჭუნამ ეზოდან თოკი ისროლა და ხეზე გადაცოცდა. ამავე თოკით დაწნა ხაფანგი. პეტიამ კატასაც სთხოვა დახმარება და ერთობლივი ძალებით მგელი ხაფანგში გააბეს. თურმე მგელს ტყიდან კვალდაკვალ მონადირეები მოსდევდნენ. პეტიამ გაიხარა მონადირეების დანახვაზე, სთხოვა მგელი ზოოპარკში წამაყვანინეთო.

გაიმართა საზეიმო მსვლელობა-მარში. მიდის პეტია, მიჰყვებიან მონადირეები, მიათრევენ მგელს, მიფრინავს ჩიტი, ბუზღუნით მისდევს ბაბუა, რომელსაც კატა ებლანდება ფეხებში; მგლის მუცელში კრიახი გაუდის ცოცხლად გადასანსლულ იხვს.

აქტივობა 3

სანამ მოასმენინებთ ფრაგმენტებს, მიუთითეთ სურათებზე და გააცანით პერსონაჟები. შემდეგ ჰკითხეთ: პეტიას მუსიკალური დახასიათებისთვის კომპოზიტორმა შეარჩია შემდეგი საკრავები: ვიოლინო, ალტი, ჩელო და კონტრაბასი.

- როგორ ფიქრობთ, ვიოლინო, ჩელო, ალტი და კონტრაბასი სიმებიან-ხემიანი საკრავებია თუ დასარტყამი?
- ვიზუალურად რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან?
- თქვენი აზრით, რომელ ინსტრუმენტს უფრო მაღალი რეგისტრის ბგერების გამოცემა შეუძლია?
- ამ საკრავებიდან რომელი გამოსცემს დაბალი რეგისტრის ბგერებს?
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი და განმარტეთ, რატომ ფიქრობთ ასე?
- დააკვირდით პეტია ბიჭს და იმსჯელეთ, მისი ლაიტმოტივი ლაღი და ხალისიანი იქნება თუ სევდიანი?

ახლა კი მოუსმინეთ ჩანაწერს და შეამოწმეთ, რამდენად სწორი იყო თქვენი ვარაუდი. იმავდროულად, გააფერადეთ შესაბამისი კონტური.

***გოგმანი** – მოხდენილად, ლამაზად, ნარნარით სიარული.

ჩიტის ლაიტმოტივი სრულდება ფლეიტით, იხვის – ჰობოით.

ფლეიტას უკვე იცნობთ. ჰობოიზე კი გკითხავთ:

- ჰობოი დასარტყამი საკრავია თუ ჩასაბერი?
- რომელ საკრავს უფრო მაღალი რეგისტრის ბგერები ექნება: ფლეიტას, რომელიც ჩიტს გამოსახავს, თუ ჰობოის, რომელიც იხვს გამოსახავს?

ახლა კი მოუსმინეთ პერსონაჟების ლაიტმოტივებს. შეამოწმეთ რამდენად სწორი იყო თქვენი ვარაუდი საკრავებთან დაკავშირებით და უპასუხეთ შემდეგ კითხვას:

- ლაიტმოტივით გადმოცემულია ჩიტის გალობა თუ ფრენა?
- იხვის ხმა თუ მისი წყალში ჭყუმპალაობა?

ამავე დროს გააფერადეთ შესაბამისი კონტური.

ჩიტი იხვი

კომპოზიტორმა კატა დაახასიათა კლარნეტით, ხოლო ბაბუას ბუზღუნი – ფაგოტით.

- როგორი საკრავებია კლარნეტი და ფაგოტი, სიმებიან-ხემიანი თუ ჩასაბერი?
- რომელ საკრავს უფრო დაბალი, ბოხი ხმა ექნება, კლარნეტსა თუ ფაგოტს?
- კატის ლაიტმოტივით ასახულია კატის კნავილი თუ მისი შეპარვა-მიპარვით გადაადგილება-მოძრაობა?

მოუსმინეთ ჩანაწერს და დაადგინეთ, რამდენად სწორი იყო პასუხები.

ამავე დროს გააფერადეთ შესაბამისი კონტური.



მგელი დახასიათებულია სამი ვალტორნით, მონადირეთა თოფების ხმები კი დიდი დოლითა და ლიტავრებით. დააკვირდით სურათებს და იმსჯელეთ:

- რომელია აქედან ჩასაბერი საკრავი და რომელი დასარტყამი?
- როგორი ხმა ექნებათ ამ საკრავებს, ძლიერი თუ სუსტი?

ახლა კი მოუსმინეთ ამ პერსონაჟების ლაიტმოტივებს და დაადგინეთ, რამდენად სწორი იყო თქვენი პასუხები. ამავე დროს გააფერადეთ შესაბამისი კონტური.



სამი ვალტორნა, დიდი დოლი და ლიტავრები

16 ცხოველები და საკრავები-II

აქტივობა 1

მოასმენინეთ ს. პროკოფიევის სიმფონიური ზღაპრიდან „პეტია და მგელი“ ჩიტის, მგლისა და იხვის მუსიკალური დახასიათებები (ლაიტთემები). სთხოვეთ დააკვირდნენ სურათებს და ამოიცნონ, გაიხსენონ:

- რომელ ფრაგმენტშია ასახული საშიში მგელი?
- რომელშია ცოცხალი, ხალისიანი ჩიტის ჭიკჭიკი?
- სად ისმის იხვის ბუზღუნი?
- სად კატის შეპარვითი მოძრაობა?

აქტივობა 2

ინფორმაცია მასწავლებლებს!

მოცემული რიგის მიხედვით მოასმენინეთ ბავშვებს ფრაგმენტები და მიმართეთ:

– დაახარისხეთ და ცხრილში ციფრებით ჩაწერეთ ცხოველების ხმები რეგისტრების მიხედვით. მაგ.: ხმა, რომელიც ყველაზე მაღალ რეგისტრში ჟღერს, აღნიშნეთ „1“-ით.

ჩიტი	მგელი	იხვი	კატა

მოასმენინეთ ბავშვებს ფრაგმენტები განმეორებით და შემდეგ სთხოვეთ ჩაწერონ პერსონაჟების მუსიკალური დახასიათება პიქტოგრამებით.

მოასმენინეთ ფრაგმენტები სიმფონიური ზღაპრიდან „პეტია და მგელი“. სთხოვეთ გაიხსენონ, რომელი საკრავი ასრულებს ამა თუ იმ პერსონაჟის მუსიკალურ დახასიათებას. სთხოვეთ ბავშვებს ხაზებით დააკავშირონ საკრავები პერსონაჟების ამსახველ სურათებთან. შემდეგ უპასუხონ კითხვებს. მოსწავლეებს პასუხი რომ გაუადვილდეთ, სასურველია ჩაიხედონ სიტყვის კონაში.

- როგორ ჟღერს ფაგოტი, რომელიც მოხუცის ბუზღუნს განასახიერებს – წვრილ/მაღალ რეგისტრში თუ ბოხ/დაბალ რეგისტრში? როგორია ამ საკრავის ტემბრი* – ხავერდოვანი, გამჭვირვალე, რბილი, მძიმე?
- როგორი მელოდია იქცევს ყურადღებას სიმებიან-ხემიანი საკრავების მოსმენისას, რომლებიც ლაღ და მხნე პეტიას განასახიერებენ?
- როგორ ჟღერს ვალტორნა, რომელიც მგელს განასახიერებს: წვრილ/მაღალ რეგისტრში თუ ბოხ/დაბალ რეგისტრში?

- რა სიძლიერით ჟღერენ ლიტავრები, რომლებიც მონადირეთა თოფის გასროლის ხმას განასახიერებენ, ხმამაღლა – ფორტეზე თუ დაბალზე – პიანოზე?

***ტემბრი** – ბგერის თვისება, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს ერთი და იმავე სიმაღლის, გრძლიობსა და სიძლიერის ტონებს.

17–18 „პეტია და მგელი“

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა: მოუსმინეთ ფრაგმენტებს სიმფონიური ზღაპრიდან „პეტია და მგელი“. დაადგინეთ, ზღაპრის რა ეპიზოდია აღწერილი ამ მუსიკალურ ფრაგმენტებში. იმსჯელეთ, რა მახასიათებლებით გადმოსცემს კომპოზიტორი ამ ეპიზოდების ემოციებს. შეავსეთ ცხრილი და წარუდგინეთ კლასს.

საკითხი: მუსიკით ემოციის აღწერა

ნაბიჯი 1

- **როგორ დავუკავშირო ზღაპრის ეპიზოდი მუსიკალურ ფრაგმენტებს?**

◊ წაიკითხეთ ეპიზოდების სიტყვიერი აღწერილობა და გაიაზრეთ შინაარსი;

◊ დაუკავშირეთ თითოეულ აღწერილობას მუსიკალური ფრაგმენტი;

◊ შეავსეთ ცხრილი.

1 2 3

ეპიზოდის აღწერილობა	მუსიკალური ფრაგმენტი №
იხვისა და ჩიტის კინკლაობის სცენა	№
მონადირეები ტყეში მგლის ნაკვალევს მიჰყვებიან	№
საზეიმო მსვლელობა – მგელი მიჰყავთ ზოოპარკში!	№

ნაბიჯი 2

- **რა მუსიკალური ხერხებით გადმოიცემა ზღაპრის ეპიზოდების ემოცია?**

◊ ინსტრუმენტების როგორი ტემბრით გადმოიცემა იხვისა და ჩიტის კინკლაობა? შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ა) მჟღერი; ბ) დახშული.

◊ როგორი ტემპი გამოიყენა კომპოზიტორმა ამ ფრაგმენტში? როგორ ფიქრობთ, რატომ? ჩაწერეთ პასუხი ჩარჩოში.

სავარაუდოდ მოსწავლეები უპასუხებენ:
ვინაიდან ფრაგმენტი, ჩიტისა და იხვის კინკლაობას ასახავს ტემპი არის სწრაფი.

◊ რა განწყობას გამოხატავს რიტმი იმ ფრაგმენტში, რომლებშიც მონადირეები მგლის ნაკვალევს მიჰყვებიან? შემოხაზეთ სწორი პასუხი:

ა) ქმნის დაძაბულობას, ბ) ქმნის მშვიდ განწყობას. ახსენით, რატომ?

სავარაუდოდ მოსწავლეები უპასუხებენ:
ვინაიდან მონადირეების ყურადღება არის გამახვილებული, მიყურადებული, ისინი დაძაბულ მდგომარეობაში მისდევენ მგლის ნაკვალევს. ამიტომაც ამ ფრაგმენტის რიტმი არის მკვეთრი მახვილით.

◊ როგორი რიტმითა და მელოდიით არის გადმოცემული საზეიმო მსვლელობა?

◊ რიტმი: ა) თანაბარი; ბ) არათანაბარი.

◊ მელოდია: ა) ლაღი, მღერადი; ბ) არამღერადი, დაძაბული.

◊ ახსენით, რატომ? ჩაწერეთ პასუხი ჩარჩოში.

ვინაიდან საზეიმო მსვლელობის დროს პერსონაჟები თანაბარი ნაბიჯით დადიან, ფრაგმენტის რიტმიც თანაბარია. ამ დროს პერსონაჟები კარგ ხასიათზე არიან, მელოდიაც მღერადი და ლაღია.

ნაბიჯი 3

- **როგორ წარვადგინოთ ზღაპრის ეპიზოდები კლასის წინაშე?**

◊ რა გაგიჭირდათ დავალებაზე მუშაობისას, რა იყო ძნელი?

◊ დაგეხმარათ თუ არა წინა აქტივობები დავალების შესრულებაში?

◊ რა იყო ყველაზე საინტერესო დავალებაში?

პასუხები ჩაწერეთ ქვემოთ მოცემულ ჩარჩოში.

19–20 ჩიტების გამოღვიძება და დათვის ბელი

აქტივობა 1

მოუსმინეთ ფრაგმენტებს. წაიკითხეთ ღრუბლებით შემოფარგლული ტექსტი და ფრაგმენტი ხაზით დააკავშირეთ შესაბამის წინადადებასთან.

1. სახლი და ჩიტის ბუდე: ძველ სახლს ანგრევენ, რათა ახალი ააშენონ, დედა ჩიტი შეშინებულია. ის ღელავს, სასწრაფოდ აღვიძებს ბარტყებს და უსაფრთხო ადგილას გადაჰყავს. კედელი ეცემა, ჩიტები მიფრინავენ.

2. ჩიტები უსაფრთხოდ არიან, შეხარიან მზეს, ფრენენ და ნავარდობენ ცაში.

ო. მესიანი. „ჩიტების გამოღვიძება“

კ. სენ-სანსი. „ჩიტები“

მას შემდეგ, რაც ბავშვები ფრაგმენტებს ტექსტთან დააკავშირებენ, სთხოვეთ იმსჯელონ და დაასაბუთონ, რა ნიშნით დააკავშირეს მუსიკალური ფრაგმენტები და ტექსტი ერთმანეთთან? მსჯელობა რომ გაუადვილდეთ, დაუსვით შემდეგი კითხვები:

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი გიქმნის შიშის განცდას, აღწერს განგაშის ემოციას?
- რომელ ფრაგმენტში იქცევს ყურადღებას ფლეიტის ნათელი, გამჭვირვალე ტემბრი? მაღალი რეგისტრი? სწრაფი ტემპი? მოკლე გრძლიობების დაღმავალი და აღმავალი სრიალი, რომლებიც ჩიტების ჭიკჭიკსა და ფრენას მოგვაგონებს?

აქტივობა 2

წაიკითხეთ ღრუბლებში ჩაწერილი წინადადებები, გამოიცანით შინაარსის თანამიმდევრობა და დანომრეთ შესაბამისი რიგითობით.



- როგორ დასრულდა თქვენ მიერ დალაგებული ამბავი, კეთილად?

ახლა კი მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს და ტექსტის ეპიზოდებს მიუსადაგეთ.

კ. სენ-სანსი. „ჩიტები“

კ. სენ-სანსი. „კენგურუ“

კ. სენ-სანსი. „ლომების მეფეთა მარში“

ლ. ვ. ბეთჰოვენი. სიმფონია №7 ნაწ. 2

„გაილვიძე, ჩემო პატარა“

21–22 „კოღო და ლომი“

აქტივობა 1

ყურადღებით წაიკითხეთ ღრუბლებში მოთავსებული ტექსტი, გაამთლიანეთ შინაარსი და დანომრეთ სწორი თანამიმდევრობით.

- იფიქრეთ, როგორი ტექსტით დაიწყებოდა ეს ამბავი?
- იქნებოდა თუ არა პირველად ყველაზე დაძაბული ეპიზოდი?
- როგორი დასასრული ექნებოდა ამ ამბავს?



აქტივობა 2

ახლა კი მოუსმინეთ ექვს მუსიკალურ ფრაგმენტს, რომელიც ამ ამბავს მიჰყვება სწორი თანა-მიმდევრობით. დააწყვილეთ ღრუბლებში ჩაწერილი ციფრობრივი და მუსიკალური ფრაგმენტების ანბანური აღნიშვნა და შეავსეთ გრაფა.

შევსებული გრაფის ნიმუში:

1 = ა; 2 = ბ; 3 = ვ; 4 = გ; 5 = დ; 6 = ე.

ა

ნ. რიმსკი-კორსაკოვი. „კელას გაფრენა“ ოპერიდან „ზღაპარი მეფე სალთანზე“

ბ

კ. სენ-სანსი. „ლომების მარში“ სიუიტიდან „ცხოველების კარნავალი“

გ

ბ. ბრიტენი. საორკესტრო პიესა „ობობა და ბუზი“ (უდარდელი ბუზის ინტონაცია*)

დ

ბ. ბრიტენი. საორკესტრო პიესა „ობობა და ბუზი“ (ობობას ინტონაცია)

ე

ბ. ბრიტენი. საორკესტრო პიესა „ობობა და ბუზი“ (ბუზის დაჭერის ინტონაცია)

ვ

დ. ლიგეტი. სავიოლონო კონცერტი

აქტივობა 3

რომელმა მუსიკალურმა მახასიათებელმა მიგახვედრათ, რომ დაქანცული ლომი მიწაზე დაეცა? მოცემული სამი ვარიანტიდან შემოხაზეთ ორი სწორი პასუხი.

არასასიამოვნო, არაკეთილხმოვანმა ჰარმონიამ	**უხეშმა, მკვეთრმა ტემბრმა**	**მღერადმა მელოდიამ**

***ინტონაცია** – ხმის აწევ-დაწევა, ტონის ცვლა მეტყველებისას.

თემა 2: დღესასწაულები და წვეულებები შინ და გარეთ

თემის ძირითადი მიზანია, მუსიკის გამომსახველობითი საშუალებებით მოსწავლის ემოციური განწყობილების ყოფით მოვლენებთან დაკავშირება და მათ შორის ასოციაციური კავშირების გაბმა. ეს პროცესი ეტაპობრივად წარიმართება და განვლილი თემატური მასალის ათვისებით მიღებული შედეგები თვალსაჩინო გახდება, როცა მოსწავლე:

- სხვადასხვა ქვეყნის სადღესასწაულო წეს-ჩვეულებებით დაინტერესდება;
- სიმღერით, ცეკვით, მუსიკალური კომპოზიციის შექმნითა და ინტერპრეტაციით მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების როლს განსაზღვრავს;
- სხვადასხვა სადღესასწაულო რიტუალის* გაცნობით აღიქვამს მუსიკალური ინტონაციით გადმოცემულ ჟესტს, რაც წვეულების, დღესასწაულის დროს წარმოქმნილ ემოციებს გამოხატავს;
- სხვადასხვა საგაკვეთილო აქტივობაში, მათ შორის, ჯგუფურ მუშაობაში, მასწავლებელსა და მოსწავლეებთან თანამშრომლობითი ურთიერთობით ჩაერთვება;
- სხვადასხვა ქვეყნის სადღესასწაულო მუსიკაში განწყობასა და რიტმულ-ინტონაციურ მსგავსებას აღიქვამს და გააცნობიერებს;
- სხვადასხვა სადღესასწაულო მუსიკის გაცნობისას მიღებული შთაბეჭდილებით, მსჯელობს და საკუთარ აზრს მკაფიოდ გამოთქვამს.
- მღერის სხვადასხვა ქვეყნის სადღესასწაულო სიმღერებს.

23 „რა ლამაზი დღეა“

აქტივობა 1

დედამიწაზე ბევრი დღესასწაული აღინიშნება: ახალი წელი, დედის დღე, მამის დღე, ქალთა საერთაშორისო დღე, დამოუკიდებლობის დღე, ბავშვთა დაცვის დღე და მრავალი სხვა. მაგრამ არის ერთი დღე, რომელიც მართლაც განსაკუთრებულია თითოეული ჩვენგანისთვის. მას ყველა აღნიშნავს, თუმცა სხვადასხვა დღეს. მოუსმინეთ მუსიკას და გამოიცანით, რომელი დღესასწაულია?

დიახ, რა თქმა უნდა, ამ დღესასწაულს დაბადების დღე ჰქვია! ერთი მხრივ, ეს ყველაზე სასიამოვნო და მნიშვნელოვანი დღეა, რადგან ის თქვენი პირადი დღესასწაულია.

დაბადების დღე წვეულებით აღინიშნება, ეპატიჟებით სტუმრებს და დროს საინტერესოდ ატარებთ.

აღწერეთ როგორია თქვენი დაბადების დღის წვეულება?

როგორია ამ დროს განწყობა:

***რიტუალი** – რაიმე მოქმედებების ერთობლიობა რაიმეს აღნიშვნის, ზეიმისა და მისთანების დროს.

ა) ღელავთ?

ბ) მხიარულები ხართ?

გ) ცელქობთ?

დ) დაძაბულები ხართ?

- ადგენთ თუ არა წვეულებისთვის გართობის გეგმას?
- ამ დღისთვის მუსიკას დამოუკიდებლად არჩევთ თუ გეხმარებიან?
- მღერით თუ ცეკვავთ, თამაშობთ თუ ყველაფერს ერთად აკეთებთ?

დაბადების დღის წვეულებას ნამდვილად უხდება მუსიკა, მაგრამ ის აუცილებლად სათანადოდ უნდა იყოს შერჩეული, რათა უფრო მეტად გაალამაზოს წვეულება.

აქტივობა 2

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს:

– დააკვირდით არეულად დალაგებულ სურათებს, რომლებზეც დაბადების დღის წვეულების მსვლელობაა გამოსახული. ჯერ აღწერეთ, შემდეგ შეეცადეთ დაალაგოთ სწორად, ცარიელ უჯრაში კი ჩაწერეთ სათანადო ციფრი.

აქტივობა 3

მიმართეთ მოსწავლეებს:

დააკვირდით სურათებს და გაახმოვანეთ.

თქვენ მიერ წარმოთქმული სიტყვები და ფრაზები ჩაწერეთ მობილურ ტელეფონში ან მასწავლებლის დახმარებით რომელიმე კომპიუტერულ პროგრამაში. შეეცადეთ გამოთქმით იმეტყველოთ, შემდეგ მოუსმინეთ და წარუდგინეთ თანაკლასელებს.

24 ყველა ერთად ვცეკვავთ

აქტივობა 1

შეასრულეთ აქტივობა:

მოუსმინეთ მელოდიას, შეეცადეთ ხაზებს მიჰყვეთ ისე, როგორც ეს ვიდეოშია წარმოდგენილი.



აქტივობა 2

არეულად მოცემული სიტყვები მიუსადაგეთ სურათებს და ხაზებით დააკავშირეთ.

ვისიამოვნეთ!

ყველა ვცეკვავთ!

გემშვიდობებით!

გილოცავთ!

აქტივობა 3

მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს, მიუსადაგეთ სურათებს და დანომრეთ მოსმენილის მიხედვით.

ვ. ა. მოცარტი. საფორტეპიანო სონატა N 11

პ. და მ. ჰილები. „ბედნიერ დღეს გისურვებთ“

პ. უილიამსი. „ბედნიერი“

ვ. კახიძე. „მთვარის ცეკვა“

კითხვებზე პასუხების დროა!

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი იყო ყველაზე მშვიდი?
- სევდიანი?
- რომელი იყო ენერგიული და ხალისიანი?
- რომელ ჩანაწერში ისმოდა ხავერდოვანი და მსუყე ბგერები? ეს ეპიზოდი ოდნავ სევდიანიც იყო, რამაც სტუმრებთან დამშვიდობება მოგაგონათ.
- რომელ ჩანაწერში ჟღერდა წკრიალა ბგერები?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი მოგეწონათ ყველაზედ მეტად და რატომ?
- რომელი ჩანაწერის მოსმენისას იგრძენით დიდი სიხარული?

25 „დათვის წვეულება“

თემის „წვეულებები და დღესასწაულები შინ და გარეთ“ შინაარსიდან გამომდინარე, ინტეგრირებული გაკვეთილის ჩასატარებლად შესაძლებელია ცნობილი რუსი მეიგავის, ივანე კრილოვის „დათვის წვეულების“ გამოყენება. ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებიდან მოსწავლეებმა იციან, რომ იგავ-არაკის გმირები არიან ცხოველები, მცენარეები, საგნები, მაგრამ იგულისხმებიან ადამიანები. როგორი ადამიანები შეიძლება ვიგულისხმოთ, ამაზე იგავ-არაკის გაცნობის შემდეგ ვისაუბრებთ.

კერძოდ, ყურადღება გამახვილდება დათვის ხელგაშლილობასა და მელიის თვალთმაქცობაზე*, ასევე აღინიშნება წვეულებისთვის დამახასიათებელი უხვი სუფრა, სადღეგრძელოები, სიმღერა და ცეკვა.

აქტივობა 1

მოუსმინეთ იგავ-არაკს და უპასუხეთ კითხვებს:

- რა არის იგავ-არაკი?
- რამდენი პერსონაჟი მონაწილეობს „დათვის წვეულებაში“?
- როგორ დაახასიათებდით იგავ-არაკის გმირებს?
- წარმოიდგინეთ, როგორ დასრულდებოდა წვეულება?

დათვის წვეულება

თარგმნა აკაკი წერეთელმა

დათვმა ლხინი გადიხადა, მოიწვია მეზობლები;
გარეშენიც ბევრი ჰყავდა: ტურა, მელა, კატა, მგლები.
უკეთესი მასპინძლობა, უნდა ვთქვათ, რომ არ ნახულა;
რა საჭმელი, რა სასმელი! რა იყო, რომ იქ არ დგმულა?
გადაჰკრეს და სადღეგრძელო სათითაოდ გააჩინეს,
სამადლობელს სავსეს სვამდნენ, წვეთი არვის შეარჩინეს.
გახალისდა დათუნია, მოლხენით რომ სხვებიც ნახა,
თვისი ბოხი დაბალ ბანით სუფრულიც კი შემოსძახა.
გაოცებულს იმის სტუმრებს მარტო ესეც არ აკმარა:
გადმოახტა სუფრას თავზე და ლეკური დაუარა...
მელაკუდამ ტაში დაჰკრა: „ამფერ, ჩემო დათუნაო!
როგორ გშვენის ეგ დავლური, მალაყები და ხტუნვაო!”
მაშინ მგელმა წასჩურჩულა: „მელავ, ტყუილს ნუ ამბობო!
სასაცილოდ დაძუნძულებს და შენ მაგრე რად ამკობო?”
მაგრამ მელამ უპასუხა: „ბრიყვი ხარ და სულელიო!
რას დავეძებ მაგის თამაშს? მე სხვარამეს მოველიო.
მოვუწონებ, იამება, გაბრიყვდება ამ ქებითო
და ჩვენ კი რა გვენაღვლება, ვახშმადაც აქ დავრჩებითო“.

***თვალთმაქცობა** – ორპირობა, ეშმაკობა, ცბიერება.

აქტივობა 2

მასწავლებელი სოციალურ ურთიერთობებზე ამახვილებს ყურადღებას და მოსწავლეებს სთავაზობს „დათვის წვეულების“ მაგალითზე წარმოადგინონ სტუმრების მიღება, მისალმება, მიპატიჟება, გამასპინძლება და გაცილება. მაგ.: მისალმება: გამარჯობა! საღამო მშვიდობისა! მოკითხვა: როგორ ხარ? გამასპინძლება: გთხოვ, მიირთვი! მადლობის გადახდა: გმადლობ! დამშვიდობება: ნახვამდის! კარგად იყავი!

სასურველია, გათამაშების პროცესში მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ.

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს კ. მ. ვებერის ნაწარმოებს „ტუში ოცი საყვირისთვის“ და განუმარტავს, რომ ტუში მოკლე სადღესასწაულო მუსიკალური მისალმებაა და წვეულების გახსნის, მისალმების ან რაიმე ჯილდოს გადაცემის დროს სრულდება. მას, ძირითადად, ჩასაბერი საკრავებით – საყვირებით ასრულებენ.

- მოიფიქრეთ, თქვენი წვეულების რომელ ეტაპს გააფორმებდით ამ ნაწარმოებით?

კ. მ. ვებერი. „ტუში ოცი საყვირისთვის“

აქტივობა 3

ახლა კი მოუსმინეთ ქართულ ხალხურ სიმღერას „დათვმა ლხინი გადიხადა“. იმსჯელეთ, როგორი ხასიათი აქვს ამ სიმღერას და შემოხაზეთ სწორი პასუხები.

- თხრობითი
- სადღესასწაულო
- მხნე
- საზეიმო
- დაძაბული
- პირქუში*

იმერული ხალხური სიმღერა „დათვმა ლხინი გადიხადა“

***პირქუში** – დაღვრემილი, არამხიარული, მრისხანე შესახედაობისა.

26 მიპატიჟება

აქტივობა 1

როგორც უკვე იცით, წვეულებაზე უპირველესად ეპატიჟებით სტუმრებს, შემდეგ იწვევთ სუფრასთან. მოუსმინეთ მუსიკას და განსაზღვრეთ, როგორი მუსიკა მოუხდებოდა სუფრასთან მიპატიჟებას? შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი მუსიკალური ფრაგმენტი და მისი ნომერი შემოხაზეთ (გამოყენებულია ფრაგმენტები პ. ჩაიკოვსკის ბალეტიდან „მძინარე მზეთუნახავი“).

1

2

3

აქტივობა 2

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი მოგაგონებთ მშვიდ, სიტყვაძუნწ* მასპინძელს?
- როგორ ფიქრობთ, რა საშუალებით არის მიღწეული ეს მუსიკაში? შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხი:

ა) მელოდიით, სადაც დიდი ნახტომებია მაღალი ბგერიდან დაბალზე;

ბ) მშვიდი, დაღმავალი მელოდიითა და მდორე რიტმით;

გ) მელოდიით მრავალი აღმავალი სვლით.

- რომელი ფრაგმენტი გაგონებთ აღელვებულ, ზედმიწევნით ემოციურ მასპინძელს? გამოიყენეთ წინა კითხვის სავარაუდო პასუხები.
- რომელი ფრაგმენტი გაგონებთ საყვარელ ადამიანს? რატომ?

***სიტყვაძუნწი** – იტყვიან ადამიანზე, ვინც ცოტას ლაპარაკობს.

27 გამოიცანი დღესასწაული-1

აქტივობა 1

ეს არის დღესასწაული, როდესაც რთავენ ნაძვის ხეებს, ალამაზებენ ქუჩებს, სკვერებს, პარკებს, მოედნებს, ირგვლივ ყველაფერი ბრჭყვიალა, ნათელი და ხალისიანია. იმართება გრანდიოზული წვეულებები, რაც ბევრ საჩუქარსა და სურვილების ახდენას უკავშირდება.

- მოუსმინეთ მუსიკას და გამოიცანით, რომელი დღესასწაულია?

ი. ბობოხიძე. „ფიფქები“

- როგორი განწყობა შეგიქმნათ მუსიკამ?
- როგორია თქვენი განწყობა ახალი წლის დღეებში?
- რა გახარებთ ყველაზე მეტად ახალ წელს?
- ნახეთ ვიდეო, მოუსმინეთ სიმღერას და თქვენც აჰყევით.

აქტივობა 2

მასწავლებელი საუბრობს წვეულების მსვლელობის წესზე (სტუმრების მიღება, სუფრასთან მიპატიჟება და ა.შ.).

საახალწლოდ ყველა ოჯახში ელიან სტუმრებს. მასპინძელი სალმიანი, ზრდილობიანი, კეთილმოსურნე და სტუმართმოყვარე უნდა იყოს, უნდა ზრუნავდეს სტუმრის სიამოვნებაზე.

- თქვენ როგორი მასპინძელი ხართ?
- რა განწყობით ხვდებით სტუმრებს?
- როგორ მიმართავთ მათ?
- რას ამბობთ, როცა სტუმრებს სადღესასწაულო სუფრასთან იწვევთ?

დააკვირდით სურათს და შემოხაზეთ ის განწყობა, რომელშიც სტუმართმოყვარე ადამიანი ამოიცანით.

აქტივობა 3

მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს და მიუსადაგეთ სურათებზე წარმოდგენილ განწყობას.

მშვიდი

გაბრაზებული

მხიარული

მოწყენილი

ო. პიტერსონი. კომპოზიცია

ა. ხაჩატურიანი. „ცეკვა ხმლებით“ ბალეტიდან „გაიანე“

ლ. ანდერსონი. საორკესტრო პიესა „გასეირნება ციგებით“

პ. ჩაიკოვსკი. „ოქტომბერი“ საფორტეპიანო ციკლიდან „წელიწადის დრონი“

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი იყო ყველაზე მშვიდი? სევდიანი?
- რომელი იყო ენერგიული და ხალისიანი?
- რომელ ჩანაწერში ჟღერდა წკრიალა ბგერები?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი მოგეწონათ ყველაზე მეტად და რატომ?
- რომელ ჩანაწერში იგრძენით სიხარული?
- რომელ ფრაგმენტში შეიცანით საკუთარი თავი?

28 გამოიცანი დღესასწაული–2

აქტივობა 1

ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა – ქორწილი – ლამაზი სანახაობაა თავისი სიმღერებით, ცეკვებითა და ფერხულებით*, გართობა-თამაშობებით, მუსიკალური და პოეტური პაექრობებით, გამოცანებით. ქართული ქორწილისთვის დამახასიათებელია მაყრიონის მისვლა დედოფლის ოჯახში; ნეფის ოჯახში მისვლა და კერის გარშემოვლა; საქორწილო სუფრა; საქორწილო ზეიმის ფარგლებში მოქცეული წეს-ჩვეულებები და სიმღერა-ფერხულები.

მთელი ქორწილი მუსიკის თანხლებით მიმდინარეობდა. გამორჩეული ადგილი სიმღერა „მაყრულს“ ეკავა. მას მაყრები, ნეფე-დედოფლის მხლებლები მღეროდნენ. ვინაიდან ქორწილში ამ სიმღერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაყრებად სიმღერის კარგ მცოდნეებს ირჩევდნენ. სადღესასწაულო სუფრაზე აუცილებლად სრულდებოდა „მრავალჟამიერი“.

მოუსმინეთ და განსაზღვრეთ, ქორწილის რომელ ეპიზოდში სრულდებოდა ეს სიმღერები: მაშინ, როდესაც პატარძალი მიჰყავდათ სახლიდან თუ ჯვრისწერის დროს?

„მრავალჟამიერი“

მაყრული „მოვდივართ მოგვიხარია“

აქტივობა 2

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს ორ ფრაგმენტს: ფ. მენდელსონის საქორწილო მარშს დაწერილს სპექტაკლისთვის „ზაფხულის ღამის სიზმრები“ და საქორწილო მსვლელობას რ. ვაგნერის ოპერიდან „ლოენგრინი“ და დაუსვამს კითხვებს:

- როგორ ფიქრობთ, ეს ნაწარმოებები რომელ დღესასწაულს მიესადაგება: დაბადების დღეს, თუ ქორწილს?
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი. გაიხსენეთ, სად და რა გარემოში მოგისმენიათ ეს ნაწარმოებები.
- რომელი ფრაგმენტი სრულდება მხოლოდ ინსტრუმენტებით?
- რომელ ფრაგმენტში ისმის მომღერალთა გუნდის ხმა ინსტრუმენტების თანხლებით?

ფ. მენდელსონი. „საქორწილო მარში“ სპექტაკლიდან „ზაფხულის ღამის სიზმარი“

რ. ვაგნერი. „საქორწილო მსვლელობა“ ოპერიდან „ლოენგრინი“

***ფერხული** – გუნდური ცეკვა, რომელსაც მოცეკვავეები ხელიხელგადაბმული ფეხების სათანადო აყოლებით ასრულებენ.

აქტივობა 3

- შეგიძლიათ დღესასწაულების ამოცნობა ხმებით?
- მოუსმინეთ ხმებს და გამოიცანით, რომელი დღესასწაულებია?

ხმების ნომრები სურათებთან ხაზებით დააკავშირეთ.



- ამოიცანით დღესასწაულები?
- როგორ ფიქრობთ, სურათების გარეშე ამოიცნობდით ამ დღესასწაულებს?
- იქნებ ხმები დაგეხმარათ?
- რატომ ფიქრობთ ასე?
- რომელი ხმის მიხედვით ამოიცანით ქორწილი?
- რომელმა ხმამ მიგანიშნათ ახალ წელზე?
- რომელმა ხმამ მიგანიშნათ დაბადების დღეზე?

აქტივობა 4

ახლა კი მუსიკით ამოიცანით ეს დღესასწაულები. ჩაწერეთ აუდიომაგალითის ნომერი სათანადო დღესასწაულის სურათის ცარიელ უჯრაში.

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტები ჰგვანან ერთმანეთს ხასიათით?
- რომელ სიტყვას დაუკავშირებდით ამ მუსიკალური ფრაგმენტის მელოდიას?

სევდიანი, ჯადოსნური, მშფოთვარე, სხვა...

29 ქრისტესშობა

აქტივობა 1

მიმართეთ მოსწავლეებს:

ქრისტესშობა ქრისტიანული დღესასწაულია. ქრისტესშობის ღამეს ჩვენში ულამაზესი ტრადიცია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მეოხებით* დამკვიდრდა. შობის ღამეს საქართველოში თითქმის ყველა სახლის ფანჯარაში იდგმება ანთებული სანთელი, რომლის შუქსაც ნებისმიერი გამვლელი ხედავს.

მოდი, მოვუსმინოთ საშობაო სიმღერას და შევარჩიოთ შესაბამისი დახასიათება, შემდეგ შევავსოთ ცხრილი. დავალების შესრულება რომ გაგვიადვილდეს, ამისთვის წავიკითხოთ და გავიხსენოთ, როგორი შეიძლება იყოს მუსიკის მახასიათებლები:

რიტმი: მოძრავი, ცოცხალი, მშვიდი, მდორე, აქცენტირებული, საცეკვაო, მარშისებური.

მელოდიის სახეობა: მღერადი, არამღერადი, აღმავალი, დაღმავალი, მელოდია ნახტომებით.

მელოდიის ხასიათი: იდუმალი, საშიში, მხიარული, სევდიანი, საზეიმო, დაძაბული.

ჰარმონია: კეთილხმოვანი (სასიამოვნო), არაკეთილხმოვანი (უსიამოვნო).

ნაწარმოების ფორმა: დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული, მთლიანი ნაწარმოები.

ამოარჩიეთ ზემოთ მოცემული შესაბამისი მახასიათებლები და შეავსეთ ცხრილი:

	ვ. კახიძე, „ალილო“
რიტმი	
მელოდიის სახეობა	
მელოდიის ხასიათი	
ჰარმონია	
ნაწარმოების ფორმა. რას ვისმენთ? დასაწყისს, შუა ეპიზოდს, დასასრულს თუ მთლიან ნაწარმოებს?	

- რა განწყობა შეგექმნათ სიმღერის მოსმენის შემდეგ?
- როგორ ტემპში შესრულდა სიმღერა?
- სიმღერას ერთი ადამიანი იწყებს თუ ბევრი?
- როგორი ტემბრი აქვს მომღერალს, რომლის ხმაც ჩანაწერის დასაწყისში გესმით:
- როგორი ტემბრის ხმა აქვს მომღერალს:

ნათელი, თბილი, უხეში მჭახე, დახშული, მჟღერი, რბილი, წკრიალა.

***მეოხებით** – დახმარებით, შემწეობით

აქტივობა 2

ახლა კი მოუსმინეთ ვ. კახიძის „ალილოს“ სხვა ჩანაწერს და უპასუხეთ კითხვებს:

- ამ ვარიანტში როგორ რეგისტრში ჟღერს სიმღერა, დაბალსა თუ მაღალში?
- თქვენ რომელი შესრულება მოგეწონათ? რატომ? შემსრულებლის ტემბრი უფრო რბილი და თბილია, უფრო ხავერდოვანი, თუ უფრო წკრიალა და ნათელი?
- სიმღერას ერთი ადამიანი იწყებს თუ მთელი გუნდი?

მომღერალს, რომელიც მარტო ასრულებს სიმღერას, **სოლისტი** ჰქვია.

ვ. კახიძე. „ალილო“

30–31 თხილის სატეხი

აქტივობა 1

ბალეტ „მაკნატუნას“ მუსიკა პიოტრ ჩაიკოვსკიმ დაწერა.

ლიბრეტო შექმნილია ე. თ. ჰოფმანის ზღაპრის, „მაკნატუნა და თაგვების მეფე“ მოტივების მიხედვით.

კომპოზიტორი პიოტრ ჩაიკოვსკი (1840-1893) არაერთი ოპერის, სიმფონიისა და ბალეტის ავტორია. მათ შორისაა ბალეტი „მაკნატუნაც“. კომპოზიტორს ასევე შექმნილი აქვს საფორტეპიანო პიესების ციკლი „საბავშვო ალბომი“. ზოგი აღწერს ბავშვების თამაშობებს, მათ დღის წესრიგს, ზოგი კი სხვადასხვა ქვეყნის ხალხური ცეკვების და სიმღერების ინტონაციებზეა აგებული.

ჩაიკოვსკი ერთ-ერთი პირველი კომპოზიტორია რუს კომპოზიტორთა შორის, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ის ბევრს მოგზაურობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ხუთჯერ იყო.

საქართველოში. ისვენებდა ბორჯომში. მისი ოპერები მისსავე სიცოცხლეში დაიდგა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

გაეცანით „მაკნატუნას“ შინაარსს:

დიდი ხნის წინ ერთ ქალაქში ცხოვრობდა შტალბაუმების ოჯახი. შობის დღესასწაულს ყოველთვის მხიარულად ხვდებოდნენ. უამრავი სტუმარი საშობაო ნაძვის ხესთან ცეკვით ირთობდა თავს. ბავშვებთან, მარისა და ფრიცთან მოდიოდა ნათლია დროსელმაიერი, რომელსაც საჩუქრები მოჰქონდა. ნათლიას საოცარი ნიჭი ჰქონდა – სათამაშოების გაცოცხლება შეეძლო. ერთხელაც, შობის ღამეს ნათლიამ მარის ჯარისკაცის ფორმის თხილის სატეხი მაკნატუნა აჩუქა. მარის ძმამ, ფრიცმა თხილის სატეხი გატეხა.

საახალწლო წვეულება დასასრულს უახლოვდებოდა. სტუმრები თანდათან ტოვებდნენ შტალბაუმების სახლს. მარის ძილის დროც დადგა. მან გატეხილი სათამაშო გაახვია და საწოლთან დაიდო. სიზმარში კი საოცარი თავგადასავალი გადახდა:

თითქოს ნათლია დროსელმაიერი მოვიდა ჯადოსნური ჯოხით და ყველაფერი შეცვალა: ოთახი გაბრწყინდა, ნაძვის ხეც დამშვენდა და გაიზარდა... მოულოდნელად სოროდან თაგვები გამოძვრნენ. მათ მარის შეპყრობა და საშობაო საჩუქრების გაფუჭება მოინდომეს, მაგრამ არ დასცალდათ, გაცოცხლებულმა მაკნატუნამ ხის პატარა ჯარისკაცებს უხმო, მტერს შეერკინა და დაამარცხა. მაკნატუნა ულამაზეს უფლისწულად გადაიქცა და მარისთან ერთად ტკბილეულის ჯადოსნურ ქვეყანა კონფიტიურენბურგში ამოყო თავი. ფერია დრაჟე, შობის ანგელოზები, ჩინური ჩაი, ესპანური შოკოლადი, დანიური მარციპანი, რუსული კარამელი, ჯამბაზები და ყვავილები სტუმრებს ცეკვით ესალმებოდნენ. მარიმ და უფლისწულმა დაქორწინება გადაწყვიტეს. ამ დროს გოგონას გამოეღვიძა და სიზმარიც გაქრა. მარიმ ჩაიხუტა თავისი მაკნატუნა და შობის დილას ხალისით შეხვდა.

აქტივობა 2

ნახეთ ფერია დრაჟეს ცეკვა ფილმ-ბალეტიდან „მაკნატუნა“.

- როგორი განწყობა დაგეუფლათ მუსიკის მოსმენისას?
- რა ტემპში ჟღერდა მუსიკა?

გაიხსენეთ და იმსჯელეთ, როგორი რეგისტრი და ტემბრი აქვს ფერია დრაჟეს ცეკვის მუსიკალურ თანხლებას? მსჯელობისას გამოიყენეთ შემდეგი სიტყვები: გამჭვირვალე, ჯადოსნური, მსუბუქი, ნათელი, ჰაეროვანი.

სწორედ ჩელესტას ჟღერადობითაა შექმნილი ფერია დრაჟეს ზღაპრული სახე „მაკნატუნაში“.

აქტივობა 3

უჩვენეთ მოსწავლეებს ვიდეოფრაგმენტები ფილმ-ბალეტიდან „მაკნატუნა“, მუსიკა პ. ჩაიკოვსკის. და ამავე დროს სთხოვეთ დააკვირდნენ რვეულში სურათებს. წაიკითხონ მოცემული წინადადებები. ვიდეოფრაგმენტების ნახვის შემდეგ ფოტოების თავზე, ცარიელ ჩარჩოში ჩაწერონ შემოთავაზებული წინადადებებიდან ფოტოს შესაბამისი წინადადების ციფრი.

1. სადღესასწაულო ცეკვა-მარში;
2. მასპინძლები სტუმრებს ესალმებიან;
3. ბავშვები ჯადოსნობას ელიან. ნათლია დროსელმაიერი სათამაშოებს აცოცხლებს;
4. ღამით მარის ოთახი გარდაისახება, ნაძვის ხე დიდდება, ჯადოსნური მაკნატუნაც ცოცხლდება;
5. ფერია დრაჟეს სამფლობელოში ცეკვავენ შობის ანგელოზები;
6. ფერია დრაჟეს სამეფოდან მარისა და მაკნატუნას აცილებენ, ემშვიდობებიან.

32–33–34 „მაკნატუნა“

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა: საახალწლო წვეულების მუსიკალური გაფორმება პიოტრ ჩაიკოვსკის ბალეტის „მაკნატუნას“ ფრაგმენტების გამოყენებით.

საკითხი: მუსიკით განწყობის გადმოცემა

1. ღონისძიების სცენარი
2. ღონისძიებაზე მოწვევა და დახვედრა

ნაბიჯი 1

როგორ შევარჩიოთ მუსიკა სტუმრების მოწვევისა და დახვედრისთვის?

მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს და გადაწყვიტეთ:

ა) რომელ ფრაგმენტს შეურჩევთ მოსაწვევ მუსიკალური ბარათს;

ბ) რომელ ფრაგმენტს გამოიყენებთ მოწვეული სტუმრების დასახვედრად.

თითოეულ სურათს მიუწერეთ სათანადო მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი.



გილოცავთ ახალ წელს!

სტუმრების მიპატიჟება!

ნაბიჯი 2

როგორც იცით, საახალწლო წვეულება არ არსებობს მთავარი სტუმრის – თოვლის პაპის გარეშე.

მოუსმინეთ სამ მუსიკალურ ფრაგმენტს და ამათგან შეარჩიეთ ერთ-ერთი, რომელიც თოვლის პაპას მოგაგონებთ. შესაბამისი ფრაგმენტის ნომერი ჩაწერეთ წრეში.

დააკვირდით და გაიაზრეთ, რა განწყობას გადმოსცემს სამი თოვლის პაპის სამი ფოტო.



განმეორებით მოუსმინეთ ფრაგმენტებს და განწყობის მიხედვით ხაზებით დააკავშირეთ გამოსახულებებთან.

- რომელი მუსიკალური დახასიათების გრაფიკული გამოსახულებაა?
- დააკავშირეთ ფრაგმენტი გამოსახულებასთან ხაზით.



ნაბიჯი 3

კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ამ მუსიკალურ დახასიათებებს და ჩაწერეთ მათი დახასიათებების ნომრები ცხრილის სათანადო უჯრაში.

ამ მუსიკალური დახასიათების მელოდია ბოლოში ძალიან ბოხ ბგერებზე ჟღერს. ეს მუსიკალური დახასიათება ყველაზე წვრილ ბგერებზე არის აგებული.

ამ მუსიკალურ დახასიათებაში ხმის სიძლიერე ბოლოსკენ მატულობს.

ამ მუსიკალური დახასიათების მელოდია ბოლოში ძალიან დაბალ რეგისტრში ჟღერს.	ეს მუსიკალური დახასიათება მაღალ რეგისტრშია აგებული.	ამ მუსიკალურ დახასიათებაში ხმის სიძლიერე ბოლოსკენ მატულობს.

თქვენი აზრით, როგორი მუსიკით უნდა მიიწვიოთ ბავშვები ნაძვის ხესთან? შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი მუსიკალური ფრაგმენტი და ჩაწერეთ მისი ნომერი.

კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ამ სამ ფრაგმენტს. ჩასვით ფრაგმენტების ნომრები ცხრილის სათანადო უჯრაში.



ნაბიჯი 4

სტუმრებისთვის საჩუქრების დარიგება.

რომელ საჩუქარს რომელი მუსიკალური ფრაგმენტი მოუხდება.

შეავსეთ ცხრილი. ჩაწერეთ ფრაგმენტის ნომერი სათანადო უჯრაში.

ეს ფრაგმენტი ყველაზე წვრილ ნოტებზეა აწყობილი.

ამ ფრაგმენტში ყველაზე მოძრავი რიტმია.

ამ ფრაგმენტში ყველაზე მდორე, მძიმე რიტმია.

ამ ფრაგმენტში წკრიალა ბგერის ინსტრუმენტებია გამოყენებული.



კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ამ ფრაგმენტებს. ჩასვით ფრაგმენტების ნომრები ცხრილის სათანადო უჯრაში.



მაგრამ მთავარი პრიზი არის მაკნატუნა. შეიძლება ის არ არის ყველაზე ლამაზი სათამაშო, მაგრამ ყველაზე ჯადოსნურია. თქვენი აზრით, რომელი მუსიკალური მაგალითი მოუხდებოდა ამ სათამაშოს? ჩაწერეთ სათანადო მუსიკალური მაგალითის ნომერი.



- რა სიტყვას დაუკავშირებდით ამ მუსიკალურ დახასიათებებს?

ხაზით დააკავშირეთ ფრაგმენტების ნომრები სათანადო სიტყვებთან.

ნაბიჯი 5

სტუმრების გაცილება.

- როგორ გავაცილოთ სტუმრები?

თქვენი აზრით, რა მუსიკალური ფრაგმენტით შეიძლება სტუმრების გაცილება? ჩაწერეთ მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი ცარიელ წრეში.

35–36 საშობაო და საახალწლო სიმღერები

აქტივობა 1

მიმართეთ მოსწავლეებს:

– სულ ცოტა ხნის წინ ვიზეიმეთ ახალი წლის დადგომა. უამრავი საშობაო და საახალწლო სიმღერა ჟღერდა ჩვენ ირგვლივ. მოდი, დღეს კიდევ ერთხელ მოვისმინოთ ისინი. უფრო მეტი შევიტყოთ მათზე და, რაც მთავარია, ვიმსჯელოთ, გავარკვიოთ, რა მსგავსებები და განსხვავებებია მათ შორის.

თავდაპირველად შევადაროთ ერთმანეთს გურული სიმღერა „ბურთის გამარჯვება“ და

ავსტრიული საშობაო სიმღერა „იოდლით“. იოდლი „იო-აიი-უუ“ ხმოვნებზე სწრაფად მოძრავი მაღალი ხმაა.

მსჯელობა რომ გაგიადვილდეთ, უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- მსგავსია თუ არა ამ სიმღერების განწყობა?
- როგორი რეგისტრი იქცევს ყურადღებას, მაღალი თუ დაბალი?
- როგორ მოძრაობენ მაღალ ხმაში ბგერები?
- რით წააგავს ეს სიმღერები ერთმანეთს, მაღალი ხმებისა თუ დაბალი ხმების მოძრაობით?
- რომელი სიმღერაა უფრო კეთილხმოვანი? დინჯი? მღერადი? რომელია მხნე და ენერგიული?

ახლა კი ფრანგულ საშობაო სიმღერაზე მოგითხრობთ:

საფრანგეთში საშობაო მსვლელობა – მარში იმართება, რა დროსაც ხალხი ქრისტესშობის ისტორიას მსვლელობითა და სიმღერით ჰყვება. მღერიან სიმღერა „მეფეთა მარშს“, თან მწყემსებსა და მოგვებს განასახიერებენ. მსვლელობის დასასრულს ყველანი ჩერდებიან ეკლესიასთან, საიდანაც ისმის ორგანის ხმა და ინთება შობის ვარსკვლავი.

- იცით, რომ ორგანი ყველაზე დიდი საკრავია მუსიკალურ ინსტრუმენტებს შორის?
- როგორ ფიქრობთ, მას ძლიერი ხმა აქვს თუ სუსტი?
- როგორი ხასიათი აქვს სიმღერას: ამაღლებული, სადღესასწაულო, ნათელი, მშვიდი?
- როგორ ტემპში სრულდება?

აქტივობა 2

ახლა კი ნახეთ ქართულ ხალხურ სიმღერა „ალილოს“ და გერმანულ ხალხურ სიმღერას „ნაძვის ხეო“ ორი ვიდეო. იმსჯელეთ:

- რომელი სრულდება ინსტრუმენტების თანხლების გარეშე?
- რომელი ორკესტრის თანხლებით?
- როგორია ამ სიმღერების განწყობა? ტემპი?
- როგორი რეგისტრი იქცევს ყურადღებას, მაღალი თუ დაბალი?

საშობაო მელოდია, რომელსაც მთელ მსოფლიოში იცნობენ, თურმე ერთ ღამეში დაუწერია ტაძრის წინამძღვარ ჯოზეფ მორსა და ამავე ტაძრის ორგანისტ ფრანც გრუბერს. საშობაო სიმღერა „მშვიდი წმინდა ღამე“ ავსტრიის ერთ-ერთ სოფელში, ზალცბურგთან, მოცარტის მშობლიურ ქალაქთან ახლოს შეიქმნა, სადაც შობისთვის განსაკუთრებულად ემზადებოდნენ. თუმცა ტაძარში მოულოდნელად გამტყდარა ორგანი, რომლის გარეშეც საშობაო ჰიმნის შესრულება შეუძლებელი იყო. შობას უმუსიკოდ რომ არ ჩაევლო, ეკლესიის წინამძღვარმა და ორგანისტმა შეთხზეს ადვილად დასამახსოვრებელი მელოდია, რომელსაც ხალხი დღემდე მღერის. ეს სიმღერა უამრავ ენაზეა თარგმნილი, მათ შორის არსებობს მისი ქართული ვარიანტიც.

ახლა კი მოუსმინეთ ამ სიმღერის ჩანაწერს და შეადარეთ იგი ინგლისურ ტრადიციულ სიმღერას „ბედნიერ შობას გისურვებთ“. იმსჯელეთ, რა საერთოა მათ შორის: განწყობა, ტემპი, ხმისა და საკრავების ნათელი ტემბრი.

- რომელი სიმღერა სრულდება საკრავების თანხლებით და რომელი მხოლოდ ხმით?
- იცით, რომ მუსიკოსებმა სიმღერას თანხლების გარეშე აკაპელა დავარქვით?

აქტივობა 3

იცოდით, რომ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საშობაო სიმღერა „ზარების ხმა“, უკრაინული ხალხური სიმღერის საფუძველზე შეიქმნა? პირველი ვერსია უკრაინელი კომპოზიტორის ნიკოლაი ლეონტიევის სიმღერა „შჩედრიაკია“ – გულუხვი საღამო. მოგვიანებით უკრაინელი წარმოშობის ამერიკელმა კომპოზიტორმა პიტერ ჯეი ვილჰოვსკიმ გადააკეთა საშობაო სიმღერად.

უკრაინული ფოლკლორი საოცრად ფერადოვანია, როგორც ამ ქვეყნის ბუნება. უკრაინულ დღესასწაულს „მასნიტსიას“ უკავშირდება პოპულარული კერძები „ვარენიკები“, „ალადიკები“ და „სირნიკები“.

მოუსმინეთ სიმღერას „შჩედრიაკი“.

- რას ჰბაძავს ჩასაბერი საკრავი?
- რა განწყობას გიქმნით ეს სიმღერა?

შემდეგ უჩვენეთ უკრაინული ცეკვა „ჰოპაკი“. ამ ცეკვას უკრაინაში ასრულებენ ქორწილებში, დღეობებსა და სხვადასხვა სახალხო დღესასწაულებზე.

მიუთითეთ ბავშვებს მოცეკვავეთა ილეთებზე (ჟესტებზე) და სთხოვეთ მათ თავიანთი სიტყვებით ახსნან, რისი ჩვენება სურს მოცეკვავეს:

- მოხერხებულობის, სიძლიერის, სინაზის თუ სიხარულის?
- რა ემოციაა გადმოცემული ცეკვით?

37 წმინდა ნიკოლოზი და კნეხტ-რუპრეხტი

აქტივობა 1

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს:

– ამჯერად საახალწლო დღესასწაულის გმირებზე, წმინდა ნიკოლოზსა და კნეხტ-რუპრეხტზე მოგითხრობთ.

სახელი ნიკოლოზი ნიშნავს გამარჯვებულს, კეთილის გამარჯვებას ბოროტზე. ალბათ ყველას გსმენიათ წმინდა ნიკოლოზის შესახებ. იგი სასწაულებს ახდენს. სრულიად განსხვავებული რწმენისა* და ტრადიციების მქონე ხალხსაც კი უსრულებს თხოვნას. წმინდა ნიკოლოზს ბევრი ადამიანი გადაურჩენია ზღვაში დახრჩობისგან, განუკურნავს დაავადებებისგან, დაუბრუნებია კაცისთვის სმენა, მხედველობა...

სწორედ ამიტომ ბევრ ქვეყანაში წმინდა ნიკოლოზი შობა-ახალი წლის სიმბოლოდ იქცა.

შობის ღამეს სანტა-კლაუსის სასწაულის* მოლოდინში, საჩუქრებისთვის საგანგებოდ წინდებს გამოფენენ ხოლმე. ზოგჯერ წინდებსა და ფეხსაცმელს ბუხართან ტოვებენ, რადგან სჯერათ, რომ ბუხრიდან ჩამოვა კნეხტ-რუპრეხტი – სანტას დამხმარე და ბევჯით, ხალისიან ბავშვებს საჩუქრებს დაუტოვებს, მათ კი, ვინც მთელი წელი ცუდად იქცეოდა, დატუქსავს. სანტა-კლაუსი კი მოწყალეა. ის ყველა ბავშვს ანუგეშებს და უსაჩუქროდაც არავის ტოვებს.

მოუსმინეთ გერმანელი კომპოზიტორის ორ ფრაგმენტს რობერტ შუმანის პიესიდან „კნეხტ-რუპრეხტი“ და იმსჯელეთ: როდისაა ასახული ბრაზიანი კნეხტ-რუპრეხტის სახე, და რომელ ფრაგმენტში ისმის სანტა-კლაუსის მოსვლითა და საჩუქრების მიღებით გახარებული ბავშვების ინტონაცია.

აქტივობა 2

ამჯერად თავიდან ბოლომდე მოუსმინეთ პიესას „კნეხტ-რუპრეხტი“ და დახატეთ თქვენი შთაბეჭდილება.

***რწმენა** – რაიმეს დაჯერება, სარწმუნოდ მიჩნევა.

***სასწაული** – არაჩვეულებრივი, აუხსნელი, ზებუნებრივი მოვლენა.

აქტივობა 3

დააკვირდით ინსტრუმენტების ფოტოებს, გაიხსენეთ პიესა „კნეხტ-რუპრეხტი“ და იმსჯელეთ, რომელი საკრავით ასრულებენ მას?

აქტივობა 4

მოუსმინეთ ფრაგმენტს სიმღერიდან „თოვლის ბაბუა“. დააკვირდით რვეულში მარცვლებით ჩაწერილ სიმღერის ეპიზოდებს და სიმღერის შინაარსის მიხედვით დანომრეთ.

- როგორ ფიქრობთ, მარცვლების მოძრაობა ემთხვევა სიმღერაში ბგერების მოძრაობას?

თოვლის ბაბუა

მუსიკა და ტექსტი რ. ჯულაყიძის



38–39 აღმოაჩინე სადღესასწაულო მუსიკა

აქტივობა 1

დააკვირდით ფოტოებს და გაეცანით მოკლე ინფორმაციას ფოტოზე ასახული დღესასწაულების შესახებ.

1. ეს ვენეციის კარნავალია. ამ დღესასწაულს უხსოვარი დროიდან აღნიშნავენ. აქ ყველა მონაწილე ნიღბითაა შემოსილი.

2. ეს ხმაურიანი „ფასტნახტის“ კარნავალია (გასართობი სანახაობა), რომელიც ყოველ წელს ერთი კვირის განმავლობაში იმართება გერმანიაში.

3. ამერიკაში, დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიასა და ირლანდიაში ერთ-ერთი დიდი დღესასწაული „მადლიერების დღეა“. მადლიერების დღეს აღნიშნავენ მოსავლის აღების შემდეგ. ამ დღესასწაულზე ოჯახები და მეგობრები იკრიბებიან. სუფრაზე აუცილებელია შემწვარი ინდაური. ამ დღეს გაჭირვებულებსაც ეხმარებიან.

4. ებრაელები აღნიშნავენ ხანუკას დღესასწაულს. ხანუკას უკავშირდება ზეთში შემწვარი ფუნთუშები და მთელ მსოფლიოში გავრცელებული დონატები. ამ დღეს თამაშობენ დრედლით. ეს სათამაშო ბზრიალაა, რომელზეც ანბანის ასოებია გამოსახული. ბავშვები თამაშის დროს სწავლობენ ანბანს.

5. ავსტრიასა და შვეიცარიაში წელიწადში ორჯერ – გაზაფხულსა და შემოდგომაზე იმართება „ალმაბთრიბი“. ამ დროს ათასობით ძროხას ყვავილების გვირგვინით რთავენ და მაღალ მთებში – ალპებში მიჰყავთ. ზამთრის პირას კი მწყემსები პირუტყვს უკან აბრუნებენ. მათ დაბრუნებას ხალხი სიხარულით ეგებება. სადღესასწაულო მსვლელობისას ნახირს წინ მოუძღვება სასულე ანუ ჩასაბერ საკრავთა ორკესტრი, რომელიც თავის წარმოდგენას „ალმაბთრიბთან“ დაკავშირებულ ნადიმზე აგრძელებს.

ახლა კი მოუსმინეთ ხმებს და მუსიკას ზემოთ ჩამოთვლილი დღესასწაულებიდან.

ხმები ვენეციის კარნავალიდან

ხმები ფასტნახტიდან

მადლიერების დღის სიმღერა

ებრაული ხალხური სიმღერა „ხანუკა“

წაიკითხეთ მუსიკისა და ბგერის მახასიათებლები. შემდეგ კი შესაბამისი შემოხაზეთ.

მუსიკის მახასიათებლები	**ვენეციის კარნავალი**	**ფასტნახტი**	**მადლიერების დღე**	**ხანუკა**	**ალმაბთრიბი**
რიტმი	• მოძრავი • ცოცხალი • მშვიდი, • მდორე		მოძრავი, ცოცხალი, მშვიდი, მდორე	ცოცხალი, მდორე, აქცენტი-რებული, საცეკვაო, მარშისებური	
მელოდიის ხასიათი	იდუმალი, საშიში, მხიარული, სევდიანი		მხიარული, სევდიანი, საზეიმო, და-ძაბული	მხიარული, სევდიანი, საცეკვაო	
ბგერის მახასიათებლები	**ვენეციის კარნავალი**	**ფასტნახტი**	**მადლიერების დღე**	**ხანუკა**	**ალმაბთრიბი**
ბგერის სიძლიერე		ხმამაღალი, ჩუმი			ჩუმი-სუსტი ძლიერი-ხმამაღალი
ბგერის ტემბრი		მოუდული მჟღერი			ჟღარუნა-ჭყვიტინა. რბილი, უხეში; დახშული, წკრიალა

აქტივობა 2

მოსმენილი ფრაგმენტებიდან ყველაზე მეტად რომელმა ფრაგმენტმა შეგიქმნათ სადღესასწაულო განწყობა? რატომ? წაიკითხეთ და შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები წინადადება:

1. ეს იყო ფრაგმენტი, რომელსაც სასიამოვნო ჰარმონია და საზეიმო მელოდია ჰქონდა.
2. ეს იყო ფრაგმენტი, რომელსაც მკვეთრი ტეხილი რიტმი ჰქონდა.
3. ეს იყო ფრაგმენტი, რომელსაც სადღესასწაულო მელოდია და მარშისებური რიტმი ჰქონდა.

აქტივობა 3

მიმართეთ მოსწავლეებს:

ამ უცნაურ საყვირს შვეიცარიელი და ავსტრიელი მწყემსები ალპების მთებში ყოფნისას იყენებენ. მისი ულამაზესი ხმა ეფინება მდელოებსა და ველებს. მწყემსები მთიდან მთამდე აწვდენენ ხმას და ერთმანეთს სასიკეთო ამბებსა და მოსალოდნელი საფრთხის შესახებ აცნობებენ.

ფიჭვის ხისგან დამზადებულ ამ საკრავს „ალპების რქა“ ანუ „ალპების საყვირი“ დაარქვეს.

მოუსმინეთ, ნახეთ ვიდეო და დაადგინეთ, რამდენი ადამიანი უკრავს ალპების საყვირზე?

სამი მუსიკოსის მიერ ნაწარმოების შესრულებას, ან სამი შემსრულებლისთვის დაწერილ ნაწარმოებს ტრიო დაარქვეს.

- როგორი ტემბრი აქვს ალპების საყვირს?

უხეში, მჭექარე, დახშული, მჟღერი, რბილი, მკვეთრი, თბილი, ნათელი, ხავერდოვანი, წკრიალა.

მოსწავლეებს განმეორებით მოასმენინეთ ფრაგმენტი ალპების მესაყვირეთა ტრიოს შესრულებით. ჰკითხეთ, რა განწყობას უქმნის მელოდია? როგორია ამ ფრაგმენტის ჰარმონია – კეთილხმოვანი/სასიამოვნო თუ არაკეთილხმოვანი/უსიამოვნო. სთხოვეთ, გამოიგონონ ამბავი და ჩაწერონ ჩარჩოში.

რუბრიკა: აღმოაჩინე სხვადასხვა ქვეყნის ჰიმნი

აქტივობა 1

საქართველოში ოდითგანვე უამრავ დღესასწაულს აღნიშნავდნენ.

ერთ-ერთი უძველესი დღესასწაული იყო „ხატობის“ დღესასწაული. ქართველმა კომპოზიტორმა, ზაქარია ფალიაშვილმა ოპერა „დაისი“ სწორედ „ხატობის“ დღესასწაულის სცენით დაიწყო. დღეს მოვისმენთ ფრაგმენტს ამ ოპერიდან, სადაც ნაჩვენებია სამშობლოსთვის თავდადებული ასისთავის, კიაზოს მოწოდება ბრძოლისკენ მაშინ, როდესაც საქართველოს მტერი შემოესევა.

მოუსმინეთ სცენას ზაქარია ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი“, სადაც ასისთავი კიაზო ბრძოლისკენ მოუწოდებს ქართველ ხალხს.

გააფერადეთ მოცემული სურათი და იმსჯელეთ:

- რას მოგაგონებთ ეს ფრაგმენტი?



ხშირად ბავშვები პასუხობენ, რომ ეს არის საქართველოს ჰიმნი. მას შემდეგ, რაც პასუხებს მოისმენთ, განუმარტეთ: ჩვენ მოვისმინეთ ფრაგმენტი ქართველი კომპოზიტორის, ზაქარია ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი“.

საქართველოს ჰიმნის მუსიკას საფუძვლად დაედო ფრაგმენტი ზაქარია ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი“. სწორედ ამ მუსიკის დამუშავებით ქართველმა კომპოზიტორმა, იოსებ კეჭაყმაძემ შექმნა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.

ჰკითხეთ, როგორ ესმით სიტყვა „ჰიმნის“ მნიშვნელობა? მას შემდეგ, რაც პასუხებს მოისმენთ, აუხსენით: **„ჰიმნი**“ – სადიდებელი საზეიმო სიმღერაა.

კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი ქართული ოპერების ავტორია.

აქტივობა 2

განმეორებით მოასმენინეთ საქართველოს ეროვნული ჰიმნი, რომელიც ბავშვებისთვის მოსახერხებელ ტონალობაშია ჩაწერილი.



მოუსმინეთ საქართველოს ჰიმნს წაიკითხეთ მუსიკის მახასიათებლები და შემოხაზე შესაბამისი.

მუსიკის მახასიათებლები	**საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი**
რიტმი	ცოცხალი, მდორე, აქცენტირებული, მარშისებური
ტემპი	ნელი ზომიერი საშუალო
მელოდიის სახეობა	მღერადი, არამღერადი აღმ,ავალი, დაღმავალი
მელოდიის ხასიათი	სევდიანი, საზეიმო

აქტივობა 3

მოასმენინეთ რამდენიმე ქვეყნის, ბრიტანეთის, გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატების ჰიმნი და მიმართეთ:

ახლა კი მოუსმინეთ სხვა ქვეყნების ჰიმნებს და იმსჯელეთ, რა საერთოა მათ შორის: ტემპი, რიტმი და მელოდიის ხასიათი.

ჰკითხეთ:

- სად მოუსმენიათ?
- (პასუხები სხვადასხვაგვარი იქნება, მაგ.: სტადიონზე, საზეიმო შეხვედრაზე, სკოლაში და ა.შ.).
- როგორია ამ სიმღერების განწყობა?

სთხოვეთ რვეულში წაიკითხონ სიტყვები და შემოხაზონ შესაბამისი მახასიათებელი.

ამაღლებული, დიდებული, მხნე, მოწოდებითი, ენერგიული, მშვიდი, სევდიანი, სადღესასწაულო.

ბრიტანეთის, გერმანიის და აშშ-ის ჰიმნები

- როგორია ამ სიმღერების რიტმი: მკვეთრი თუ მდორე? ტემპი ზომიერი თუ სწრაფი.

41 გაზაფხულის დღესასწაულები

აქტივობა 1

მიმართეთ მოსწავლეებს:

– დაბადების დღის გარდა ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი დღესასწაული ახალი წელია.

იცით, რომ ახალ წელს ზოგიერთ ქვეყანაში გაზაფხულის მოსვლასთან ერთად აღნიშნავენ?

მაგალითად, მარტში მუსლიმები აღნიშნავენ ნოვრუზ-ბაირამს. დღესასწაული ცამეტ დღეს გრძელდება და ბოლო დღეს სიმღერითა და ლხინით სრულდება. ჰაჯი ფირუზე ამ დღესასწაულის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გამრთობია, რომელიც ნოვრუზის დღეებში ჩნდება სიმღერითა და ცეკვით. უკრავს დაირასა და დოლზე. იგი აკაკუნებს სახლის კარზე და როგორც კი კარს გააღებენ, მაშინვე იწყებს წარმოდგენას. საქართველოში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეები – აზერბაიჯანელებიც აღნიშნავენ ამ დღესასწაულს და ამ დროს ჩვენც ვიზიარებთ მათ სიხარულს.

მოვუსმინოთ და ვნახოთ ნოვრუზ ბაირამის მთავარ გმირს ჰაჯი ფირუზეს.

- როგორია ამ სიმღერის მელოდია: მოქნილი, მშვიდი, ენერგიული, მღერადი?

აქტივობა 2

გაზაფხულის დადგომას მთელ მსოფლიოში სიხარულით ეგებებიან. ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, სადაც დიდი ხნის წინ ცხოვრობდა მოცარტი, ყოველ წელს იმართება საგაზაფხულო მეჯლისი – დიდი წვეულება. მეჯლისისთვის განსაკუთრებულად ემზადებიან ის ახალგაზრდები, რომლებიც პირველად მიიღებენ მონაწილეობას. ამ მეჯლისზე შედგება მათი **დებიუტი** – პირველი გამოსვლა.

დებიუტანტთა ხელმძღვანელს – ცეკვის მასწავლებელს ახალგაზრდები სამეჯლისო ცეკვა-მსვლელობა პოლონეზით შემოჰყავთ. დებიუტანტები სადღესასწაულო გარემოში ცეკვავენ სამეჯლისო ცეკვებს: პოლონეზს, გალოპს, პოლკას, ვალსს. დებიუტანტთა ვალსის შემდეგ დამსწრე საზოგადოებაც ერთვება ცეკვაში.

პოლონეზი – პოლონური ხალხური ცეკვაა; ვალსი – ავსტრიულ-გერმანული; გალოპი კი გავრცელებულია მთელ ევროპაში.

პოლონეთი, ავსტრია, ინგლისი, შვეიცარია, საფრანგეთი ევროპული ქვეყნებია.

- რომელი დღესასწაული მოგეწონათ ყველაზე მეტად?
- რომელი დღესასწაულის მუსიკაა უფრო მხიარული?
- რომელი დღესასწაულის მუსიკაა უფრო დახვეწილი და ნატიფი?

ახლა კი მოუსმინეთ ვალსს და გააფერადეთ მეჯლისი.

- იცოდით, რომ მეჯლისი არაბული სიტყვაა და კრებას, შეკრებას ნიშნავს?

ი. შტრაუსი (შვილი). ვალსი

აქტივობა 3

განმეორებით მოუსმინეთ ი. შტრაუსის (შვილის) ვალსს.

იმსჯელეთ მუსიკის მახასიათებლებზე. რა ხასიათი აქვს ამ ნაწარმოების მელოდიას: მხიარული, სევდიანი, საცეკვაო, საშიში თუ საზეიმო.

- როგორია ამ ფრაგმენტის ჰარმონია: კეთილხმოვანი – სასიამოვნო, თუ არაკეთილხმოვანი – უსიამოვნო?

42–43 სადღესასწაულო მუსიკა

აქტივობა 1

დიდი ხნის წინ გერმანელმა კომპოზიტორმა, გეორგ ფრიდრიხ ჰენდელმა დაწერა სადღესასწაულო ნაწარმოებები „მუსიკა წყალზე“ და „მუსიკა მეფეთა ფეიერვერკისთვის“. ძველად, როდესაც ინგლისის მეფე მდინარეზე ნავით სეირნობდა, უკან მიჰყვებოდა მეორე ნავი მუსიკოსებით, რომლებიც მას მშვენიერი ჰანგებით ატკბობდნენ.

„მუსიკა წყალზე“

მოასმენინეთ ფრაგმენტი და დაუსვით კითხვები:

როგორ განწყობას ქმნის ეს ეპიზოდი?

- მხოლოდ ორკესტრის ხმა გესმით თუ მომღერლებიც არიან ჩართული?
- თქვენ რომ მოაწყოთ დღესასწაული, როდის ააჟღერებდით ამ ფრაგმენტს, სტუმრების დახვედრისას თუ დამშვიდობებისას?

მოასმენინეთ მოსწავლეებს მენუეტი გ. ფ. ჰენდელის ნაწარმოებიდან „მუსიკა წყალზე“ და განუმარტეთ:

როგორც გითხარით, მეფეთა სეირნობისას მუსიკოსები უკრავდნენ ცოცხალ, სახალისო საცეკვაო მუსიკას. ერთ-ერთი იყო მენუეტი. მენუეტი საფრანგეთში დაიბადა და გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ჰენდელის „მუსიკა წყალზე“ სრულდებოდა მეჯლისებზეც. დააკვირდით მენუეტს, მოუსმინეთ თანხლებას და იმსჯელეთ:

- რას გამოხატავენ მოცეკვავეები მოძრაობით?
- როგორია განწყობა? გარემო?
- მოინდომებდით ასეთი ძველებური კოსტიუმების ჩაცმასა და ასეთ წვეულებაში მონაწილეობას?

აქტივობა 2

ძველად სადღესასწაულო დღეებში ორკესტრი უკრავდა ვალსებსა და მარშებს*. ცნობილია, როდესაც მოცეკვავეები ვალსს ასრულებენ, სამ თვლაზე ითვლიან, ხოლო როდესაც ჯარისკაცები საზეიმო მსვლელობისას მარშით ჩაივლიან, ორ ან ოთხ თვლაზე ითვლიან.

მოუსმინე ჩანაწერს და დაადგინე:

- რამდენს ითვლის ხმა პირველ ჩანაწერში?
- რამდენს ითვლის მეორე ჩანაწერში?
- რომელ ჩანაწერში გესმის სამი თვლა? რომელში ოთხი?
- რომელი თვლა არის პირველ ჩანაწერში ძლიერი?
- რომელი თვლა არის მეორე ჩანაწერში ძლიერი და რომელი შედარებით ძლიერი?

ორი მეფე

დააკვირდით ფოტოებს. მარცხნივ ავსტრიელი კომპოზიტორი, ვალსების მეფედ წოდებული, იოჰან შტრაუსია გამოსახული. მარჯვნივ კი, მარშების მეფედ წოდებული, ამერიკელი ჯონ სოუსა.

იოჰან შტრაუსის ნაწარმოებები, მათ შორის ვალსები, ყველასთვის ცნობილი და საყვარელია.

ჯონ სოუსა სამხედრო მარშებს წერდა. მისი ერთ-ერთი ნაწარმოები „მარად ვარსკვლავები და ზოლები“ ამერიკის ნაციონალური სამხედრო მარშია. ამ მარშს სხვა სიმღერებსა და ჰიმნებთან ერთად ასრულებენ ამერიკის დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე.

აქვე ჰკითხეთ ბავშვებს, მათი აზრით, რას ნიშნავს ვალსი? მათი პასუხების მოსმენის შემდეგ განუმარტეთ, რომ ვალსი გერმანული/ავსტრიული სამეჯლისო ცეკვაა.

ი. შტრაუსი (შვილი)

ჯ. სოუსა

მოასმენინეთ ჯონ სოუსას მარში „მარად ვარსკვლავები და ზოლები“, „საბრძოლო ჰიმნი“ და ი. შტრაუსის ვალსი „ვენის ტყის ამბები“.

აჰყევით ტაშით და გამოყავით ძლიერი დროები. შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს მოგბაძონ. ჰკითხეთ:

- რამდენი ტაშია ძლიერი დროიდან მომდევნო ძლიერ დრომდე?

დათვალეთ ხმით (ერთი, ორი...) სთხოვეთ ბავშვებს მუსიკასთან ერთად გაიმეორონ.

შემდეგ ჰკითხეთ:

- რომელ ფრაგმენტში რამდენი თვლა იყო?

***მარში** – მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც დაწერილია რაიმე მსვლელობის გასაფორმებლად. არსებობს სადღესასწაულო, სპორტული და სხვ. მარშები.

გაახსენეთ, რომ ვალსს სამ თვლაზე ითვლიან, ხოლო მარშს ორზე ან ოთხზე.
განმეორებით მოასმენინეთ და ჰკითხეთ:

- რომელია ვალსი და რომელი მარში?

აქტივობა 3

ნახეთ ფრაგმენტი უოლტ დისნეის ანიმაციური ფილმიდან „პლუტო“.
მოუსმინეთ მუსიკალურ თანხლებას და ამოიცანით:

- ვალსია, მარში თუ ჰიმნი?
- რა განწყობა შექმნა მუსიკამ ამ ეპიზოდში?
- როგორი იყო ტემპი, თანაბარი თუ ცვალებადი?

აქტივობა 1

ოდითგანვე საქართველოში ბავშვის დაბადებას განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ – სადღესასწაულო სუფრით, სიმღერითა და ცეკვით. ამ დღესასწაულს ძეობა ერქვა. ძველად სწორედ ამ დროს მღეროდნენ სიმღერას „მზე შინა“. მოასმენინეთ ბავშვებს სიმღერა, ამავე დროს ტაში ააყოლეთ და სთხოვეთ მოგბაძონ.

რამდენჯერმე მოასმენინეთ ჩანაწერი და სთხოვეთ აჰყვნენ სიმღერით. შესაძლებელია დახატონ შთაბეჭდილება.

მზე შინა



აქტივობა 2

უჩვენეთ ქართული ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილების“ შესრულებით „სამაია“ და განუმარტეთ: „სამაია“ უძველესი ცეკვაა. ამ ცეკვას ნაყოფიერების ღმერთს – მთვარეს უძღვნიდნენ. ცეკვა სრულდებოდა ასევე „ძეობის“ დღესასწაულზეც.

- რამდენი მოცეკვავე ასრულებს ცეკვას?
- რა ჰქვია სამი შემსრულებლის სიმღერას, დაკვრას ან ცეკვას (ტრიო)?
- თქვენი აზრით, რას გამოხატავს ეს ცეკვა?
- როგორია მისი ტემპი? ხასიათი?
- რა საერთო აქვს ამ ცეკვის მუსიკალურ თანხლებას სიმღერასთან „მზე შინა“?

45 ერთად ამდენი დღესასწაული?!

მოუსმინეთ მუსიკალურ კოლაჟს და ამოიცანით სხვადასხვა დღესასწაული, შემდეგ შეავსეთ ცხრილი. მოსმენილი კოლაჟის მიხედვით გამოიგონეთ პატარა ამბავი და წარუდგინეთ თანაკლასელებს.

აქტივობა 1

მოუსმინეთ მუსიკალურ კოლაჟს, ამოიცანით დღესასწაულები, სწორი თანამიმდევრობით დაალაგეთ და შეავსეთ ცხრილი.

დაბადების დღე	ახალი წელი	ქორწილი	დამოუკიდებლობის დღე

აქტივობა 2

კვლავ მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს, შეარჩიეთ თქვენი პასუხი და შემოხაზეთ.

- როგორი განწყობის მუსიკა მიუსადაგეთ დაბადების დღეს? სასიამოვნო, დიდებული, ჯადოსნური, ამაღლებული?
- როგორი განწყობის მუსიკა მიუსადაგეთ ქორწილს? ბრწყინვალე, დიდებული, მხიარული?
- როგორია იმ ფრაგმენტის რიტმი, რომელიც დამოუკიდებლობის დღეს შეუსაბამეთ? არათანაბარი, თანაბარი, მოძრავი, მარშისებური?
- როგორია იმ ფრაგმენტის ტემპი, რომელიც ახალ წელს მიუსადაგეთ? ნელი, ზომიერი, სწრაფი?

აქტივობა 3

აღწერეთ მოსმენილი კოლაჟის განწყობა და გამოიგონეთ პატარა ამბავი. ნამუშევარი გაუზიარეთ თანაკლასელებს.

თემა 3: ბუნებრივი მოვლენები მუსიკაში



თემის ძირითადი მიზანია, მუსიკის გამომსახველობითი ინტონაციებით ბუნებრივი მოვლენების ასახვით, ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს, ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა, რიტმულ-ინტონაციური სმენისა და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. ეს პროცესი ეტაპობრივად წარიმართება და განვლილი თემატური მასალის ათვისებით მიღებული შედეგები თვალსაჩინო გახდება, როცა მოსწავლე:

- ბუნებრივ მოვლენებს ხმა/ბაძვითი ბგერებით, გამომსახველობითი ინტონაციებით ასახავს;
- თავისუფალი გაკვეთილის ფორმატით სასწავლო პროცესში მონაწილეობით საკუთარ შესაძლებლობებსა და ქმედით უნარებს გამოავლენს;
- ბუნების მოვლენების ამსახველი მუსიკალური კოლაჟის შექმნის პროცესში აქტიური ჩართვით, სიმღერის ინტონაციის, რიტმისა და ტემპის ერთობლიობაში მოაზრებით, მუსიკალურ კოლაჟთან ცალკეული ვიზუალური რიგის დაკავშირებას შეძლებს;
- მოსმენილ მუსიკალურ ნაწარმოებებში ამოიცნობს სხვადასხვა ბუნებრივ მოვლენებს.
- ბუნებრივი მოვლენების ამსახველი გამომსახველობითი ინტონაციების, რიტმული ფიგურაციების სიმბოლოებისა და ნახატების შექმნით აღწერს მუსიკას, ემოციურ განწყობილებას გადმოსცემს.

46–47 ბუნებრივი მოვლენები

აქტივობა 1

ბუნებაში ყოველთვის ხდება სხვადასხვაგვარი ცვლილება, რომელთაც ბუნებრივი მოვლენები ეწოდება.

- დააკვირდით სურათებს და ამოიცანით, რომელი ბუნებრივი მოვლენებია წარმოდგენილი?

დაასახელეთ ის ბუნებრივი მოვლენა, რომელიც გიყვართ.

- რომელია ყველაზე უსიამოვნო ბუნებრივი მოვლენა?
- რომელი ბუნებრივი მოვლენა გიქმნით კარგ განწყობას და რატომ?
-

აქტივობა 2

მოუსმინეთ ბუნებრივი მოვლენების ამსახველ ხმებს და დაუკავშირეთ ხაზებით სურათებს.

- რომელმა ხმამ შეგიქმნათ სასიამოვნო განწყობა?
- რომელი ხმით იგრძენით ნათელი დღის დასაწყისი?
- რომელი ხმა ჟღერდა საშიშად და ძლიერად?
- რომელი ხმა ისმოდა გაბმულად?
- როცა კარგ ხასიათზე ხართ, რომელ ბუნებრივ მოვლენას შეადარებთ თავს? როდესაც ცუდ ხასიათზე ხართ?
-



აქტივობა 3

მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს, მიუსადაგეთ სურათებს და ცარიელ უჯრაში ჩაწერეთ სწორი ნუმერაცია.



მ. მუსორგსკი. „ღამე მელოტ მთაზე“

ე. გრიგი. „დილა“ სიუიტიდან „პერ გიუნტი“

კ. დებიუსი. საფ-ნ „პატარა შავკანიანი“ ციკლიდან „საბავშვო კუთხე“

ი. სტრავინსკი. ბალეტი „ფასკუნჯი“

მ. რაველი. „უნდინა“ საფორტეპიანო ციკლიდან „ღამის გასპარი“

ი. ს. ბახი. პრელუდია დო მაჟორი

სავარაუდოდ, მოსწავლეები ი. ს. ბახის დო მაჟორულ პრელუდიას შეუსაბამებენ ცისარტყელას.

ე. გრიგის „დილას“ – მზიან ამინდს; ფრაგმენტს ი. სტრავინსკის „ფასკუნჯიდან“ – ელჭექს; მ. რაველის „უნდინას“ – თოვლიან ამინდს; მ. მუსორგსკის საორკესტრო პიესას „ღამე მელოტ მთაზე“ – ქარბუქს; კ. დებიუსის პიესას „პატარა შავკანიანი“ მიუსადაგებენ წვიმიან ამინდს.

უპასუხეთ კითხვებს:

- რომელ ფრაგმენტში ისმის საცეკვაო რიტმი?
- რომელ ფრაგმენტში ისმის წკრიალა ბგერები?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი ჟღერს შიშის მომგვრელად?
- რომელი ფრაგმენტი მიუსადაგეთ ცისარტყელას და რატომ?
- რომელ ფრაგმენტში იგრძენით ყველაზე მოძრავი ტემპი?
- რომელ ფრაგმენტში ისმის ბგერების დაღმავალ-აღმავალი მოძრაობა?

ამ გაკვეთილზე ჩვენ მოვისმინეთ სხვადასხვა კომპოზიტორის ნაწარმოებები, მათ შორის ფრაგმენტი ფრანგი კომპოზიტორის, მორის რაველის ბალეტიდან „დაფნისი და ქლოე“. გაიხსენეთ ოპერა-ბალეტი „ბავშვი და ჯადოსნობა“, სადაც ბიჭუნასთან ერთად ცხოველები და სხვადასხვა ყოფითი საგნები ცეკვავდნენ და მღეროდნენ.

მ. რაველმა ბევრი სიახლე შეიტანა მუსიკაში.

აქტივობა 4

უყურეთ ვიდეოს, აჰყევით მუსიკას და შექმენით ნახატი.

48–49 ცისარტყელა თუ ფოთოლცვენა?

აქტივობა 1

არსებობს ისეთი ბუნებრივი მოვლენები, რომლებიც მეორდება და მას სეზონურ მოვლენებს უწოდებენ. ისინი წელიწადის დროებს ახასიათებს.

აღწერეთ სურათები და გამოიცანით ბუნებრივი მოვლენები.

- წელიწადის რომელ დროებს დაუკავშირებდით ამ მოვლენებს?

დააკვირდით სურათებს და დააკავშირეთ მოვლენები სიტყვებთან:

აქტივობა 2

მოუსმინეთ ბუნებრივი მოვლენების ხმებს. დაალაგეთ და ჩამოწერეთ ხმის სახელწოდება შესაბამისი რიგითობით. შემდეგ ცხრილში ჩახატეთ თქვენ მიერ მოფიქრებული სიმბოლოები იმ თანამიმდევრობით, რა თანამიმდევრობითაც გაჟღერდა ეს ხმები.

№	ხმა	სიმბოლო
1		
2		
3		
4		

აქტივობა 3

მოუსმინეთ ხმების თანამიმდევრობას. თუ წვიმის ხმა მოგესმათ, გააფერადეთ წრე ლურჯად, თუ ქარიშხლის – ყვითლად, ხოლო ჭექა-ქუხილის ხმა – ნაცრისფრად.

- პირველად რომელი ბუნებრივი მოვლენის ხმა გაიგონეთ?
- განმეორდა თუ არა რომელიმე ხმა?
- სულ ბოლოს რომელი ბუნებრივი მოვლენის ხმა გაიგონეთ?
-

აქტივობა 4

მოასმენინეთ ბავშვებს ნ. გაბუნიას სიმღერის „მზე დედაა ჩემიო“ ჩანაწერი.

სთხოვეთ დააკვირდნენ გამოსახულებებს და შემოხაზონ ისინი, რომლებზეც მღერიან სიმ-ღერაში.

შემდეგ შესთავაზეთ აჰყვნენ და გაიმეორონ სიმღერის მელოდია.



ნ. გაბუნია. „მზე დედაა ჩემიო“ (სიმღერა ფილმისთვის „ნერგები“)

50–51 სტიქიური მოვლენები

აქტივობა 1

უჩვენეთ ბავშვებს მუსიკალური ვიდეოფრაგმენტი და სთხოვეთ ბგერების თანამიმდევრობას აჰყვნენ ხელის მოძრაობით!



- რას გადმოსცემდა მუსიკალური ფრაგმენტი, დილის სასიამოვნო დასაწყისს თუ საღამო ჟამის სევდას?
- მზის ამობრწყინებას თუ ჩასვლას?
- როგორი მელოდია ჟღერდა, მშვიდი თუ დაძაბული?
- როგორ ჟღერდა ინსტრუმენტი ფლეიტა, მსუბუქად თუ მძიმედ?
- რა ტემპში ჟღერდა მუსიკა?

ახლა ჩვენ მოვისმინეთ ფრაგმენტი ნორვეგიელი კომპოზიტორის, პიანისტისა და დირიჟორის ედვარდ გრიგის ნაწარმოებიდან.

აქტივობა 2

ბევრი ბუნებრივი მოვლენა, რომელიც დედამიწაზე ხდება, საკმაოდ საშიშია. დააკვირდით სურათებს და დაასახელეთ, რომელი მოვლენებია ასახული.



ზვავი, მეწყერი, მიწისძვრა, ქარბორბალა, ვულკანის ამოფრქვევა, ხანძარი – ამ მოვლენებს სტიქიურს უწოდებენ, რადგან თითოეული დედამიწაზე ბევრ რამეს აზიანებს.

მოუსმინეთ ორ აუდიოჩანაწერს. გამოიცანით:

- რომელი ბუნებრივი მოვლენის ხმას ასახავს?
- პირველად რომელი ხმა გაჟღერდა?
- რომელი ხმა გაისმა შორიდან?
- რომელი ხმა გაძლიერდა თანდათან?
- რომელი ბუნებრივი მოვლენის ხმა ისმოდა უცვლელად?

კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ერთ-ერთი ბუნებრივი მოვლენის – მეწყრის ხმას და უპასუხეთ კითხვებს:

- მეწყრის ხმა იცვლება თუ უცვლელად ისმის?
- როგორი ხმა ისმის დასაწყისში, შუაში, ბოლოში?

დააკვირდით ამ სურათებს:



რომელ სურათზეა გამოსახული ამ მოვლენის დასაწყისი, გაგრძელება და დასასრული? მოუსმინეთ ხმებს:

- რომელი ხმა რომელ სურათს ესადაგება?

დასაწყისის ხმის ნომერი მიუწერეთ პირველ სურათს, შუა ნაწილის ხმის ნომერი – შუა სურათს, ხოლო დასასრულის ხმის ნომერი მიუწერეთ ბოლო სურათს.

აქტივობა 3

- რის მიხედვით გამოიცანით დასაწყისი? დასასრული?
- როგორ ფიქრობთ, რომელი ნაწილის გამოსახულებაა?
- შეგიძლიათ ჩახატოთ გამოსახულება, რომელიც შუა ნაწილსა და დასაწყისის ეპიზოდს ეხება?

აქტივობა 4

მოუსმინეთ სამ მუსიკალურ ფრაგმენტს და შეარჩიეთ ის ფრაგმენტი, რომელიც მეწყრის ჩამოშლას მიესადაგება. შემოხაზეთ თქვენ მიერ შერჩეული ფრაგმენტის ნომერი.



- რომელ ფრაგმენტში ისმის საცეკვაო რიტმი?
- რომელ ფრაგმენტში ისმის მელოდია დაბალ ხმაზე, შემდეგ ძლიერდება და ბოლოს ისევ სუსტდება?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი ჟღერს შიშის მომგვრელად?
- რომელი ფრაგმენტი მიუსადაგეთ მეწყრის ჩამოშლას და რატომ?
- რომელ ფრაგმენტში ისმის ბგერების მოძრაობა ჯერ აღმავალი, ხოლო შემდეგ დაღმავალი მიმართულებით?

52 წელიწადის დროები

აქტივობა 1

მიმართეთ მოსწავლეებს:

მოუსმინეთ ხმებისგან შედგენილ კოლაჟს, დაუკავშირეთ სურათებს და ჩასვით ციფრები ცარიელ უჯრაში იმ თანამიმდევრობით, რა თანამიმდევრობითაც გაჟღერდა ჩანაწერი.



- პირველად გაჟღერებული ხმა რომელ სურათს დაუკავშირეთ და რატომ?
- დაგეხმარათ თუ არა ეს ხმები სურათების ამოცნობაში?
- ამოიცნობდით ამ ხმებს სურათების გარეშე?

აქტივობა 2

მოუსმინეთ ორ მუსიკალურ ფრაგმენტს და დააკავშირეთ შესაბამის გამოსახულებასთან.

დაასახელეთ ის სურათები, რომელთაც ვერ შეუსაბამეთ მოსმენილი ფრაგმენტებიდან ვერცერთი.

რ. შტრაუსი. „ალპური სიმფონია“, პირველი ნაწილი

ა. ვივალდი. „გაზაფხული“, ციკლიდან „წელიწადის დრონი“

- რატომ დაუკავშირეთ ეს ფრაგმენტები ამ სურათებს?
- რომელ ფრაგმენტში ისმის მელოდია მკაფიოდ?
- რომელი ფრაგმენტის მელოდია ჟღერდა პირქუშად?
- რომელი ხმები აღმოაჩინე მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტებში?

ა) ჩიტის ჭიკჭიკის
ბ) შხაპუნა წვიმის

გ) ჭექა-ქუხილის
დ) სიოს
ე) ძლიერი ქარის
ვ) თავსხმა წვიმის
ზ) სხვა პასუხი

აქტივობა 3

მიმართეთ მოსწავლეებს:

ცარიელ ჩარჩოში ჩახატეთ თქვენი საყვარელი წელიწადის დრო.

- ისაუბრეთ, რატომ მოგწონთ ის?
- შეგიძლიათ გაახმოვანოთ ხმებით და შეურჩიოთ შემოთავაზებული მუსიკალური ფრაგმენ-ტები?

შემდეგ მოასმენინეთ მუსიკალური ფრაგმენტები და სთხოვეთ მოსწავლეებს, შეარჩიონ და დაუკავშირონ მოსმენილ ფრაგმენტებს მათ მიერვე შესრულებული ნამუშევარი.

მ. მუსორგსკი. „ღამე მელოტ მთაზე“

ე. გრიგი. „დილა“

კ. დებიუსი. „პატარა შავკანიანი“

ა. ვივალდი. „გაზაფხული“

ი. სტრავინსკი. „ფასკუნჯი“

მ. რაველი. „უნდინა“

ი. ს. ბახი. პრელუდია დო მაჟორი

53 როგორი ამინდია?

აქტივობა 1

მიმართეთ მოსწავლეებს:

- დააკვირდით სურათებს. აღწერეთ და გამოიცანით, როგორი ამინდია?

მოცემული სურათები დააკავშირეთ სიტყვებთან:

მზიანი

წვიმიანი

მოღრუბლული

თოვლიანი

აქტივობა 2

სთხოვეთ მოსწავლეებს, უპასუხონ კითხვებს:

- როგორ მუსიკას შეუსაბამებდით წვიმიან ამინდს?
- ღრუბლიანს?
- თოვლიანსა და მზიანს?
- თქვენ როგორი ამინდი გიყვართ და რატომ?

ახლა კი მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს და დაუკავშირეთ სხვადასხვა ამინდს.

ა. ჯულაყიძე (ანასტასია) „წვიმიანი დღე წვიმიან ქალაქში“

ა. ვივალდი. „ზაფხული“კონცერტების ციკლიდან „წელიწადის დრონი“

ა. ვივალდი. „ზამთარი“ ციკლიდან „წელიწადის დრონი“

ე. გრიგი. „პიერ გიუნტი“

აქტივობა 3

მოუსმინეთ ჩანაწერს. მოსმენილი ხმების მიხედვით შეადგინეთ ამინდის პროგნოზი, მოიფიქრეთ პიქტოგრამები და ჩახატეთ ცხრილში.

შევსებული ცხრილი წარუდგინეთ თანაკლასელებს.

ამინდის პროგნოზი	პიქტოგრამები
დღეს	
ხვალ	
ზეგ	

54 მოუსმინეთ ბუნების ხმებს

აქტივობა 1

სთხოვეთ ბავშვებს დააკვირდნენ სურათს, რომელზეც ტაშით თვლა და მარცვლებით გრძლიობებია გამოსახული.

მოსწავლეები ტაშთან ერთად წარმოთქვამენ სიტყვებს.

სავარჯიშოს მიზანია, მოსწავლემ გაიაზროს რიტმული ერთეულებისა და მეტრის ურთიერთობა, მაგალითად: ერთი თანაბარი ტაშის დროს სამმარცვლიანი სიტყვა უფრო სწრაფად გამოითქმის, ვიდრე ერთმარცვლიანი.



აქტივობა 2

მიუთითეთ სურათზე, სადაც ბუნების სხვადასხვა მოვლენაა გამოსახული და სთხოვეთ აღწერონ. შემდეგ შეეცადონ გადახატონ ეს მოვლენები:



მოასმენინეთ ბუნების ხმები და სთხოვეთ, ზემოთ მოცემული ნახატებიდან შეარჩიონ შესაბამისი და დაასახელონ ის ხმა, რომელიც არ არის გამოსახული სურათზე.

მიმართეთ მოსწავლეებს: მოისმინეთ და გამოიცანით ბუნების რა ხმაა (მოასმენინეთ ჭექა-ქუხილის ხმა). კითხვის ნიშანთან ცხრილში ჩაწერე ამ ხმის სახელწოდება.

ბგერის მახასიათებელი	?
სიმაღლე	წვრილი – მაღალი, ბოხი – დაბალი
გრძლიობა	დიდი – ხანგრძლივი, მოკლე – ხანმოკლე
ბგერის სიძლიერე	ხმამაღალი – ხმადაბალი
ბგერის ტემბრი	მჭექარე, დახშული, რბილი, ჰაეროვანი

მოასმენინეთ ფრაგმენტი განმეორებით მ. რაველის ბალეტიდან „დაფნისი და ქლოე“ და ფრაგმენტი ლ. ვ. ბეთჰოვენის „პასტორალური“ სიმფონიიდან. სთხოვეთ ფრაგმენტის ნომერი შესაბამის გამოსახულებასთან დააკავშირონ.

მზის ამოსვლა



წვიმა ჭექა-ქუხილით



მუსიკის რა მახასიათებლებზე დაკვირვებით მიიღეთ გადაწყვეტილება? შეავსეთ ცხრილი და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

ბგერის მახასიათებელი	?
სიმაღლე	წვრილი – მაღალი, ბოხი – დაბალი
გრძლიობა	დიდი – ხანგრძლივი, მოკლე – ხანმოკლე, საშუალო
ბგერის სიძლიერე	ხმამაღალი – ხმადაბალი
ბგერის ტემბრი	მჭექარე, დახშული, რბილი, ჰაეროვანი

აქტივობა 3

უჩვენეთ ფრაგმენტი ანიმაციური ფილმიდან „ბემბი“ (კომპ. ფ. ჩერჩილი).

ჰკითხეთ:

რომელი საკრავებითაა გამოსახული წვიმის წვეთების იმიტირება?

- ჩასაბერი, დასარტყამი, სიმებიან-ხემიანი?
- ქარბუქის სცენა მთელი ორკესტრით არის გამოსახული თუ მხოლოდ დასარტყამი საკრავებით?

ყურადღებით მოუსმინეთ მუსიკალურ თანხლებას და შემოხაზეთ ის საკრავები, რომელთა ჟღერადობაც ამოიცანით.

ჰობოი | კლარნეტი | ლიტავრები | სამკუთხედი | არფა

55 დილა, შუადღე და საღამო

აქტივობა 1

უჩვენეთ ვიდეოჩანაწერი და შესთავაზეთ, ჩანაწერის მსგავსად შეასრულონ რიტმული აქტივობა.

აქტივობა 2

დააკვირდით სურათებს.

- დღის რა მონაკვეთია წარმოდგენილი?
- დღის რომელი მონაკვეთი განიჭებთ სიამოვნებას? რატომ?
- დღის რომელი მონაკვეთია ყველაზე ხმაურიანი? წყნარი?

აქტივობა 3

მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს და დაუკავშირეთ სურათებს.

1. ს. პროკოფიევი. საბავშვო საორკესტრო სიუიტა „ზაფხულის დღე“ – „დილა“
2. ს. პროკოფიევი. საბავშვო საორკესტრო სიუიტა „ზაფხულის დღე“ – „საღამო“
3. ფ. პულენკი. ნოქტიურნი

ჰკითხეთ:

- რატომ დაუკავშირეთ ეს მუსიკალური ფრაგმენტი ამ სურათს?
- როგორი მელოდია შეუსაბამე ღამეს: წყნარი, მშვიდი, იდუმალი თუ ნათელი; მზიანი და გამჭვირვალე?
- რამდენი ინსტრუმენტი ასრულებს ამ მუსიკას?

ს. პროკოფიევი. „საღამო“

ს. პროკოფიევი. „დილა“

ფ. პულენკი. ნოქტიურნი

ძვირფასო მასწავლებლებო! სურვილისამებრ გამოიყენეთ კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი, მოასმენინეთ ხმები და სემპლები. სთხოვეთ მოსწავლეებს, მოცემული ნახატების თანამიმდევრობის შესაბამისად, ააჟღერონ კომპიუტერულ პროგრამაში და ასე შექმნან მუსიკალური კოლაჟი.



სემპლი ხმები

56–57 წვიმა

აქტივობა 1

სთხოვეთ ბავშვებს დააკვირდნენ გამოსახულებას. თვლა გამოსახონ ტაშით, ხოლო წვიმას მიჰბაძონ ხმით.

რასაკვირველია, მაგალითი თქვენც უნდა უჩვენოთ.

- ჰკითხეთ, რას ჰბაძავდა ჩვენი სავარჯიშო: წვიმის თანდათანობით დაწყებას, მომატებას თუ წვიმის კლებას?
- რის მიხედვით შეარჩიეთ პასუხი?
- სავარჯიშოს დასაწყისში უფრო სწრაფი და ხშირი ბგერები გამოვთქვით თუ ბოლოს?



წკაპ-წკუპ და ა. შ.

აქტივობა 2

წაუკითხეთ ორი სტრიქონი ლ. ასათიანის ლექსიდან „წვიმა“.

„დაიგრუხუნა თბილისის ირგვლივ
და წამოვიდა წვიმა შურდულით“.

მოასმენინეთ ფრაგმენტები ნაწარმოებებიდან, სადაც წვიმაა ასახული და სთხოვეთ შემოხაზონ ის ჩანაწერი, რომელიც ეხმიანება ლექსის სტროფებს.

დ. ფაიჩი, „აფრიკა“

რ. ვაისი, სიმფონია „ჰეიჰო, მოასწარი თივის ზვინის შეკვრა“

ფ. ჩერჩილი, მუსიკა ანიმაციური ფილმისთვის „ბემბი“ – „აპრილის შხაპუნა წვიმა“

დავალების შესრულება რომ გაუადვილდეთ, დაუსვით შემდეგი კითხვები:

- რომელ ფრაგმენტშია ასახული წვიმა, რომლის ხმაც ჯერ კანტიკუნტად ისმის, შემდეგ თანდათან მატულობს და ბოლოს ძლიერდება?
- სად არის ასახული ჭექა-ქუხილის ხმა?



აქტივობა 3

მიუთითეთ მოსწავლეებს ორ სურათზე და სთხოვეთ აღწერონ. შემდეგ მოასმენინეთ ინგლისური ხალხური სიმღერა „კანონი“ და უთხარით, რომ სიმღერაში მოთხრობილია, თუ როგორ კრავენ თივის ძნებს, რათა მოახლოებულმა წვიმამ არ დაასველოს.

ჰკითხეთ:

- მომღერალთა ხმაშია ასახული წვიმის წვეთების იმიტაცია (მიბაძვა) თუ თანხლებაში?
- ხომ არ იცით, რომელი საკრავი ჟღერს?

მას შემდეგ, რაც ბავშვები გიპასუხებენ, გიტარაზე მიუთითეთ და უთხარით, რომ ბევრმა მათგანმა იცის ამ საკრავის შესახებ.

– ეს გიტარაა. როგორც დავადგინეთ, სწორედ გიტარის ჟღერადობით არის გადმოცემული წვიმის წვეთების იმიტაცია.

- როგორია სიმღერის ტემპი, ერთგვაროვანი თუ ცვალებადი?

შეახსენეთ ბავშვებს, რომ ხალხურ სიმღერას ქმნის თვითონ ხალხი. სხვაგვარად ხალხურ შემოქმედებას ფოლკლორი* დაარქვეს. ფოლკლორი ინგლისური სიტყვაა და ხალხურ სიბრძნეს ნიშნავს.

აღწერეთ სურათი და დაადგინეთ:

- როგორი ამინდია გამოსახული? წელიწადის რომელი დროა?

მოუსმინეთ ქართულ ხალხურ სიმღერას „კალოსპირული“.

- იმსჯელეთ, რა აქვს სიმღერას საერთო ამ სურათთან?
- აღწერს მოქმედებას? სურათსა და სიმღერაში ერთი და იგივე განწყობაა?
- რომელ სიტყვებს მიუსადაგებდით სურათსა და სიმღერას? დინჯი, აუჩქარებელი, სწრაფი და მოძრავი, სევდიანი?

აქტივობა 4

მოასმენინეთ ავსტრიელი კომპოზიტორის, ი. ჰაიდნის კონცერტი საყვირისა და ორკესტრისთვის.

იმსჯელონ:

- როგორ ამინდს შეიძლება შეადაროთ ეს ფრაგმენტი: მზიანს, ნათელს თუ მოღრუბლულსა და წვიმიანს?
- რის მიხედვით შეარჩიეთ პასუხები?
- როგორმა რეგისტრმა მიიქცია თქვენი ყურადღება. მაღალმა თუ დაბალმა?
- როგორი ტემბრი აქვს ამ შემთხვევაში საყვირს: ნათელი და გამჭვირვალე თუ მუქი და მჭახე?
- როგორია ამ ფრაგმენტში მელოდია: მღერადი თუ არამღერადი, ლაღი თუ დაძაბული?

შეახსენეთ ბავშვებს: გახსოვთ, ინგლისელმა კომპოზიტორმა ბ. ბრიტენმა საყვირის ჟღერადობით გადმოსცა უდარდელი ბუზის ინტონაცია.

***ფოლკლორი** – ხალხური ზეპირი შემოქმედება, ზეპირსიტყვიერება.

58 ზღვა

აქტივობა 1

მიუთითეთ მოსწავლეებს სურათებზე და სთხოვეთ ხმებით, სიტყვების გარეშე, გაახმოვანონ.

შემდეგ მოასმენინეთ ფრაგმენტები: ნ. რიმსკი-კორსაკოვის სიმფონიური სურათიდან „შეჰეერეზადა“ და ნ. რიმსკი-კორსაკოვის ოპერიდან „სადკო“, მ. რაველის საფორტეპიანო პიესიდან „წყლის თამაში“, ო. რესპიგის სიმფონიური პოემიდან „რომის ფიჭვები“.

ყურადღება გაუმახვილეთ კონკრეტულ სიტუაციებზე და განუმარტეთ:

პირველ ფრაგმენტში მოგზაური სინდბადის უზარმაზარი გემი ჩასაბერი საკრავებითაა გამოსახული.

გემზე ტალღების შეჯახება ორკესტრის ერთობლივი ჟღერადობით. მეორე ფრაგმენტში, რიმსკი-კორსაკოვის „სადკოში“ მშვიდი ზღვა და მზის ამოსვლაა ნაჩვენები; შემდეგ ფრაგმენტს „წყლის თამაში“ ჰქვია და „ნაკადულში“ წყლის ლაღ თამაშს გვიხატავს; ხოლო ბოლო ეპიზოდი შეგვიძლია ჩანჩქერს მივუსადაგოთ.

განმეორებით მოასმენინეთ ფრაგმენტები ისე, რომ არ უთხრათ სახელწოდებები და სთხოვეთ ბავშვებს, ისინი შესაბამის სურათებთან დააკავშირონ.

აქტივობა 2

მოასმენინეთ ნაცნობი ფრაგმენტები და კიდევ ერთხელ გამართეთ მსჯელობა.

ბუნების რომელ მოვლენას შეიძლება დაუკავშირონ ეს ეპიზოდები?

შემდეგ სთხოვეთ წაიკითხონ წინადადებები და მოსმენილ ფრაგმენტებთან დააკავშირონ შემდეგნაირად: ცარიელ ცხრილში ფრაგმენტის ანბანურ აღნიშვნასთან დაწერონ წინადადების ციფრობრივი აღნიშვნა, როგორც ეს პირველ უჯრაშია ნაჩვენები.

მაგალითად:

1. ჰორიზონტზე მზის პირველი სხივი გამოჩნდა.
2. ნაპირზე კენჭებს პატარა ტალღა ხან გადაურბენდა, ხან გადმოურბენდა.
3. თანდათან მოიღრუბლა.
4. გემი შეუპოვრად მიაპობდა ტალღებს.
5. ქალთევზამ დაიწყო სიმღერა და დამშვიდდა ზღვა.
6. ამობრწყინდა მზე და გადმოხედა ზღვას.

1	2	3	4	5	6
ვ	ბ	დ	ა	ე	გ

ინფორმაცია მასწავლებელს!

გ ე. გრიგი. „დილა“ სიუიტიდან „პერ გიუნტი”

დ ლ. ვ. ბეთჰოვენი. „პასტორალური“ სიმფონია №6 ნაწ. IV

ვ მ. რაველი. მზის ამოსვლა-განთიადი ბალეტიდან „დაფნისი და ქლოე“

ბ მ. რაველი. „წყლის თამაში“

ე ნ. რიმსკი-კორსაკოვი. შეჰერეზადას თემა სიუიტიდან „შეჰერეზადა“

ა ნ. რიმსკი-კორსაკოვი სინდბადის თემა სიუიტიდან „შეჰერეზადა“

59–60 ზღვა, წყარო და ჩანჩქერი

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა: მოსმენილი ხმები შეუსაბამეთ ბუნებრივი მოვლენების ამსახველ სურათებს და გრაფიკულ გამოსახულებებს. ამ სურათების შესაბამისი წინადადებები დაუკავშირეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს. იმსჯელეთ, რა მუსიკალური მახასიათებლებით გადმოიცემა ბუნებრივი მოვლენები და შეავსეთ ცხრილი.

საკითხი: მუსიკით აღწერა

ნაბიჯი 1

მოსმენილი ხმების ციფრობრივი აღნიშვნა მოცემული სურათების ანბანურ აღნიშვნასთან დააკავშირეთ, შემდეგ შეავსეთ ცხრილი.

ა

ბ

გ



ხმების ციფრობრივი აღნიშვნა	სურათების ანბანური აღნიშვნა

დააკვირდით მოსმენილი ხმების გრაფიკულ გამოსახულებას და ხაზებით სურათებსა და შესაბამის ჩანაწერებთან დააკავშირეთ.



2 = გ



3 = ა

1 = ბ

ნაბიჯი 2

წაიკითხეთ კითხვები, დაფიქრდით და შეასრულეთ დავალება:

- ეს სიმბოლოები ბგერას აღნიშნავენ თუ ხმაურს?

_____

- რომელი სიმბოლო მიუთითებს ხმამაღალ ბგერას? დიდ ხმაურს? რატომ ფიქრობთ ასე?

- რომელ სურათს დაუკავშირეთ ეს ნიშანი?

- რატომ დაუკავშირეთ ამ სურათს ეს ნიშანი?

- რატომ არის წვრილი ბოლო ნიშანი?

- რას დაუკავშირეთ ეს ნიშანი?

- რაზე ფიქრობთ, როდესაც ამ ხმას ისმენთ? შემოხაზეთ პასუხი:

შხაპზე ჩიტების ჭიკჭიკზე ქალაქის ხმაურზე სხვა.

ნაბიჯი 3

წაიკითხეთ წინადადებები და მოსმენილ ფრაგმენტებთან დააკავშირეთ შემდეგნაირად: ცარიელ ცხრილში ფრაგმენტის ანბანურ აღნიშვნასთან დაწერეთ წინადადების ციფრობრივი აღნიშვნა.

1 – მოჩუხჩუხებდა ლივლივა ანკარა წყარო.

2 – დგაფუნით მოჩქეფდა ჩანჩქერი, წყლის უზარმაზარი შხეფები ბრწყინავდა მზის სხივების ქვეშ.

3 – მშვიდი, წყნარი ზღვის უზარმაზარი სივრცე იშლებოდა თვალწინ.



განმეორებით მოუსმინეთ ფრაგმენტებს. დააკვირდით ცხრილში მოცემულ მუსიკის მახასიათებლებს და შესაბამისი შემოხაზეთ.

მუსიკის მახასიათებელი	**მ. რაველი „წყლის თამაში“(ა)**	**ო. რესპიგი „რომის ფიჭვები“ (ბ)**	**ნ. რიმსკი-კორსაკოვი. ფრაგმენტი ოპერიდან „სადკო“ (გ)**
რიტმი	• მდორე • მკვეთრი	• მოძრავი • მდორე	• მდორე • ცოცხალი
ტემპი	• ნელი • სწრაფი • ზომიერი	• ცვალებადი • უცვლელი	• ზომიერი • სწრაფი
მელოდიის ხასიათი	• ლივლივა • მშვიდი • საშიში	• ხალისიანი • ლაღი • მშვიდი	• იდუმალი • ჯადოსნური • მხიარული
მელოდიის სახეობა	• აღმავალი • დაღმავალი	• ნახტომისებური • აღმავალი • დაღმავალი	• არამღერადი • მღერადი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გარაყანიძე ე., ქართული მუსიკალური დიალექტები და მათი ურთიერთმიმართება. ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი. განათლების, კულტურის და სულიერების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“. თბ., 2011

2. ერქომაიშვილი ა., გზები, ადამიანები, სიმღერები. თბ., 2011

3. ქართული გალობა. ანთოლოგია. თბ., 2016

4. გოგებაშვილი ი., დედა ენა. გამომცემლობა „დედაენა“, თბ., 2016

5. მარუაშვილი ლ., მუსიკის რეპეტიტორი, სტუდენტის სახელმძღვანელო, თბ., 2016

6. Nitsche Paul, Die Pfleger der Kinder-und Jugendstimme. Stimmbildung am Lied. B. Schott's Sohne. Mainz, 1970

7. Metzler. Komponisten Lexikon. Herausgegeben von Horst Weber. Verlag J. B. Metzler Stuttgart. Weimar, 1992

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მუსიკის ექსპერტის მიერ მოწოდებული მასალები გამოყენებულია საგაკვეთილო სცენარებში.